სოფიო გაბადაძე

რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი

წარდგენილია არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

0175, თბილისი, საქართველო

ივნისი 2014

©საავტორო უფლება „სოფიო გაბადაძე, 2014“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გაბადაძე სოფიოს მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: 18 ივნისი 2014

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არქიტექტურის აკადემიური დოქტორი,
ასოც. პროფესორი, მაია დავითაია

რეცენზენტები: არქიტექტურის აკადემიური დოქტორი,
ასოც. პროფესორი, მედეა მელქაძე

არქიტექტურის დოქტორი,
ასოც. პროფესორი, ნანა ქუთათელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2014

ავტორი: გაბადაძე სოფიო

დასახელება: რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი

ფაკულტეტი: არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 2014 წლის 2 ივლისს

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ს. გაბადაძე

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ვუძღვნი ჩემს შვილებს.

რეზიუმე

თბილისის ცენტრი - რუსთაველის პროსპექტი - ყალიბდებოდა ორი საუკუნის მანძილზე და ყოველი ეპოქა თუ ისტორიული მოვლენა თავის კვალს ტოვებდა მის განაშენიანებაზე. ერთ ღერძზე აკინძული არქიტექტურული სტილების საოცარი მრავალფეროვნების, ხუროთმოძღვართა მაღალი ოსტატობის, ნაციონალურ ტრადიციებთან კავშირისა და პროფესიონალიზმის შედეგად შეიქმნა უნიკალური არქიტექტურულ-სივრცული გარემო, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში სათანადოდ არ შესწავლილა რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალში ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებები, ამიტომ მიგვაჩნია, რომ რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხის კვლევა აქტუალური და აუცილებელიცაა.

კვლევის მიზანია რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს შესახებ არსებული მასალის შეგროვება, სისტემატიზება, შესწავლა და ანალიზი; რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების პროცესის შესახებ სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რუსთაველის პროსპექტის შემდგომი ფორმირების სწორად წარმართვას; რუსთაველის პროსპექტის შედარება სხვა ქვეყნების დედაქალაქების მთავარ არტერიებთან; ე.წ. თბილისის ომის შედეგად დანგრეული და დაზიანებული რუსთაველის პროსპექტისა და მისი არეალის აღდგენა-რეკონსტრუქციის კონცეფციისა და კონკურსების განხილვა.

დისერტაციის **შესავალში** დასაბუთებულია თემის აქტუალობა, დასმული პრობლემის სიახლე და ჩამოთვლილია კვლევის მეთოდები და ამოცანები. დისერტაციის **პირველი თავი** მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას. მასში განხილულია საკითხისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური კვლევები, მონოგრაფიები, ცალკეული შენობების შესახებ შექმნილი ნაშრომები და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები. ლიტერატურის მიმოხილვამ გამოავლინა, რომ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ამ თემასთან დაკავშირებით აღინიშნება სამეცნიერო კვლევების გარკვეული სიმწირე.

დისერტაციის **მეორე თავი** - შედეგები და განსჯა - შეიცავს 4 ქვეთავს. **პირველი ქვეთავი** - რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს ფორმირების ისტორიული ასპექტი - ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია რუსთაველის პროსპექტის ფორმირება XIX საუკუნიდან 1991-1992 ე.წ. თბილისის ომამდე. მეორე ნაწილია 1991-1992 წწ. ე.წ. თბილისის ომი -კონცეფცია, კონკურსები, რეალიზაცია. განხილულია 1991-

1992 წლების დეკემბერ-იანვრის ე.წ. თბილისის ომის შედეგად რუსთაველის პროსპექტზე, თავისუფლების მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დანგრეულ და დაზიანებულ შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროცესი. **მეორე ქვეთავში** - რუსთაველის პროსპექტის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტში - განხილულია ბრტყელ რელიეფზე გაშენებული ქალაქ ბერლინისა და ასიმეტრიული დაგეგმარების მქონე ქალაქ კიევის მთავარი ქუჩები და ჩატარებულია ამ ქუჩების შედარებითი ანალიზი გრძივი გეგმარებითი ფორმის რელიეფზე განვითარებული ქალაქ თბილისის მთავარ ქუჩასთან - რუსთაველის პროსპექტთან. **მესამე ქვეთავში** განხილულია რუსთაველის პროსპექტისა და მისი არეალის კომპოზიციური ანალიზი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რუსთაველის პროსპექტი და მასზე დაქვემდებარებული სივრცეები, პირობითად, ფრაგმენტებად დაიყო და, დღეისათვის არსებული სახეცვლილებების გათვალისწინებით, შესწავლილ იქნა თავისუფლების, ვარდების რევოლუციისა და რუსთაველის მოედნები და რუსთაველის პროსპექტი, ჩატარდა მათი კომპოზიციური ანალიზი. **მეოთხე ქვეთავში,** სათაურით თვისობრივი კვლევა რუსთაველის პროსპექტის შესახებ, განხილულია ღია, ნარატიული ინტერვიუს ფორმით ჩატარებული კვლევის შედეგები. დისერტაციის **დასკვნებში** წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები: რუსთაველის პროსპექტის განვითარების ეტაპების კომპლექსური შესწავლა და გაანალიზება 1992 წლიდან დღემდე, რაც წარმოადგენდა ამ პერიოდში პროსპექტზე მიმდინარე არქიტექტურული პროცესების შესწავლის დანაკლისს. ომის შედეგად დანგრეული და დაზიანებული უბნის აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით შემუშავებული კონცეფცია გულისხმობდა რუსთაველის პროსპექტის, როგორც მკაცრი რეჟიმის დაცვის ზონის, პირვანდელი სახით აღდგენას. კონცეფციაზე დაყრდნობით ჩატარებულ ოთხ არქიტექტურულ კონკურსზე გამარჯვებული პროექტების ნაწილობრივმა განუხორციელებლობამ და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების რღვევა. შედეგად მივიღეთ სტიქიური, უსისტემო, მსხვილმასშტაბიანი არიქტექტურულ-სივრცული გარემო. რუსთაველის პროსპექტის სხვა ქვეყნების დედაქალაქების (ბერლინისა და კიევის) საქალაქო არტერიებთან შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა სამი ქუჩის საერთო (ქუჩის პლასტიკით განსაზღვრული განაშენიანების ხასიათი, ნაგებობების ფუნქციური და სტილისტური მახასიათებლები, ქუჩის ღერძის კომპოზიციური გადაწყვეტა, კერძოდ, ორი მხრიდან მოედნების მდებარეობა მათზე განთავსებული დომინანტური კომპოზიციით) და განმასხვავებელი (ისტორიული და კულტურული ძეგლებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, უხეში ჩარევა შენობების ფუნქციის შეცვლის თვალსაზრისით) თავისებურებები. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს კომპოზიციურმა ანალიზმა დაგვანახვა ქუჩის ღერძის კომპოზიციური თავისებურება, რომელიც გამოხატულია მის დასაწყისსა და ბოლოში არსებული თავისუფლების, „ვარდების რევოლუციის“

და რუსთაველის მოედნებითა და დასავლეთით მთაწმინდის ბუნებრივი დომინანტით; თბილისის მოქალაქეებთან ინტერვიუებმა გამოავლინა სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ადამიანების არაგულგრილი დამოკიდებულება რუსთაველის პროსპექტის მიმართ, რაც გვაძლევს საბაბს, განვიხილოთ ქუჩა როგორც ქალაქის კულტურის ინტეგრაციის ადგილი.

Sophio Gabadadze

The issues of architectural-spatial and compositional formation of Rustaveli Avenue

DISSERTATION

submitted in partial satisfaction of the requirements for the academic degree of

DOCTOR OF ARCHITECTURE

Georgian Technical University

Tbilisi 0175, Georgia

© Copyright Sophio Gabadadze 2014

Abstract

The centre of Tbilisi – Rustaveli Avenue was formed during two centuries and each epoch or historic event left its traces on the urban structure of the street. Planned along a single axis this unique architectural-spatial setting is distinguished by an unusual variety of architectural styles, high quality buildings designed by professional architects and finally features which draw upon the national traditions. Recent changes, which took place during last 25 years on the Rustaveli Avenue have not yet been the object of special study. Therefore investigation of latest changes in the urban structure of Rustaveli Avenue is an issue of an utmost importance and actuality.

The aim of the study is: to gather, systemize, investigate and analyse the information on the architectural-spatial setting of Rustaveli Avenue; to put forward main findings and elaborate recommendation, which in turn, can act as a framework to manage properly future developments of Rustaveli Avenue; to make a comparative analyses of Rustaveli avenue with the main avenues in other countries' capitals; to analyse the reconstruction concepts and contest for the rehabilitation of buildings destroyed on Rustaveli avenue during so called "Tbilisi civil war". The **introduction to the dissertation** includes the justification of relevance, actuality and novelty, as well as the methodology and objectives of the study. The **first chapter** of theses covers the overview of scientific literature: the publications dedicated to single architectural buildings and other relevant articles published in the periodicals. The overview of scientific literature revealed the scarcity of the relevant studies during last 10-15

years. **The second chapter** of dissertation – the results and analyses - includes the overview of the historical aspects in which the setting of Rustaveli Avenue has been shaped; the consequences of civil war in Tbilisi, the concept of rehabilitation works, related contests and their implementation; the comparative analyses of Rustaveli avenue with the main avenues in other countries' capitals; the compositional analyses of the urban structure of Rustaveli Avenue (from Freedom Square to Rustaveli square) and finally, the analyses of in-depth interviews with Tbilisi inhabitants (both with professional and ordinary citizens). **The chapter - main findings** presents the results of the study: The comprehensive analyses of the development stages of Rustaveli avenue from 1992 up today, which until now was a arcane field of study. The concept for rehabilitation of Rustaveli avenue damaged during the civil war aimed to reconstruct the initial view of the setting, which is an urban zone with strict protective regulations. Unfortunately projects selected through four different contests were only partially implemented, whereas the overall turmoil in the country connected with the process of transition to market economy led to the drastic alteration of historical urban structure of the street. As a result the chaotic, unsystematic developments took place and much larger scale architectural-spatial setting emerged. The comparison of Rustaveli avenue with the main avenues in other capitals (Berlin and Kiev) showed the similarities revealed through the urban structure, the functional and stylistic features of buildings, the compositional planning of streets with dominants and squares at their ends and differences, which can be seen in the approach to the protection of historic monuments: being very cautious in one case and a severe intervention (in functional modification) in another. The architectural and spatial analyses of Rustaveli avenue showed out the compositional peculiarities of the street, which are formed by the existing squares - Freedom Square, Rose Revolution Square and Rustaveli Square at its both ends and the mountain Mtatsminda as a natural dominant on the west. The in-depth interviews with Tbilisi citizens of different age and profession revealed their deep concerns about the developments on Rustaveli avenue, which in turn, provides a valuable evidence to consider street as a platform for cultural integration of the city.

შინაარსი

შესავალი 16

თავი პირველი ლიტერატურის მიმოხილვა 21

თავი მეორე შედეგები და განსჯა

2.1. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს ფორმირების ისტორიული ასპექტი 53

2.1.1 რუსთაველის პროსპექტის ფორმირება XIX საუკუნიდან 1991-1992 წწ. ე.წ. „თბილისის ომამდე“ 53

2.1.2. 1991-1992 წწ. ე.წ „თბილისის ომი“ - კონცეფცია, კონკურსები, რეალიზაცია 66

2.2. რუსთაველის პროსპექტის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტში 77

2.3. რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების კომპოზიციური ანალიზი 93

2.4. თვისობრივი კვლევა რუსთაველის პროსპექტის შესახებ ღია ინტერვიუს სახით 113

დასკვნა 126

რეკომენდაციები 129

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 132

ილუსტრაციები 135

ილუსტრაციების ნუსხა

სურ. 1. 1735 წლის თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. გარეთუბნის ფრაგმენტი.....136

სურ. 2. თბილისის გეგმა, 1800 წ. გარეთუბნის ფრაგმენტი.....136

სურ. 3. ერევნის მოედანი (თავისუფლების მოედანი).....137

სურ. 4. თბილისის გეგმა, 1802 წ. გარეთუბნის ფრაგმენტი.....137

სურ. 5. მეფისნაცვლის სასახლე, 1845-47 წწ.....137

სურ. 6. მეფისნაცვლის სასახლე, 1865-67 წწ.....137

სურ. 7. ჰაუპტვახტი, 1801-იანი წწ.....137

სურ. 8. კინო „რუსთაველი“ 1939 წ. 137

სურ. 9. პირველი კლასიკური გიმნაზია, 1837-40 წწ.....137

სურ.10. მამუკა ორბელიანის სახლი 1940-იანი წწ.....138

სურ. 11. ალექსანდრეს ბაღი, 1859 წ.....138

სურ. 12. კავკასიის მუზეუმი, 1860-იანი წწ.....138

სურ.13. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 1929 წ.....138

სურ.14. კადეტთა კორპუსი, 1860 წ.....138

სურ. 15. საოლქო სასამართლო 1965-67წწ. გვიანდელი სასტუმრო „ორიანტი“ 1895 წ.....138

სურ.16. სობორო, 1871-97 წწ. 138

სურ. 17. მთავრობის სახლის ზედა კორპუსი 1933-38 წწ.....138

სურ. 18. მთავრობის სახლი 1953 წ.....138

სურ. 19. სამხედრო ისტორიული მუზეუმი „დიდების ტაძარი“ 1885-88 წ...138

სურ. 20. სახაზინო თეატრი. 1880-96 წწ.....138

სურ. 21. საარტისტო საზ. შენობა. 1898-1901წწ.....139

სურ. 22. სახლი რუსთაველის პროსპექტზე # 30, 1898 წ.....139

სურ. 23. ქაშვეთის ტაძარი. 1904-10 წწ.....139

სურ. 24. მელიკ აზარიანცი შემოსავლიანი სახლი. 1912-1915 წწ. 139

სურ. 25. სასტუმრო „ მაჟესტიკი“ ,1915 წ.....139

სურ. 26. ყოფილი ოფიცერთა სახლი. 1916 წ.....139

სურ. 27. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა. 1929 წ.....139

სურ. 28. კავშირგაბმულობის სახლი. 1934 წ.....139

სურ. 29. კავშირგაბმულობის სახლი. 1954 წ.....139

სურ. 30. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის

ფილიალი „იმელი“ 1935-38 წწ. 140

სურ. 31. საცხოვრებებლი სახლი, რუსთაველის # 1. 1939 წ. 140

სურ. 32. სასტუმრო „ივერია“. 1967 წ.....140

სურ. 33. უნივერმაღი „თბილისი“. 1974 წ.....140

სურ 24. ყოფილი ტელეგრაფის შენობა. 1978 წ.....140

სურ. 35. მეცნიერებათა აკადემია. 1953 წ.....140

სურ. 36 რუსთაველის პროსპექტის გეგმა.....140

სურ.37. პირველი საშუალო სკოლა. 1992 წ.....141

სურ. 38. მხატვრის სახლი. 1992 წ.....141

სურ. 39. სასტუმრო „თბილისი“.1992 წ.....141

სურ. 40. თავისუფლების მოედანი. 1992 წ.....141

სურ. 41. პირველი საშუალო სკოლის და კავშირგაბმულობის

სამინისტროს მიმდებარე კვარტლების აღდგენა- რეკონსტრუქციის

პროექტი, 1992 წ……...….....142

სურ. 42. სასტუმრო „ორიანტის“აღდგენა- რეკონსტრუქციის პროექტი,

1992.....142

სურ. 43. სასტუმრო „თბილისისა“ და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი, 1992 წ.....143

სურ. 44. თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი, 1992 წ.....143

სურ. 45. გენერალური გეგმა კონკურსის შედეგების ფიქსირებით, 1992 წ.....144

სურ. 46. აღდგენილი პირველი კლასიკური გიმნაზია.....145

სურ. 47.აღდგენილი სასტუმრო „თბილისი მარიოტი“.....145

სურ. 48. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“.....145

სურ. 49. დაზიანებული რუსთაველის პროსპექტი და მიმდებარე ტერიტორია. 1992 წ.....146

სურ. 50. აღდგენილი რუსთაველის პროსპექტი და მიმდებარე ტერიტორია. 146

სურ. 51. თბილისი, რუსთაველის პროსპექტის სქემა;კიევი, კრეშჩატიკის სქემა;

ბერლინი, კურფურსტერდამის სქემა.....147

სურ. 52. თბილისი. თავისუფლების მოედანი. 2014 წ.....148

სურ. 53. კიევი, თავისუფლების მოედანი. 2014 წ.....148

სურ. 54. სურ. კიევი,ყოფილი ლენინის მუზეუმი, 2014 წ.....148

სურ. 55. თბილისი, იმელის შენობის მთავარი ფასადი, 2014 წ.....148

სურ. 56. თბილისი, იმელის შენობის უკანა ფასადი, 2014 წ.....148

სურ. 57. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი ყოფილი „ლაღიძის წყლები“, 2014წ. 149

სურ. 58.ბერლინი, კუდამი, კაფე „კრანცლერი“, 2014 წ.....149

სურ. 59. ბერლინი, მემორიალური ეკლესია, 2014 წ.....149

სურ. 60.თბილისი, 9 აპრილის მემორიალი, 2014 წ.....149

სურ. 61.თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 2014 წ.....150

სურ. 62. კიევი, კრეშჩატიკი, 2014 წ.....150

სურ. 63. ბერლინი, კუდამი, 2014 წ.....150

სურ. 64. თავისუფლების მოედანი 151

სურ. 65. „ქორთიარდ მარიოტი“ 152

სურ. 66. მრავალფუნქციური კომპლექსი პუშკინის ქუჩაზე.....152

სურ. 67. რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების მარცხენა მხარე. 2014 წ....153

სურ. 68. შოთა რუსთაველის მოედანი.....154

სურ. 69. რუსათაველის პროსპექტის განაშენიანების მარჯვენა მხარე. 2014 წ.155

სურ. 70. ხედი მთაწმინდაზე რუსთაველის პროსპექტიდან. 2014წ. 156

სურ. 71. ხედი მტკვრისკენ. 2014 წ. 156

სურ. 72. 9 აპრილის ბაღი, გ. ლეონიძის სახ. ბაღი. 2014 წ.....156

სურ. 73. „ვარდების რევოლუციის“ მოედანი.....157

სურ. 74. საცხოვრებელი სახლი, შევჩენკოს # 3. 2014 წ.....158

სურ. 75. სავაჭრო ცენტრი „მერანი“. 2014 წ.....159

სურ. 76. ლესია უკრაინკას და ტ. შევჩენკოს ქუჩების განაშენიანება. 2014 წ.... 160

სურ. 77. მშენებარე სასტუმრო იმელის შენობის უკან. 2014 წ.....160

სურ. 78. მშენებარე სამუზეუმო კომპლექსი ყოფილი „მხატვრის სახლის“ ტერიტორიაზე. 2014 წ.....160

სურ. 79. რუსთაველის პროსპექტი #20. 2014 წ.....161

სურ. 80. რუსთაველის პროსპექტი #34. 2014 წ.....161

სურ. 81. რუსთაველის პროსპექტი #44. 2014 წ.....161

სურ. 82. რუსთაველის პროსპექტის განაშენიანება 1980-იანი წლები.....162

სურ. 83. რუსთაველის პროსპექტის განაშენიანება 2014 წელი.....162

ნაშრომში გამოყენებულია ფოტოები შემდეგი წყაროებიდან: საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი - სურ. 3 (1-9); სურ.5,6,8,9,11,13,15-17,20,27,28,30. იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“ არქივი - სურ. 1,7.

სურ.3,12,19,21,23, ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963, ტომი II.

სურ.10 -ხოშტარია დ. თბილისი - ძველი სასტუმროები. თბილისი. 2011.

სურ.33; გვ. 137 -10 Квирквелия Т. Мгалоблишвили. Н. Архитектура советской Грузии. Москва:Стройиздат. 1986.

გვ. 136, კალობანის და სომხის საყდარის ფოტოები- ელისაშვილი ა. როგორ შეიცვალა თბილისი. თბილისი. 2013.

ნაშრომის პირველი თავის, პირველი ქვეთავის მეორე ნაწილში (გვ. 66) რუსთაველის პროსპექტზე 1991-1992 წლებში ე. წ. „თბილისი ომის“ შედეგად დაზიანებული შენობების აღდგენა რეკონსტრუქციის კონცეფცია, საკონკურსო მასალა და დაზიანებული ნაგებობების ფოტოები აღებულია - ვლადიმერ ქურთიშვილის პირადი არქივიდან სურ.37-45.

რუსთაველის პროსპექტის, კრეშჩატიკის, კურფურსტერდამის სქემები და თანამედროვე ნაგებობის ზოგიერთი ფოტო აღებულია ინტერნეტსივრციდან. სურ. 32,46,49, 59,82.

მშენებარე ობიექტების პროექტების ფოტოები აღებულია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდიდან.

გვ. 154 მაკდონალდსის შენობის ადგილის ადრეული ფოტო. გადაღებულია არქიტექტორ ვ. ორბელაძის მიერ.

სურ. 2, 4.- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ისტორიულ საყრდენი გეგმა. საინფორმაციო რუკები. თბილისის ისტორიული რუკები (საარქივო ასლების მიხედვით). გეოგრაფიკი-გის & დ.ზ. საკონსულტაციო ცენტრი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი.

სურ.50, 76- გადაღებულია გ. რაჯებაშვილის მიერ. სურ.58,63 - გადაღებულია ლ. ბაქრაძის მიერ. სურ.75- გადაღებულია ი. დანელიას მიერ.

სურ.14,18,22,24,26,29,31,34,35,47,48,52-57,60-62,64-71,73-81, 83 - გადაღებულია სოფიო გაბადაძის მიერ.

შესავალი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის თემაა „რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი“.

თემის აქტუალობა: რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხის კვლევა აქტუალური და აუცილებელიცაა, რადგან დღევანდელი მშენებლობის ტემპი და მასშტაბი პროსპექტის ავთენტიკურობის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის; მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პერიოდში ტარდებოდა რუსთაველის პროსპექტის ნაგებობებისა და ქალაქთგეგმარებითი ასპექტებისადმი მიმართული კვლევები, იწერებოდა სტატიები, იმართებოდა კონკურსები, მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში სათანადოდ მაინც არ შესწავლილა; საერთო პროფესიული მოსაზრება პროსპექტის შესახებ არ არის ჩამოყალიბებული, არ ჩატარებულა პროფესიონალური ანალიზი. არც საქებარი და არც მკვეთრად კრიტიკული მოსაზრებები არ ქმნის ობიექტურ სურათს. ამიტომაც სავარაუდოა, რომ კვლევა დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს არქიტექტორებს, რომელთაც პროფესიული მოღვაწეობა მოუწევთ რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალში.

კვლევის ობიექტი: რუსთაველის პროსპექტის და მისი არეალის არქიტექტურული მემკვიდრეობა.

კვლევის მიზანი: რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს შესახებ არსებული მასალის შეგროვება, სისტემატიზება, შესწავლა და ანალიზი; რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების პროცესის შესახებ სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება; მიღებული დასკვნების საფუძველზე შესაბამისი

რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რუსთაველის პროსპექტის შემდგომი განვითარების სწორად წარმართვას.

კვლევის მეთოდოლოგია: ლიტერატურული და საარქივო წყაროების მოძიება, შესწავლა და ანალიზი;

დღევანდელი რუსთაველის პროსპექტისა და მისი არეალის დათვალიერება და ფოტოფიქსაცია;

კონსულტაციები არქიტექტორებთან, რომელთა პროფესიული მოღვაწეობა დაკავშირებულია რუსთაველის პროსპექტის თანამედროვე იერსახის ჩამოყალიბებასთან;

ღია ინტერვიუები პროფესიონალებსა და თბილისის მოქალაქეებთან.

კვლევის ამოცანები:

რუსთაველის პროსპექტის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება;

რუსთაველის პროსპექტის და თავისუფლების, ვარდების რევოლუციისა და რუსთაველის მოედნების არქიტექტურულ-სივრცული ფორმირების ეტაპების კვლევა და კომპოზიციური ანალიზი;

ე.წ. თბილისის ომის დროს დანგრეული რუსთაველის პროსპექტის აღდგენა-რეკონსტრუქციის კონცეფციისა და კონკურსების განხილვა;

რუსთაველის პროსპექტის შედარება სხვა ქვეყნების დედაქალაქების (ბერლინი და კიევი) მთავარ არტერიებთან.

რუსთაველის პროსპექტზე განხორციელებული მშენებლობების კონკრეტული მაგალითების (case study) განხილვა;

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: ჩატარებული კვლევა სასარგებლო იქნება რუსთაველის პროსპექტის კონსერვაციის გეგმის შემუშავებისას; კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები შესაძლოა გამოყენებული იქნეს რუსთაველის პროსპექტზე და მის არეალში მომავალი მშენებლობების წარმართვის დროს; ჩატარებული კვლევა შეავსებს რუსთაველის პროსპექტის

უკანასკნელი წლების ფორმირების ეტაპების შესახებ კვლევების ან ინფორმაციის დანაკლისს; სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მოძიებული მასალისა და ჩატარებული კვლევის ბაზაზე შესაძლებელია შეიქმნას ელექტრონული მონაცემთა ბაზა და ვებგვერდი ინტერნეტსივრცეში, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული მკვლევარებისათვის და მუდმივად განახლდება შემდგომი კვლევების შედეგების შესაბამისად.

თემის სიახლე: ერთი მხრივ, 1991-1992 წლების ე.წ. თბილისის ომმა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებამ, კერძოდ, გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, გამოიწვია რუსთაველის პროსპექტისა და მისი არეალის ინტენსიური ცვლილებები. პირველად მოხდა ამ პერიოდის კვლევა და საკვლევი მასალის სისტემატიზება, რაც ამ დრომდე არ გაკეთებულა. რუსთაველის პროსპექტის მოცულობით-სივრცული და კომპოზიციური თავისებურებები გაანალიზდა თანამედროვე კონტექსტში. ნაშრომი პირველი მცდელობაა რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-კომპოზიციური და სივრცობრივი ფორმირების საკითხის ყოველმხრივი შეფასებისა უკანასკნელი 25 წლის მანძილზე.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ღია ინტერვიუები როგორც არქიტექტორებთან, პროფესიონალებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან, ისე - თბილისის რიგით მოქალაქეებთან. ინტერვიუებში რესპოდენტები გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას რუსთაველის პროსპექტის წარსულ და ამჟამინდელ მდგომარეობასთან მიმართებით; წარმოადგენდნენ მოსაზრებებს მისი მომავალი განვითარების შესახებ. ამგვარი ინტერვიუები რუსთაველის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პირველი პრეცედენტია სამეცნიერო კვლევის კონტექსტში.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომი აპრობირებულია სამ კოლოკვიუმსა და ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. კვლევის დასკვნების მიხედვით გამოიცა სამი სამეცნიერო სტატია.

კოლოკვიუმი:

1. რუსთაველის გამზირის როლი ქალაქურ გარემოში და პარალელები უცხოეთის პრაქტიკიდან. 2 მარტი 2013 წელი.
2. რუსთაველის გამზირი - კონცეფცია, კონკურსი, რეალიზაცია. 11 ივლისი 2013 წელი.
3. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი. 7 თებერვალი 2014 წელი.
4. დისერტაციის აპრობაცია. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი.16 აპრილი 2014 წელი.

კონფერენცია

სტუ-ს # 80 სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია, არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის სექცია. რუსთაველის პროსპექტის როლი ქალაქურ გარემოში და პარალელი კიევის კრეშჩატიკთან. მაისი 2012 წელი. დიპლომი I ადგილი.

გამოქვეყნებული სტატიები:

1. მ. დავითაია, ს. გაბადაძე. უცხოელი არქიტექტორების როლი რუსთაველის გამზირის ფორმირებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - განათლება. თბილისი, 2012 ,#1(4), გვ. 171-177;
2. ს. გაბადაძე. რუსთაველის გამზირი-კონცეფცია, კონკურსი, რეალიზაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - განათლება. თბილისი, 2013, # 3 (9), გვ. 148-153;

3. მ. დავითაია, ს. გაბადაძე. ახალი მშენებლობები თბილისის „ვარდების რევოლუციის“ მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მშენებლობა. 2014, # 1 (32), გვ. 127-133.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, პირველი თავის - **ლიტერატურის მიმოხილვა,** მეორე თავის - **შედეგები და განსჯა,** დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ლიტერატურის ჩამონათვალისგან და ილუსტაციებისგან. დისერტაციის სრული ვერსია შეადგენს 162 გვერდს.

თავი პირველი

ლიტერატურის მიმოხილვა

რუსთაველის პროსპექტის ჩამოყალიბებას და მის არქიტექტურას მიეძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები, სტატიები პერიოდულ გამოცემებში, ილუსტრირებული ფოტოალბომები. ხელმისაწვდომია სხვადასხვა პერიოდის თბილისის გეგმები, ისტორიული რუკები და ჩანახატები. ბოლო წლებში განხორციელებულ, განუხორციელებელ და მიმდინარე მშენებლობებზე ინფორმაცია მწირია და ნაწილობრივ მხოლოდ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზეა განთავსებული. ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი მასალა ეყრდნობა რუსთაველის პროსპექტის ფორმირების საკითხის განხილვას სხვადასხვა ავტორის მიერ მათი შეხედულებებისა და კვლევების საფუძველზე, მცირედი განსხვავებებით დათარიღებებსა და სახელწოდებებს შორის (მაგალითად: მელიქ-ყაზარიანცი ან მელიკ-აზარიანცი, ერევანის მოედანი ან ერივანსკის მოედანი, ქაშვეთი - ქაშოეთი და სხვ.).

თბილისის შესახებ ფუნდამენტურ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგ ბერიძის მონოგრაფია თბილისის ხუროთმოძღვრების შესახებ, ნაშრომი წარმოდგენილია ორ ტომად. **ვ. ბერიძე „თბილისის ხუროთმოძღვრება- 1801-1917 წლები“,** თბილისი. 1960 წ. ტომი I. **ვ. ბერიძე „თბილისის ხუროთმოძღვრება- 1801-1917 წლები“,** თბილისი. 1963 წ. ტომი II. ორტომეული ეძღვნება თბილისის ხუროთმოძღვრების განვითარებას XIX საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე. ნაშრომი მოიცავს თბილისის ხუროთმოძღვრების განვითარების ორ პერიოდს: XIX საუკუნის დასაწყისიდან 60-იან წლებამდე და 60-იანი წლებიდან - 1917 წლამდე. ავტორის მიხედვით, VI საუკუნის დასაწყისიდან თბილისი ქართლის დედაქალაქია და ქართლის ერისმთავართა რეზიდენციას წარმოადგენს. დაგეგმარებითა და არქიტექტურით შუა საუკუნეების თბილისი ტიპური ფეოდალური ქალაქია.

მისი ხუროთმოძღვრული ღერძია მდინარე მტკვარი. VIII საუკუნიდან ქალაქის დომინანტია კალა თავისი ციტადელით. ამ დროისთვის უკვე დგას სიონის და ანჩისხატის ტაძრები. XVII-XVIII საუკუნიდან ქალაქის დომინანტი, კალასთან ერთად, მეტეხის ეკლესიაა. მთებს შორის მოქცეული ქალაქი სიგრძეზე იზრდება. გვიანფეოდალური ხანის თბილისი ასახულია ფრანგი მოგზაურის, შარდენის (თბილისი 1671 წ.), და ტურნეფორის (თბილისი 1701 წ.) ნახატებზე. უფრო მდიდარ და საყურადღებო მასალას ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილი თბილისის გეგმა გვაწვდის [1, გვ.13]. ვახუშტის გეგმის მიხედვით, მთაზე აღმართულია ციტადელი (მაღალი ციხე), მთის ფერდზე მდინარისკენ ეშვება ციხის კედლები, რომლებიც დაბლა ციხეს შემოფარგლავს. მის პირდაპირ მეტეხის ეკლესიაა. დაბალი ციხის გარშემო ქალაქის მთავარი ნაწილებია: მდინარის დაღმა - სეიდაბადი, აღმა, ჩრდილოეთით, კალა (ქალაქის უმთავრესი ნაწილი). აქ არის ქალაქის ფუნქციური და სამეურნეო ცენტრი. მისი ერთ-ერთი მთავარი ქუჩა ახლანდელი ლესელიძის ქუჩის ხაზს ემთხვევა. თბილისის ცენტრი ინაცვლებს ჩრდილოეთისკენ. ქალაქი ვაკეზე იშლება და მთაწმინდისკენ მიიწევს, სადაც ე. წ. გარეთუბანი მდებარეობს, რომელიც არის „ახალი თბილისის ჩანასახი, მისი მომავალი ბირთვი;..... ქალაქის დასავლეთით გალავანთან იკვეთებოდა ჩრდილოეთისკენ მიმავალი დიღმის გზა; ჩანს მომავალი რუსთაველის პროსპექტის ჩანასახიც: მის გასწვრივ რამდენიმე სახლი და ეკლესიაც დგას“, „თბილისი მთელი ამიერკავკასიის ცენტრია და 1846 წლიდან მეფისნაცვლის რეზიდენცია აქ დაფუძნდება“ [1, გვ.13-15].

ავტორი აღწერს, თუ როგორ იზრდება და ვითარდება ქალაქი. XIX საუკუნის პირველი წლებიდან ქალაქი ძველი გალავნის გარეთ იზრდება და ვითარდება. აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული კალა თანდათან აღიდგენდა თავს, თუმცა ახალი ეპოქის ქალაქი, ახალი ფუნქციებითა და ახალი ხელისუფლებით, ახალი ტერიტორიის ათვისებას მოითხოვდა.

ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის რეზიდენციის ასაშენებელ ადგილად გარეთუბანი შეირჩა. „1802 წლის გეგმაზე დღევანდელი ახალგაზროდობის სასახლის ადგილას, რუსეთისკენ მიმავალი დიდი გზის პირას უკვე მითითებულია „Правительственные места“ [1, გვ.22]. კოჯრის კარის წინ მდებარე მოედნის გარშემო და რუსეთის გზის პირას ახალი ცენტრის ჩამოყალიბება იწყება. 1824 წელს მოედანზე კორპუსის შტაბის შენობა აიგო, 1830-იან წლებში - იაკობ ზუბალაშვილის სახლი, კეთილშობილთა სასწავლებელი (რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედნის კუთხეში), მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კი - სხვა სახლები. ამავე პერიოდს ეკუთვნის პოლიციის შენობაც (დღევანდელი თბილისის საკრებულოს შენობა თავისუფლების მოედანზე). ამგვარად დაისახა მოედნის უმთავრესი „საყრდენი“ პუნქტები [1, გვ.24] და სოლოლაკის ქუჩათა ქსელი, რომელიც დღესაც უცვლელია. ამ პერიოდში გარეთუბანში სამი მოედანია: ზემოხსენებული, რომელსაც ერევანის დაერქვა (დღევანდელი თავისუფლებისა), ნიკოლოზის, მთავარმართებლის სასახლის წინ, და ალექსანდრესი, ყაბახის ადგილას. 1828 წლის გეგმაზე მთვარმართებლის სასახლესთან ერთად ასახულია ჰაუპტვახტის (დღევანდელი კინოთეატრი „რუსთაველი“) და მის გვერდით მდებარე სტამბის შენობები (დღეს არარსებული). 1816 წელს აიგო არსენალი (ახლანდელი მთავრობის სახლის ზედა კორპუსის ადგილი), გოლოვინის პროსპექტზე მოსკოვის „ზასტავამდე“ (ახლანდელი ვ. სარაჯიშვილის ქუჩა) ხეები დარგეს. 1859 წელს ძველი ყაბახის ადგილას, ალექსანდრეს მოედანთან, მოეწყო თბილისში პირველი საზოგადოებრივი ბაღი, რომელსაც ალექსანდრეს ბაღი ეწოდებოდა. ბაღის ესკიზი და პავილიონების პროექტი შეადგინა არიტექტორმა ო. სიმონსონმა. „ახალმა ქალაქმა ზურგი შეაქცია მდინარეს, არსებითად უგულებელყო ყოველი ქალაქის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტთაგანი“. [1, გვ.30]. გოლოვინის პროსპექტზე ორმოციან წლებში ბულვარი მოეწყო,

დაიგო ტროტუარი, დაირგო ხეები, დაიდგა სკამები. ერევნის მოედანზე თეატრის აშენების შემდეგ მოეწყო თლილი ქვის აუზი.

თანდათან დაიწყო ქალაქის ზრდა და განვითარება. აიგო სახაზინო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები: „პირველი ახალი მნიშვენლოვანი ნაგებობა თბილისში მთავარმართებლის რეზიდენცია იყო“ [1, გვ.52]. 1802 წელს ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ შექმნილი ეს შენობა 1807 წელს ახალი ნაგებობით შეიცვალა. შენობა რამდენჯერმე იცვალა სახე. 1820-იანი წლების დასაწყისში მას არქიტექტორ ი. სემიონოვის პროექტით კლასიცისტური ფასადი გაუკეთდა. 1860-იან წლების რეკონსტრუქციის შემდეგ, არქიტექტორ ო. სიმონსონის პროექტის მიხედვით, კლასიცისტური ფასადი რენესანსულით შეიცვალა. 1869 წელს მეფისნაცვლის სასახლის რეკონსტრუქცია დასრულდა.

ახალ შენობათაგან აღსანიშნავია 1837-1840 წლების პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობა. XIX საუკუნის შუა წლებში, კერძოდ, 1847-1851 წლებში, აშენდა იტალიელი არქიტექტორის, ჯოვანი სკუდიერის, პროექტით თეატრი ერევნის მოედანზე თბილისელ ვაჭარ გაბრიელ თამამშევის სახსრებით. თეატრის ნაგებობა ქარვასლასაც შეიცავდა. 1860-იანი წლების დასაწყისს მიეკუთვნება კადეტთა კორპუსი რუსთაველის პროსპექტზე (ახლანდელი ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შენობა).

„ფეოდალიზმის ეპოქა მთავრდება. საქართველო რუსეთის იმპერიის სწრაფი კაპიტალისტური განვითარების ნაკადში ექცევა“ [2, გვ.35]. XIX საუკუნის თბილისი ბურჟუაზიულ-ჩინოვნიკური ქალაქი ხდება. დასახლდა და განვითარდა გარეთუბანი, ვერა, ვაკე, ჩუღურეთის რაიონი, ავლაბარი, დიდუბე. „რუსთაველის პროსპექტი და თავისუფლების მოედანი საბოლოოდ ყალიბდება, როგორც ქალაქის ადმინისტრაციული, ფინანსური და კულტურული ცენტრი“ [2, გვ.48].

1880-1890-იანი წლებიდან რუსთაველის პროსპექტი კულტურული ცენტრი ხდება: უკვე არსებულს ემატება კავკასიის მუზეუმი, სახაზინო თეატრი, არტისტული საზოგადოების თეატრი, კლუბი „კრუჟოკი“ (დღევანდელი ოფიცერთა სახლი).

პროსპექტის ორსართულიან განაშენიანებაში 1840-1850-იანი წლების თბილისური სახლები იცვლება ევროპული შემოსავლიანი სახლებით. ასეთ სახლებს აგებენ მელიქ-ყაზარიანცი, ზუბალაშვილი, სარაჯიშვილი და სხვ. ჩნდება ევროპული სასტუროები - „ორიანტი“ და „მაჟესტიკი“ [2, გვ.49].

რუსთაველის პროსპექტის ოფიციალურ მშენებლობაში აღსანიშნავია გერმანელი არქიტექტორის, ა. ზალცმანის, მონაწილეობა რამდენიმე შენობის დაპროექტებაში, ესენია: კავკასიის მუზეუმი (რუსთაველის და გუდიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე); ქალთა გიმნაზიის ყოფილი შენობა (გუდიაშვილის #10); ყოფილი სასტუმრო „ორიანტი“ 1895 წ. (რუსთაველის პროსპექტი #7); 1885-1888 წლებში სამხედრო-ისტორიული მუზეუმისთვის განკუთვნილი შენობა „დიდების ტაძარი“ (დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა). ღუნიბის მოედანზე 1897 წელს აგებული ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი გოლოვინის პროსპექტის დომინანტი ხდება. თავისუფლების მოედანზე არქიტექტორ ა. ოზეროვის პროექტით რეკონსტრუქცია უტარდება თბილისის საკრებულოს შენობას, შენობის ფასადების ავტორია არქიტექტორი პ. შტერნი. 1880-1896 წლებში რუსთაველის პროსპექტზე იგება სახაზინო თეატრი ვ. შრეტერის პროექტით (დღევანდელი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა). ასევე, არტისტული საზოგადოების თეატრი (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის შენობა), რომლის პროექტი ა. შიმკევიჩს და კ. ტატიშჩევს ეკუთვნით. 1898-1901 წლებშია აშენებული ოფიცერთა სახლი, ხოლო 1915 წელს არქიტექტორ გ. ტერმიქელოვის პროექტით - სასტუმრო

„მაჟესტიკის“ შენობა (ახლანედლი სასტუმრო „თბილისი მარიოტი“). 1904-1910 წლებში არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით შეიქმნა ქვაშვეთის ახალი ტაძარი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის საცხოვრებელ სახლებს შორის, რომლებიც რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალშია განლაგებული, აღსანიშნავია 1898 წელს კ. ტატიშჩევის პროექტით აგებული ბაქოს I გილდიის ვაჭარ არაფელოვის სახლი რუსთაველის პროსპექტსა და ალ. ჭავჭავაძის ქუჩათა კუთხეში [2, გვ.128].

ვახტანგ ბერიძემ დიდძალ საარქივო მასალაზე დაყრდნობით მოიძია რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედანზე არსებული შენობების პროექტები, მოახდინა მათი იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია; თავი მოუყარა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას თბილისში მოღვაწე ხუროთმოძღვართა შესახებ (თბილისელი არქიტექტორების და მშენებლების ბიოგრაფია და მათ მიერ შესრულებული პროექტების ჩამონათვალი).

XVIII საუკუნის თბილისის გარეგან სახეზე თბილისური დოკუმენტების საფუძველზე მოგვითხრობს ავტორი მ. ბერძენიშვილი წიგნში: **მ. ბერძენიშვილი „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში“** (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით, თბილისი 1965 წ.). წიგნში განხილულია ქალაქის ძველი უბნები- კალას, სეიდაბადის, ავლაბრის და გარეთუბნის - წარმოშობა და მათი განვითარება ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის, ალექსანდრე პიშჩევიჩის 1785 წლის, 1800 წლის, 1802 წლის და 1828 წლის თბილისის გეგმების მიხედვით. XVIII საუკუნის თბილისი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: საკუთრივ თბილისი, კალა და ავლაბარი მტკვრის მარცხენა ნაპირას. ამ სამი უბანის გარდა, კალას ჩრდილო-დასავლეთით გარეთუბანი მდებარეობდა. „ვახუშტის გეგმის მიხედვით უკიდურესი წერტილი ამ მხრისაკენ ქაშვეთის ეკლესია, იქვე მდებარე ციციშვილის სახლით, მტკვირსკენ მეფის საასპარეზო და ყაიბულას ბაღია“ [3, გვ.43]. აქ მთავრდებოდა ქალაქი. გარეთუბანში ქაშვეთის ტერიტორია მჭიდროდ იყო

დასახლებული. მოპირდაპირე მხარეს კი მოსახლეობას ბაღები და ვენახები ჰქონდა გაშენებული. თბილისის ფარგლები ფართოვდება ჩრდილოეთისაკენ. გრიბოედოვის ქუჩაზე ე.წ. ზირკინაანთ ეკლესია ააგეს 1713 წელს. მის დამაარსებელს იქვე ბაღებიც გაუშენებია. „გარეთუბანში ჩნდება თავადთა და ბატონიშვილთა საცხოვრებლებიც“ [3, გვ.45]. 1712 წელს ხორამზე ბატონიშვილმა გარეთუბანში სახლი იყიდა. აქვეა მუხრან-ბატონის სასახლეც. გარეთუბანში ყაბახთან ხერხეულიძის, აბაშიძის, ციციშვილის, შერმაზანაშვილის, თუმანიშვილის სახლები და ამილახვართა საერთო საგვარეულო სასახლე მდებარეობდა. 1785 წლის ა. პიშჩევიჩის მიერ შედგენილი თბილისის გეგმით, საცხოვრებელი კვარტლები მხოლოდ ვანქის უბანშია ნაჩვენები. XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებში გარეთუბნის ხელახალი გამოცოცხლება დაიწყო, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ კვლავ შეაფერხა გარეთუბნის განვითარება. ვანქის უბნის გვერდით, მტკვრის აღმა, ორბელიანთა უბანი იყო, ვახუშტის გეგმის მიხედვით, აქ მდებარეობდა „მეიდნის სასახლე“, საასპარეზო და მეფის საბაზიერო შენობა. შემდგომ ეს ადგილი ორბელიანებს აჩუქა თეიმურაზ მეორემ. ორბელიანების უბნის დასავლეთ საზღვარი ყაბახი იყო (დღევანდელი 9 აპრილის ბაღი), რომელსაც გარეთუბნის მოედნადაც იხსენიებენ. გარეთუბნის მოედანთან აგურხანა იყო „აგურხანა ყაბახქვეშ, მოედნის ანუ ყაბახის აქეთ, მტკვრის აღმა“ [3, გვ.50], ასევე საჭურჭლე ქარხნები, ანუ ქურახანები თავიანთი დუქნებით.

ვახუშტის გეგმის მიხედვით, გარეთუბანს სამკუთხა ფორმა ჰქონდა კალოუბნიდან ქაშვეთამდე. აქ იყო საცხოვრებელი სახლები და დუქნები. ქვაშვეთის ქუჩაზე იყო რასტაბაზარი (სავაჭრო გრძელი რიგი). კალოუბანსა და ქაშვეთის ტაძარს შორის ორი გზა გადიოდა, ერთი - დიღმისა (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი), მეორე კი - ქვეითთა ქუჩა, ქვაშვეთის დუქნების წინ (დღევანდელი გუდიაშვილის ქუჩა). XVIII საუკუნეში გარეთუბანში, დიღმის გზის აღმოსავლეთით, საცხოვრებელი უბანი არსებობდა, დიღმის გზის

დასავლეთით კი, მთაწმინდის კალთამდე, ბაღ-ვენახები იყო გაშენებული. ამრიგად, წიგნში განხილულია გარეთუბნის XVIII საუკუნის გარეგანი სახე და არ შეიცავს ხელოვნებათმცოდნეობით ანალიზს.

თბილისის არქიტექტურის შესახებ არსებულ ლიტერატურაში პუბლიკაციები, რომლებიც უშუალოდ რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურას შეეხება, არც ისე ბევრია. ამ მხრივ, საინტერესოა დამსახურებულ ინჟინერ გ. ბეჟანიშვილის წიგნი - **გ. ბეჟანიშვილი „რუსთაველის პროსპექტი და მოედანი“, თბილისი 1967 წ**. ნაშრომი ეძღვნება რუსთაველის პროსპექტსა და რუსთაველის მოედანს და კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ნაშრომი სპეციფიკურად რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ცალკეულ ნაგებობებს განიხილავს. წიგნში ასევე განხილულია პროსპექტზე მდგომი სკულპტურული ძეგლები, როგორც არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების მნიშვენლოვანი ნაწილი, პროსპექტის კეთილმოწყობა და გამწვანების საკითხები. ნაშრომი ცნობარის სახითაა დაწერილი. რუსთაველის პროსპექტის ისტორია XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. 1807 წელს პროსპექტის დასაწყისში ყოფილი მთავარმართებლის (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის) შენობის აგება იწყება, 1831 წელს ვაჟთა პირველი გიმნაზია (დღევანდელი პირველი კლასიკური გიმნაზია) იხსნება. „ქალაქს, მის უბანს თუ ქუჩას, ისევე როგორც თითოეულ ადამიანს, აქვს თავისი ინდივიდუალობა, სახე და ისტორია, რომელშიც განსახიერებულია თითოეული მათგანის თავისებურება“ [4, გვ.5]. ავტორის აზრით, რუსთაველის პროსპექტი გამოირჩევა არა მარტო ცალკეული შესანიშნავი შენობებით, არამედ - მთელი არქიტექტურული ანსამბლით. პროსპექტის სიმრუდე სასტუმრო „თბილისთან“ (ახლანდელი „თბილისი მარიოტი“) და ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (იმელის) შენობასთან საშუალებას იძლევა, რომ პროსპექტზე მდებარე შენობის მხატვრული სილამაზე გამოჩნდეს.

1833-1835 წლებში მიწის მზომელმა ტოვარნიცკიმ შეადგინა პროსპექტის გეგმა სახლების მშენებლობისათვის და მიწის ნაკვეთები დიდმოხელეებმა და სამხედრო პირებმა შეიძინეს. 1848 წლიდან ვაჟთა პირველ გიმნაზიასთან, ღუნიბის მოედანზე, მოეწყო და გამწვანდა ტროტუარი. ფეხით მოსიარულენიც ამ მხარეს დადიოდნენ, აქ შენდებოდა მაღაზიები და დუქნები. პროსპექტის მოპირდაპირე მხარეს მიწები უფრო იაფი ღირდა, რადგან ამ მხარეს ზაფხულში დღის მეორე ნახევარში ძალიან ცხელოდა. ამავე მხარეს აიგო სახაზინო და არტისტული საზოგადოების თეატრები. გოლოვინის (ანუ მთავარ) პროსპექტს ბულვარსაც უწოდებდნენ. 1846 წლიდან ქაშუეთის ეკლესიასთან იდგა ზარბაზანი, საიდანაც შუადღის სროლა შემოიღეს, თუმცა 1882 წელს ზარბაზნის სროლა გადაიტანეს პროსპექტიდან მოშორებით. ამ პერიოდში ქალაქში მხოლოდ ერთი საათი იყო კორპუსის შტაბის შენობის კოშკზე (დღეს თავისუფლების მოედანი #4). წიგნში განხილულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის შენობის აგების ისტორია (1885-1888 წლები). ავტორის მიხედვით, 1891 წელს თბილისში შემოიღეს შენობების ნუმერაცია, რომლის თანახმად, პროსპექტი ახლანდელი თავისუფლების მოედნიდან იწყებოდა და ვ. სარაჯიშვილის ქუჩასთან მთავრდებოდა.

1877 წელს, არქიტექტორ ფონ-სკოიანის პროექტის მიხედვით, ლ. უკრაინკას და რუსთაველის ქუჩის კუთხეში მუხრანბატონის სახლი აშენდა. შენობაში სხვადასხვა დროს სასტუმრო და თბილისის საკრებულო („სობრანიე“) განთავსებულიყო. 1921 წელს ნაგებობა დაიწვა. 1934 წელს კავშირგაბმულობის სახლი აიგო (არქიტექტორი კ. სოლომონოვი), რომელიც 1955 წელს გადაკეთდა არქ. ი. ჩხენკელის პროექტით და შენობამ დღევანდელი სახე მიიღო. ოფიცერთა საოლქო სახლის ადგილას 1857 წლიდან შიოევას ორსართულიანი სახლი იდგა, არქ.: გრ. ივანოვი. შენობა იჯარით „ტიფლისკი კრუჟოკს“ ჰქონდა აღებული. 1912 წელს, კლუბის გაფართოების მიზნით,

არქიტექტორ დ. ჩისლიევის პროექტით 1916 წელს სამსართულიანი შენობა დასრულდა.

1918 წლიდან პროსპექტი რუსთაველის სახელს ატარებს. რამდენიმე განშტოება აქვს ქუჩას ორივე მხარიდან: მარჯვენა მხირდან კეცხოველის შესახვევი (ახლანდელი ნ. ვაჩნაძის ქუჩა), ა. ფურცელაძის ქუჩა, ა. ჯორჯაძის ქუჩა, ა. ჯორჯიაშვილის ქუჩა (ახლანდელი გ. ჭანტურიას), ვ. აბაშიძის ქუჩა, ლუნაჩარსკის ქუჩა (ახლანდელი რ. ლაღიძის), გერცენის ქუჩა (ახლანდელი შ. მესხიას ქუჩა), რუსთაველის გასასვლელი, ინაშვილის ქუჩა, დაღმართი, ელაბაქიძის დაღმართამდე (ახლანდელი მ.ჯავახიშვილის ქუჩა). მარცხენა მხრიდან ჩიტაძის ქუჩა (ახლანდელი 9 აპრილის ქუჩა), ზ. ჭიჭინაძის ქუჩა, ლ. უკრაინკას ქუჩა, ბესიკის ქუჩა, წულუკიძის ქუჩა (ახლანდელი მ. ლაღიძის ქუჩა), ა. ჭავჭავაძის ქუჩა, რუსთაველის შესახვევი, გრიბოედოვის ქუჩა, ვ. სარაჯიშვილის ქუჩა, მოსკოვის ქუჩა (ახლანდელი ძმები კაკაბაძეების ქუჩა). დღეს პროსპექტი თავისუფლების მოედნიდან იწყება და რუსთაველის სახ. მოედნამდე გრძელდება. მისი სიგრძე 1400 მეტრია.

1932 წელს თბილისში გადაწყდა მთავრობის სახლის აგება, მასში უნდა განთავსებულიყო რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები. პროექტის კონკურსი რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. გაიმარჯვა არქიტექტორების, ვ. კოკორინისა და გ. ლეჟავას, პროექტმა. 1938 წელს დასრულდა მთავრობის სახლის ზედა კორპუსის მშენებლობა. 1946 წელს გაიმართა კონკურსი მთავრობის სახლის რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობის პროექტზე. 1953 წელს ვ. კოკორინის და გ. ლეჟავას პროექტით შესრულებული ნაგებობა ექსპლუატაციაში გადაეცა.

ყოფილ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობის პროექტიც დ. ჩისლიევს ეკუთვნის. ეს კონსტრუქტივისტული შენობა რუსთაველის პროსპექტზე 1930 წელს აიგო. რუსთაველის პროსპექტისა და ვ. სარაჯიშვილის ქუჩის კუთხეში 1935 წელს ინჟინერ სიმენსონის პროექტით შესრულდა

ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მის გვერდით მდგარი გაბაშვილის ორსართულიანი ამორტიზებული ქოხები ავიწროებდა პროსპექტს. ამ ადგილას1953 წელს ქვანახშირის ადმინისტრაციული სახლი აშენდა. პროექტის ავტორები იყვნენ არქიტექტორები: მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე, კონსტრუქტორი - დ. კორძაია.

რუსთაველის პროსპექტის სიგანე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შენობასთან 54 მეტრია. მუზეუმის შენობის ადგილას 1870 წელს ორსართულიანი შენობა იდგა, ექსპონატების სიუხვის გამო საჭირო გახდა დიდი შენობა. პროექტი შეადგინა კ. ტატიშჩევმა. 1910 წელს ორსართულიანი შენობა დაინგრა და ახალს ჩაეყარა საძირკველი. მშენებლობის პროცესში კ. ტატიშჩევის მავრიტანული სტილის ფასადში არქიტექტორმა მ. ნეპრინცევმა გეგმაში ცვლილებები შეიტანა ირანული მოტივების შემოტანის სურვილით. მშენებლობა 1915 წელს შეჩერდა. 1926 წელს ჩატარდა ღია კონკურსი. მშენებლობა 1928 წელს დაიწყო. არქიტექტორ ნ. სევეროვის პროექტით აიგო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შენობა და კინოთეატრი „რუსთაველი“ (გაიხსნა 1939 წელს).

სასახლის ქუჩის სიგანე 16 მეტრი იყო. 1937 წელს სასახლის ქუჩაზე მდებარე შენობები დაანგრიეს. 1939 წელს აიგო საცხოვრებელი სახლი. არქიტექტორები იყვნენ: ა. ქურდიანი, მ. მელია, ს. ყუბანეიშვილი. ორსართულიანი ჰაუპტვახტის შენობა 1930 წელს დაანგრიეს.

ძალზე საინტერესოდ იკვეთება წიგნში რუსთაველის პროსპექტზე თეატრების მშენებლობის ისტორია. 1847 წელს თბილისში თეატრის პირველი ნაგებობა აიგო ჯ. სკუდიერის პროექტით. ვ. შრეტერს ეკუთვნის სახაზინო (დღევანდელი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური) თეატრის შენობის პროექტი. ეს ნაგებობა 1880-1896 წლებითაა დათარიღებული. ა. შიმკევიჩის და კ. ტატიშჩევის მიერ

დაპროექტდა საარტისტო საზოგადოების (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის) შენობა 1898-1901 წლებში. წიგნში ასევე განხილულია რუსთაველის პროსპექტზე სასტუმროს შენობების აგების ისტორია: 1915 წელს არქიტექტორ გ. ტერმიქელოვის პროექტით სასტუმრო „თბილისი“ და 21-სართულიანი სასტუმრო „ივერია“ აიგო, რომლის მშენებლობა 1964 წელს დაიწყო. პროექტის ავტორია არქ. ო. კალანდარიშვილი. ეს შენობა თბილისში ყველაზე მაღალი შენობა იყო.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება სკულპტურულ ძეგლებს ეთმობა, რომლებიც პროსპექტის მხატვრულ გაფორმებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ გამწვანებულ სკვერში 1958 წელს აკაკის და ილიას ძეგლი დაიდგა, მოქანდაკეები არიან შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე. მოქანდაკე ი. ნიკოლაძეს ეკუთვნის აკაკის და ე. ნინოშვილის ბიუსტები. 1948 წელს დაიწყო პროსპექტის გამწვანება. დღევანდელი 9 აპრილის ბაღის გაშენება მებაღე შარერის ხელმძღვანელობით დაიწყო 1859 წელს და დასრულდა ოთხ წელიწადში. პროსპექტზე 1884 წლიდან კონკა დადიოდა, რომელიც შემდეგ ტრამვაიმ შეცვალა. 1938 წელს ტრამვაის ხაზი აიღეს. წიგნში აღწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის (იმელის) შენობის არქიტექტურული კონკურსი და მშენებლობის ისტორია (პროექტის ავტორია ა. შჩუსევი, 1933-1938 წწ). წიგნში ასევე განხილულია მომავალი მშენებლობების - უნივერმაღის და ტელეგრაფის - შენობების პროექტები, განხილულია მეტროპოლიტენის შენობის სადგურებიც. რუსთაველის პროსპექტი მთავრდება რუსთაველის მოედნით. XIX საუკუნეში აქ გადიოდა სამხედრო გზა. 1914 წელს არქიტექტორ ნ. ობოლონსკის პროექტის მიხედვით კუთხის სახლი აშენდა, რის გამოც რუსთაველის პროსპექტის ეს მონაკვეთი (ყოფილი ოლღას ქუჩა) 13 მეტრით დავიწროვდა. ქუჩა დღეს ამ ადგილას 33 მეტრია.

ნ. ჯანბერიძის ნაშრომი „ქართული საბჭოთა არქიტექტურა. განვითარების გზები“, თბილისი 1971 წ. ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის განვითარებას 1921 წლიდან 70-იან წლებამდე. ავტორი დეტალურად აღწერს აღნიშნული პერიოდის არქიტექტურის განვითარების ეტაპებს. ნაშრომი, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების შესაბამისად, სამ ნაწილად იყოფა. პირველი ეტაპი 1921-1932 წლებს მოიცავს, მეორე - 1933-1954 წლებს და მესამე - 1955-1968 წლებს. არქიტექტორმა ნ. ჯანბერიძემ ჩაატარა საარქივო კვლევა თბილისის ცალკეულ შენობებზე და რუსთაველის პროსპექტიც მიმოიხილა. ავტორი ყოველი პერიოდის შესაბამისად განიხილავს ცალკეული მნიშვნელოვანი შენობების აგების ისტორიას და ხელოვნებათმცოდნეობის კუთხით აანალიზებს მას. ასეა შესწავლილი პროსპექტზე 1929 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც არქიტექტორმა ნ. სევეროვმა შეადგინა. „არქიტექტორმა თაღედის თავისებური ორდერის შექმნით ახალი პროპორციული დანაწევრება შესძინა არა მარტო თვით შენობას, არამედ განაპირობა პროსპექტის შემდგომი განაშენიანების ოპტიმალური სიმაღლეც. შეიქმნა პროსპექტისათვის შესაფერისი ნაგებობის მასშტაბი, რასაც მხოლოდ შენობის აბსოლუტური ზომები ვერაფრით ვერ განსაზღვრავდა. თაღედ-არქივოლტის თემით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება რიზალიტთა თაღების ნიშებს, შეიქმნა ქალაქის ძირითადი მაგისტრალის - რუსთაველის პროსპექტის განსაზღვრული არქიტექტურული მასშტაბი“ [5, გვ.82]. აღსანიშნავია „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა (1929 წ). 1926 წელს ჩატარდა არქიტექტურული კონკურსი და გამარჯვებული პროექტის ავტორი არქიტექტორი დ. ჩისლიევი გახდა, რომელსაც შენობის პროექტის ორი ვარიანტი ჰქონდა დამუშავებული: ერთი ეკლეკტიკური არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენდა, მეორე კონსტრუქტივიზმის პრინციპს ეყრდნობოდა. გაიმარჯვა მეორე პროექტმა. 1932 წელს აიგო კავშირგაბმულობის სახლი

რუსთაველის პროსპექტსა და ლ. უკრაინკას ქუჩების გადაკვეთაზე. შენობის პროექტის ავტორი არქიტექტორი კ. სოლომონოვი იყო, რომელმაც შენობა კონსტრუქტივისტულ სტილში წარმოადგინა.

1921-1932 წლების ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში გამოვლინდა ორი მიმართულება - „ერთი მხრივ, ცდა თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში ეროვნული არიტექტურული ფორმების გამოვლენისა, ან, როგორც, მაშინ ამბობდნენ, „ქართული სტილის“ შექმნისა, ხოლო მეორე მხრივ - რაციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის პრინციპების შეთვისება“ [5, გვ.100].

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მეორე ეტაპზე გამოვლინდა კლასიციზმის არქიტექტურული მემკვიდრეობის და ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების ათვისებისა და გამოყენების მცდელობა. მეორე ეტაპიდან (1933-54 წწ.) აღსანიშნავია თავისუფლების მოედნის რეკონსტრუქცია, როდესაც დაანგრიეს მოედნის შუაგულში მდებარე ქარვასლის შენობა და გააგანივრეს სასახლის ქუჩა, რის შედეგადაც მოედანი უშუალოდ პროსპექტს შეუერთდა. პროსპექტის სიგანე აღნიშნულ ადგილას 40 მეტრი გახდა, რამაც შექმნა აქ მრავალსართულიანი სახლის აგების შესაძლებლობა (რუსთაველის პროსპექტი #1). აღსანიშნავია, ამ პერიოდის მშენებლობაში მთავრობის სახლის ზედა კორპუსის მშენებლობა 1932-1935 წლებში. თბილისში მთავრობის სახლის ასაგებად გამოცხადდა არქიტექტურული კონკურსი. ერთ არქიტექტურულ ანსამბლს უნდა გაეერთიანებინა რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება. მთავრობის სახლის პროექტის განხილვაში მონაწილეობდა ფართო საზოგადოება. კონკურსში მონაწილე არქიტექტორებისთვის ეწყობოდა ლექციები თანამედროვე მშენებლობისა და ეროვნული არქიტექტურული ფორმების შესახებ. საკონკურსო მოცემულობა ითხოვდა დიდებულ მონუმენტურობასთან ერთად ეროვნული კოლორიტის წარმოჩენას. კონკურსი რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. 1934 წელს კონკურსის მეოთხე ეტაპზე 8 პროექტი იყო წარმოდგენილი.

კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტორების - ვ. კოკორინისა და გ. ლეჟავას-პროექტმა. მთავრობის სახლის ზედა კორპუსის მშენებლობა 1933 წელს დაიწყო და 1938 წელს დასრულდა. რთული რელიეფის გამო შენობა ტერასებად განლაგდა რუსთაველის პროსპექტიდან ძმებ ზუბალაშვილების ქუჩამდე. გეგმაში რუსული „П“ ასოს ფორმის არქიტექტურული ნაგებობების კომპლექსი სამი მხრიდან რვასართულიანი შენობებით გარშემოსაზღვრული კურდონიერის სახით გამოდიოდა რუსთაველის პროსპექტზე. ეროვნული მოტივები გამოვლენილია ქართული ორნამენტის თავშეკავებულ გამოყენებაში.

1933-1938 წლებში ა. შჩუსევის პროექტის მიხედვით აიგო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (იმელის) შენობა. 1933 წელს გამოცხადდა დახურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ არქიტექტორები: ი. ა. ფომინი, ვ. დ. კოკორინი, ნ. პ. სევეროვი, ა. ვ. ვლასოვი, მ. კ. კალაშნიკოვი და ა.ვ. შჩუსევი. გაიმარჯვა არქიტექტორ ალექსეი შჩუსევის პროექტმა. ჟიურიმ უპირატესობა მიანიჭა სიმეტრიულ ფასადს. მიწის ნაკვეთი, სადაც შენობა უნდა აგებულიყო, სწორკუთხა ფორმისა იყო და გამოდიოდა სამ ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, კვალის ქუჩასა და შ. მესხიას ქუჩებზე. მეოთხე მხარეს მას ესაზღვრებოდა ნაკვეთი, თაბუკაშვილის ქუჩაზე 6 მ-ით დაბლა რუსთაველის პროსპექტთან შედარებით, ამიტომაც მას დამატებითი ცოკოლის სართული გაუკეთეს თაბუკაშვილის ქუჩის მხრიდან. გეგმის მიხედვით, რუსული „П“ ფორმის შენობა სიმეტრიულია, ცენტრალურ ნაწილს ეზოს მხრიდან ნახევარწრიული ფორმა აქვს, გვერდითი ფლიგელები კი სწორკუთხაა. „შენობა თავისი არქიტექტურით ეთანხმება საქართველოს მუზეუმის რეკონსტრუქციით შექმნილ ახალ მასშტაბს რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებაში“ [5, გვ.197]. ნაგებობის მთავარი ფასადი სვეტებიანი პორტიკით პასუხობს პროსპექტის გაბარიტებსა და სივრცობრივი აღქმის შესაძლებლობას. ფასადის კედლები მოპირკეთებულია ბოლნისის

მოყვითალო ტუფით, ცოკოლი და სვეტები მუქი რუხი გაპრიალებული ტეშენიტითა და ანდეზიტ ბაზალტით.

„იმპოზანტური“ ფასადით რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში გამორჩეულია საცხოვრებელი სახლი, რომელიც 1939 წელს არქიტექტორების - ა. ქურდიანის, ს. ყუბანეიშვილისა და მ. მელიას - პროექტით შესრულდა.

1939 წელს არქიტექტორმა ნ. სევეროვმა კინოთეატრ „რუსთველის“ პროექტი შექმნა. ოთხსართულიანი კინოთეატრის შენობის ფასადი ვერტიკალურად კორინთული სვეტებითაა დანაწევრებული. მეორე სართულის თაღებში ქანდაკებებია მოთავსებული (მოქ. ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე).

1946 წელს ჩატარადა კონკურსი მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პროექტის შესადგენად. კორპუსში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო უნდა განთავსებულიყო. გამოიყო ადგილი მთავრობის სახლის ძველი კორპუსის წინ რუსთაველის პროსპექტზე. წარმოდგენილი პროექტებიდან ყველა პროექტი დიდი ორდერით იყო გაფორმებული. გაიმარჯვა არქიტექტორების - ვ. კოკორინის და გ. ლეჟავას - პროექტმა (ვ. ნასარიძის მონაწილეობით). 1953 წელს დაიწყო მშენებლობა. მთავრობის სახლის აგების შემდეგ გადაწყდა კავშირგაბმულობის სახლის რეკონსტრუქცია. 1954 წელს გამოცხადდა კონკურსი, გაიმარჯვა არქ. ი. ჩხენკელის პროექტმა.

1953 წლით თარიღდება დღევანდელი მეცნიერებათა აკადემიის შენობა, პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე. ნაგებობა რუსთაველის პროსპექტის ბოლოს, რუსთაველის მოედნის კუთხეში, აშენდა. ამ მომენტიდან დაიწყო პროსპექტის რეკონსტრუქცია. ძველი შენობები დაინგრა და ქუჩის სიგანე 20 მეტრიდან 32 მეტრამდე გაფართოვდა. ხუთსართულიანი შენობა პროსპექტის წითელ ხაზს უსწორდება და კუთხეში 55-მეტრიანი კოშკით მთავრდება. წიგნში ასევე განხილულია რუსთაველის მოედნის დაგეგმარების კონკურსი, რომელიც 1945 წელს გამოცხადდა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მესამე ეტაპი 1955-1968 წლებს მოიცავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1967 წელს არქიტექტორ ო.კალანდარიშვილის პროექტით 22-სართულიანი სასტუმრო „ივერიის“ და რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსის მშენებელობა, რომელიც უნივერმაღს, გრიბოედოვის სახ. თეატრსა და მეტროპოლიტენის სადგურს აერთიანებს (არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მეძმარიაშვილი, თანაავტორი ბ. გორდეზიანი). მიუხედავად განსხვავებული ფუნქციის ნაგებობების გაერთიანებისა, კომპლექსი მხატვრული სახის ერთიანობით ხასიათდება. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზის მესამე ეტაპი ახალი სტილისტიკური თავისებურებით გამოირჩევა: „არქიტექტურულ ფორმათა სიმკაცრე და სისადავე, ნაგებობათა ოპტიკური სიმსუბუქე, გამომსახველობის პალიტრის შემცირება“ [5, გვ.457].

ნ.ჯანბერიძის მონოგრაფია მნიშვნელოვანია თავის კვლევის ხარისხითა და მოწოდებული ინფორმაციის სრულყოფილებით.

Б.А. Маминашвили Развитие общественного центра Тбилиси, Москва 1975. თბილისის მაგალითზე ნაშრომში განხილულია ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცენტრის არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზების ძირითადი პრინციპები, ქალაქის განაშენიანება მდინარის გასწვრივ და ქალაქის ცენტრის ფორმირების და არქიტექტურულ-სივრცითი ორგანიზების საკითხები; აღწერილია ვახუშტის გეგმის მიხედვით ქალაქის ცენტრის სტრუქტურა, ძველი ქალაქი და გარეთუბნის დასახლება. ნაშრომში განხილულია, აგრეთვე, რუსთაველის პროსპექტის ხაზოვანი განაშენიანება თბილისის მომდევნო გეგმების მიხედვით.

აღსანიშნავია თენგიზ კვირკველიას ნაშრომი თბილისის არქიტექტურის შესახებ -**Т. Квирквелия „Архитектура Тбилиси“, Тбилиси 1982.** წიგნი სამ ნაწილად იყოფა: თბილისის ქალაქთმშენებლობის ისტორია, თანამედროვე

თბილისი და თბილისის განვითარების პერსპექტივა. ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება თბილისის ცენტრს; განხილულია რუსთაველის პროსპექტისა და თავისუფლების მოედნის ჩამოყალიბების ისტორია და აქ მდებარე არქიტექტურული ძეგლები. ავტორი აღწერს ერევნის მოედანზე განლაგებულ შენობებს: კავკასიის არმიის შტაბის შენობას (1824 წ.) მის პირდაპირ 1825წ. აგებულ ზუბალაშვილის სახლს (დღევანდელი შ. ამირნაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი), რომლის წინ 1885 წელს პუშკინის სახ. სკვერი გაშენდა. 1830-იან წლებში მოედნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ე.წ. „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ იდგა. 1847 წელს მოედნის ცენტრში ოთხსართულიანი სწორკუთხა ფორმის თეატრის შენობა ააშენეს. XIX საუკუნის შუა წლებში ააფეთქეს ქალაქის კედელი, რომლის გასწვრივ პუშკინის ქუჩაზე 1901-1902 წლებში „ტიფლისის პასაჟი“ აშენდა არქიტექტორ ა. შიმკევიჩის პროექტით, რომელიც 1935 წელს არქიტექტორ მ. ნეპრინცევის პროექტით გადაკეთდა. 1912 წელს საბოლოო სახე მიიღო მერიის შენობამ, რომელიც 1830-იან წლებში პოლიციის განყოფილებისთვის შეიქმნა. 1930-იან წლებში მოედნის რეკონსტრუქცია იწყება, აიღეს ქარვასლის შენობა და დადგეს ტრიბუნა, რომელიც 1938 წელს პუშკინის სახ. სკვერთან გადაიტანეს. 1950-იან წლებში ტრიბუნა აიღეს მოედნიდან. 1971 წელს სკვერის უკან ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობა აშენდა (არქიტექტორები: გ. მელქაძე, ნ. კვარაცხელია). 1956 წელს მოედნის ცენტრში მაღალ კვარცხლბეკზე ლენინის ძეგლი დაიდგა (მოქანდაკე ვ. თოფურიძე, უ. ჯაფარიძის მონაწილეობით, არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, კ. ხეჩინაშვილი). წიგნში აღწერილ პერიოდში რუსთაველის პროსპექტი ისეთივე განუყოფელი ნაწილია თბილისისა, როგორიც კრეშჩატიკი - უკრაინისთვის, ნევის პროსპექტი - ლენინგრადისთვის (ახლანდელი პეტერბურგი). პროსპექტზე განლაგებულია მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათებლო ნაგებობები: მთავრობის სახლი, კავშირგაბმულობის სახლი, ცენტრალური

ტელეგრაფი, ოფიცერთა სახლი, იმელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სურათების ეროვნული გალერეა, სამი კინოთეატრი, სამი დრამატული თეატრი, საოპერო თეატრი, გაზეთის რედაქცია, სასტუმროები და სხვა. პროსპექტი გადაჭიმულია თბილისის მთიანი რელიეფის ერთ-ერთ მაღალ ტერასაზე. პროსპექტიდან ქუჩები დაღმართზე ეშვებიან მდინარისაკენ. წიგნში განხილულია 1735 წელს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა და უფრო გვიან - 1800, 1802, 1828 წლებით - დათარიღებული გეგმები. აღწერილია პროსპექტზე მდგომი შენობები.

სპეციფიკურად საბჭოთა პერიოდის თბილისის არქიტექტურას მიუძღვნა ნაშრომი ნ. ჯაშმა: **ნ.ჯაში - „სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება“,** თბილისი 1983 წ. მონოგრაფიაში საბჭოთა პერიოდის თბილისის არქიტექტურა, კერძოდ, რუსთაველის პროსპექტზე არსებული შენობებია განხილული სტილისტური და ურბანული განვითარების თვალსაზრისით. ავტორი რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობების განხილვას იწყებს ზემოთ აღნიშნულ კონსრუქტივისტული სტილის შენობებით: გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და გამომცემლობის შენობა, რომელიც 1929 წელს ეკუთვნის და 1932-1933 წლებში აგებული კავშირგაბმულობის სახლი (არქ. კ. სოლომონოვი). მოგვიანებით ნაგებობა არქიტექტორ ი. ჩხენკელის პროექტით გადაკეთდა. „ორი ათეული წლის მანძილზე არღვევდა დედაქალაქის მთავარი პროსპექტის შესანიშნავ ანსამბლს, მასში დისჰარმონია შეჰქონდა“ [8, გვ.19]. ავტორი აღნიშნავს, რომ არქიტექტორმა არ გაითვალისწინა ქუჩის ამ მონაკვეთის თავისებურება, კერძოდ, ის, რომ რუსთაველის პროსპექტი აქ ოდნავ უხვევს და ქმნის მრუდს. არქიტექტორს ნაგებობა წითელი ხაზიდან ოდნავ სიღრმეში უნდა შეეწია, რათა შეემსუბუქებინა მოსახვევი. „ავტორმა დაარღვია პროსპექტის ხაზი და თანდათან შლადი პერსპექტივის მშვიდი მთლიანობა“ [5, გვ.19]. საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში განხილულია რუსთაველის

პროსპექტი #1. (არქიტექტორები: ა. ქურდიანი, ს. ყუბანეიშვილი. მ. მელია). ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ პერიოდის თბილისის არქიტექტურაში მთავრობის სახლის პირველი კორპუსის მშენებლობას. აღსანიშნავია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა (იმელი), რომელიც არქიტექტორ ა. შჩუსევს ეკუთვნის 1933-1938 წლებში. იმელის შენობის გვერდით 1980-81 წლებში აშენდა ცენტრალური ტელეგრაფის შენობა, არქიტექტორები - ვ. ალექსი-მესხიშვილი, თ. მიქაშავიძე.

წიგნში განხილულია პროსპექტზე განლაგებული ქანდაკებები: პირველი კლასიკური გიმნაზიის ბაღში ილიასა და აკაკის ძეგლი, არქ. ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე, გ. მელქაძე. ქანდაკება დაიდგა 1958 წელს; ზაქარია ფალიაშვილის ქანდაკება - ოპერის ბაღში, 1971 წ. მოქ. მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი ა. ბაქრაძე.

ნაშრომში ყურადღება ეთმობა რუსთაველის პროსპექტის დასაწყისსა და ბოლოში მდებარე მეტროპოლიტენის სადგურებს. სადგური „თავისუფლების მოედანი“ რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში მდებარეობს (ვესტიბიულის არქიტექტორები რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე; სამგზავრო დარბაზის ავტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, მ. ბუკია, ვ. ჩერნო-ივანოვი, 1966 წელი) მეტროს შენობის მომრგვალებული ფორმა დაკავშირებულია უნივერმაღის შენობასთან.

მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველი“ პროსპექტის ბოლოს შოთა რუსთველის სახ. მოედანთან მდებარეობს (ვესტიბიულის ავტორი არქიტექტორი ო.კალანდარიშვილი, სამგზავრო დარბაზის ავტორი არქიტექტორი ლ.ჯანელიძე). ნაგებობა ორგანულად ერწყმის პროსპექტს, მიწისზედა მრგვალი ვესტიბიულის ფორმა მოპირკეთებულია მარმარილოთი.

ავტორი, ასევე, განიხილავს დედაქალაქის ცენტრის პრობლემას. თბილისი მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე გაშენდა და შეიქმნა ორი ხაზობრივი ცენტრი: რუსთაველისა და აღმაშენებლის პროსპექტები. 1979 წელს

არქიტექტორ ო. კალანდარიშვილის საავტორო ჯგუფმა გაიმარჯვა რუსთაველის ახალი მოედნის პროექტის შექმნისათვის ჩატარებულ არქიტექტურულ კონკურსში. რესპუბლიკის დედაქალაქს არ ჰქონდა სრულფასოვანი სააღლუმო მოედანი ოფიციალური სახალხო ზეიმების და სხვა ხალხმრავალი ცერემონიების ჩასატარებლად. თავისუფლების მოედანი და რუსთაველის პროსპექტი გაბარიტებით, დაგეგმარების ხასიათით თუ მიმდებარე ქუჩებთან კავშირით ვერ უზრუნველყოფდა დემონსტრაციების ჩატარების შესაძლებლობას. რუსთაველის მოედანი აშენდა ხევის გამოყენების ხარჯზე, ორსართულიან საინჟინრო ნაგებობაზე. მ. ჯავახიშვილის დაღმართზე დაინგრა ორი ამორტიზებული სახლი (#3 და #5). სამშენებლო ტერიტორია თავისუფალი იყო, ბუნებრივი რელიეფი - მომგებიანი, მდინარე პროსპექტის შემადგენელი ნაწილი ხდებოდა. მოედანი ასევე სატრანსპორტო კვანძად გადაიქცეოდა. „მომავალი მოედანი მკვიდრად "ჩაჯდება" მთაწმინდის მეტყველ სილუეტში" [8, გვ.82].

В. Т. Шимко-„Архитектурное формирование городской среды", Москва „Высшая школа" 1990 г.

ავტორის მიხედვით, ქალაქური გარემოს ფორმირება მრავალასპექტიანი, მრავალსაფეხურიანი პროცესია და არქიტექტურული შემოქმედება მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სადღეისოდ გავრცელებული ტერმინები - „ღია საქალაქო სივრცე" და "ქალაქის ინტერიერი" - გულისხმობს სივრცულ გარემოს, რომელშიც არქიტექტორი მოღვაწეობს და მას ასევე „ქალაქური გარემოს ფრაგმენტს", „ურბანულ სივრცეს", „ქალაქის გარეგან სივრცეს", „ქალაქურ ლანდშაფტს", „ქუჩის ინტერიერს", „ქალაქმშენებლობით ანსამბლს" უწოდებენ. [9, გვ.12]. თბილისის მთავარი ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, „ქალაქთმშენებლობითი ანსამბლი" გამოირჩევა თავისებური არქიტექტურული წყობით, დეკორითა თუ მხატვრული გადაწყვეტის ხასიათით. „ღია საქალაქო სივრცეს", მონუმენტურ სადღესასწაულო

ფრაგმენტებს, ქუჩაზე არსებული სკვერების სიმწვანის მონაცვლეობა, კამერული, დეკორატიული და თემატური სკულპტურული კომპოზიციებით, დასავლეთით თავს ადგას ქალაქის სიმბოლოს - „ქართლის დედის“ გიგანტური სკულპტურა. თითოეულ კომპოზიციას აქვს თავისი დომინანტა, თავისი აქცენტები და ფონის ელემენტები. იმავდროულად, მნიშვნელობას იძენს „არაარქიტექტურული“ საშუალების როლი, რომელიც ეკისრება მის იდეურ-მხატვრულ გადაწყვეტას და რომელიც ხაზს უსვამს მის მონაწილეობას საბოლოო არქიტექტურულ ნაწარმოებში. ასე მაგალითად, ქართლის დედის მონუმენტურ კომპოზიციაში ფიგურა მეტად განზოგადებულია და თვითონ ხდება არქიტექტურა.

რუსთაველის პროსპექტზე 1991-1992 წლებში დაზიანებული თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიული შენობა 1995 წელს აღადგინეს. ამ შენობას ეძღვნება **ქ. შავგულიძის** მონოგრაფია **„თბილისის კლასიკური გიმნაზია“,** თბილისი 1997 წ. ნაშრომში აღწერილია პირველი კლასიკური გიმნაზიის ძველი შენობის მშენებლობის ისტორია, 1991-92 წწ. ე.წ. „თბილისის ომის“ შედეგად დამწვარი შენობის რეკონსტრუქციის პროექტი და აღდგენილი შენობის არქიტექტურული იერსახე. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენების დროს პირველი საშუალო სკოლის (ახლანდელი პირველი კლასიკური გიმნაზია) ისტორიული შენობა დაიწვა. დაზიანდა შენობის სახურავი, ჩამოინგრა სართულშუა გადახურვები. მხოლოდ ნაგებობის გარე კედლები და ფლიგელების ქვედა მხარე გადარჩა. „საარქივო ბიბლიოგრაფიული და ნატურაში კვლევის შედეგად მოძიებულ მასალებსა და მათ ანალიზზე დაყრდნობით, გადაწყდა, რომ I საშუალო სკოლა, როგორც ისტორიულ არქიტექტურული ძეგლი, აღედგინათ XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებული არქიტექტურული ძეგლის სახით. ინტერიერებისა და კედლის მხატვრობის აღდგენით ძეგლის დაცვის სპეციალისტების მონაწილეობით“ [10, გვ.22]. 1992 წლის სექტემბერში საპროექტო ინსტიტუტის

დირექტორის ო. ჭანტურიას ხელმძღვანელობით, სკოლის შენობის ფასადების რესტავრაციის პროექტი შეადგინეს არქიტექტორებმა ნ. ზაზუნიშვილმა (პროექტის მთავარი არქიტექტორი) და ი. შარაშენიძემ, შენობის სამი სართულისა და სხვენის პროექტი კი - საავტორო ჯგუფმა „თბილქალაქპროექტის“ დირექტორ გ. მეტრეველის ხელმძღვანელობით: მთავარი არქიტექტორები: თ. ჯაფარიძე, თ. თევზაძე, მთავარი ინჟინერი ი. მაჭავარიანი, არქიტექტორები: ვ. ჯაფარიძე, ი. ჯაფარიძე. მშენებლობა დააფინანსა მოსკოვის მერიამ. 1995 წელს გაიხსნა პირველი კლასიკური გიმნაზიის ახალი შენობა.

მ.მანიას მონოგრაფიაში „ევროპელი არქიტექტორები თბილისში“ (თბილისი 2006 წ.) განხილულია ევროპელი არქიტექტორების ღვაწლი თბილისის იერსახის ჩამოყალიბებაში. ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი ეძღვნება XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ევროპელ ხუროთმოძღვართა მიერ აშენებულ საზოგადოებრივ შენობებსა და საცხოვრებელ სახლებს. წიგნში აღწერილია ევროპელი არქიტექტორების მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალში შექმნილი შედევრები.

1830-იან წლებში შვეიცარიელი არქიტექტორის, ჯუზეპე ბერნარდაჩის, პროექტის მიხედვით აიგო ქართველი შაქრის მეწარმისა და მეცენატის, იაკობ ზუბალაშვილის, სახლი, რომელშიც 1840-იანი წლებიდან სასულიერო სემინარია განთავსდა, მოგვიანებით კი - სასტუმრო „ცარსკიე ნომერა“ (გვიანდელი „პალასი“). დღეს ამ შენობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმია განთავსებული.

იტალიელი არქიტექტორის, ჯოვანი სკუდიერის, პროექტით 1847-1851 წლებში თავისუფლების მოედნის შუაგულში თეატრის შენობა აიგო, რომელიც ქარვასლასაც შეიცავდა. 1874 წელს თეატრი დაიწვა, მოგვიანებით შენობა

მარტო ქარვასლად აღადგინეს. 1903 წელს მოედნის რეკონსტრუქციის დროს შენობა აიღეს.

1859 წელს გერმანელმა არქიტექტორმა ოტო იაკობ სიმონსონმა შეადგინა თბილისის ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ბაღის, ალექსანდრეს ბაღის, პროექტი (დღეს 9 აპრილისა და გიორგი ლეონიძის ბაღები). ოტო იაკობ სიმონსონის მიერ შემუშავებული პროექტების მიხედვით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მეფისნაცვლის სასახლეს (1865-1869 წლები) და თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის (1870-1871 წლები) შენობას.

გერმანელი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე შენობის პროექტის ავტორია. ერთ-ერთი პირველი იყო 1868-1870 წლებში გოლოვნის პროსპექტზე აშენებული ერთსართულიანი კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ერთსართულიანი შენობები (დღეს არარსებული). 1874 წელს აშენდა ქალთა გიმნაზია, რომელიც დღეს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შენობებიდან ყველაზე ადრეულია. 1885-1888 წლებში ზალცმანის პროექტის მიხედვით განხორციელდა სამხედრო-ისტორიული მუზეუმისთვის განკუთვნილი შენობა - „დიდების ტაძარი“ (დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა).

ო. სიმონსონის პროექტით 1865-1867 წლებში შესრულებული და დღეს არარსებული ყოფილი სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს შენობა ზალცმანმა სასტუმროდ გადააკეთა 1895 წელს (სასტუმრო „ორიანტი“).

ქაშვეთის ეკლესიის ეზოში თავად ბარათაშვილების საძვალის პატარა ეკლესია 1899 წელს პოლონელ არქიტექტორს ალექსანდრე როგოისკის პროექტით შეიქმნა.

1840-იან წლებში თავისუფლების მოედანზე აღმართული საქალაქო პოლიციის შენობა მოგვიანებით გადაკეთდა გერმანელი არქიტექტორის პაულ

შტერნის პროექტით თბილისის სათათბიროს და გამგეობის შენობად (დღეს თბილისის საკრებულო).

1871-1889 წლებში დღევანდელი საქართველოს პარლამენტის შენობის ადგილას ღუნიბის მოედანზე წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (კავკასიის არმიის საკრებულო) პეტერბურგელ არქიტექტორებს - დავით გრიმისა და რობერტ გედიკეს პროექტით აშენდა.

რუსთაველის პროსპექტზე ქაშვეთის ახალი ეკლესიის პროექტი შეადგინა სინოდალური კანტორის გერმანელმა არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილფელდმა (1904-1910 წლები).

1898-1901 წლებში პოლონელ არქიტექტორ ალექსანდრე შიმკევიჩსა და თბილისში მოღვაწე კორნელი ტატიშჩევს ეკუთვნის საარტისტო საზოგადოების (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი) შენობა. შიმკევიჩის პროექტის მიხედვით 1894წ. შესრულდა ძმებ ზუბალაშვილების ქუჩაზე საქართველოს უზენაესი სასამართლო და ვანო სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია გრიბოედოვის ქუჩაზე (1901-1904 წლები).

პეტერბურგელ არქიტექტორს, ვიქტორ შრეტერს, ეკუთვნის 1880-1896 წლებში განხორციელებული სახაზინო თეატრი, დღევანდელი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა. 1912-15 წლებში პეტერბურგელ ნიკოლოზ ობოლონსკის პროექტით აიგო მელიკ აზარიანცის სახელით ცნობილი დიდი შემოსავლიანი სახლი რუსთველის #37-ში. XX საუკუნის დასაწყისის შენობების არქიტექტურული მორთულობა სრულდებოდა იტალიელი ა. ანდრეოლეტის მარმარილოსა და მოზაიკის მხატვრული დამუშავების სახელოსნოში, ჩეხი ა. ნოვაკის ორნამენტული სკულპტურის სახელოსნოსა და იტალიელების - ვილის, რიჩის და დე ბელზას - მარმარილოსა და მოზაიკის სახელოსნოში. ასევე, მელიკ აზარიანცის დიდი შემოსავლიანი სახლის ფასადზე ფიგურული რელიეფები შესრულებულია ა. ნოვაკის სახელოსნოში. „აღსანიშნავია, რომ

ჩეხი ნოვაკი და მისი ორი შვილი, ფრანცი და იოსები, ასრულებდნენ სხვადასხვა სახის სკულპტურულ, ალებასტრით ლესვის, დეკორატიული მოხატვისა და სხვა სამუშაოებს“ [11, გვ.116]. ქაშვეთის ეკლესიის „ქვაზე ნაკვეთი ორნამენტი ედუარდ ანდრეოლეტის ესკიზების მიხედვით ქვის კვეთის ცნობილმა ოსტატმა ნეოფიტე აგლაძემ შეასრულა“ [12, გვ.56]. ე. ანდრეოლეტის ესკიზით არის შესრულებული ქაშვეთის ეკლესიის თეთრი მარმარილოს კანკელი, ხოლო არქიტექტორ ანდრეოლეტისა და პოლონელ მხატვარ ჰ. ჰრინევსკის ესკიზებით ქაშვეთის ეკლესიის ბრინჯაოს კარი, რომელიც ნოვაკის სახელოსნოში ბ. ლებედამ ჩამოასხა.

XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან თბილისში სასტუმროების სიმრავლე აღინიშნება. მათი უმეტესობა გოლოვინის პროსპექტსა (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი) და ერივანსკის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) მდებარეობდა. ამის შესახებ მოთხრობილია მონოგრაფიაში - **ხოშტარია დ. „თბილისი - ძველი სასტუმროები“,** თბილისი 2011 წ. წიგნში აღწერილია როგორც შენობების, ისე საკუთრივ სასტუმროების ისტორია. გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე მდებარე სასტუმროებიდან აღსანიშნავია სასტუმრო „ორიანტი“, „Hôtel d'Orient” (1895 წ.). 1940-იან წლებში სასტუმროს სახელი შეეცვალა და „ინტურისტი“ დაერქვა. სასტუმრომ ამ შენობაში იარსება 1977 წლამდე, რის შემდეგაც შენობაში „მხატვრის სახლი“ განთავსდა. 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის დროს შენობა დაზიანდა და მთლიანად განადგურდა. 1915 წელს გოლოვინის პროსპექტზე არქიტექტორ გ. ტერმიქელოვის პროექტით აიგო სასტუმრო „მაჟესტიკი“, „Hôtel Majestic“. 1939 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ სასტუმროს „თბილისი“ დაერქვა. ეს შენობაც 1991-1992 წლების საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანდა, თუმცა, მოგვიანებით აღადგინეს. დღეს აქ სასტუმრო „თბილისი მარიოტია“, “Tbilisi Marriot”.

ახლანდელი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობა 1840 წლიდან მამუკა ორბელიანს ეკუთვნოდა. 1866 წელს აქ სასტუმრო „ლირა“ გაიხსნა. შემდგომში სასტუმროს სახელწოდება შეიცვალა (“ამერიკა“, “საბადური“, “ბეთანია“ 1899 წლიდან-„Боярская гостиница“). სასტუმროსთან კინოთეატრი „ელექტრონული პროჟექტორი“, გვიანდელი „არაფასტო“ გაიხსნა, საბჭოთა პერიოდში „სპარტაკის“ სახელით ცნობილი. 1910 წელს ორბელიანების სახლი თბილისელმა კომერსანტმა მიქაელ არამიანცმა შეიძინა. შენობა გადაკეთდა არქიტექტორ ალ. ოზეროვის პროექტით. რეკონსტრუქციის შემდეგ, 1914 წელს, უკვე სამსართულიან შენობაში „პალას ოტელი“, „Palace Hôtel“, განთავსდა. 1918 წელს შენობა დაიწვა, მხოლოდ გარე კედლები გადარჩა. 1923-1924 წლებში ნაგებობა უცვლელად აღადგინეს არქიტექტორ მ. აბესალომოვის პროექტით, კოშკების გარეშე.

ორბელიანის სახლის გვერდით 1884 წელს გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი #23) სასტუმრო „Россия“ გაიხსნა, გვიანდელი „ევროპეისკაია“.

ერივანსკის მოედანზე იაკობ ზუბალაშვილის სახლში, სადაც 1840 წლამდე სასულიერო სემინარია მოქმედებდა, 1917 წელს სასტუმრო „Царские номера“ განთავსდა. 1918 წლიდან სასტუმროს ფასადზე ქართული ასოებით “სასახლის სასტუმრო“ ეწერა, მოგვიანებით -„პალას ოტელი“. 1910-20-იან წლებში ერივანსკის მოედნის კუთხეში (ახლანდელი გ. ლეონიძის #1) სასტუმრო „ინტერნაციონალი“ ფუნქციონირებდა.

1840-იანი წლებს მიეკუთვნება ზალცმანის სასტუმრო „მოსკოვი“, რომელიც ერივანსკის მოედანზე, ოლქის შტაბის გვერდით შენობაში - სუმბათაშვილების სახლში - იყო განთავსებული. 1858 წელს ამ შენობაში განთქმული სასტუმრო „კავკაზი“ამოქმედდა („Hôteldu Caucase”). 1865 წლიდან სასტუმროს ოფიციალურად „Hôtel Grand du Caucase, Place d`Erivan, Maison Mirsoieff, tenu par Marius Martin” დაერქვა, თუმცა არაოფიციალურად მარტენის

სახელითაც მოიხსენიებენ - „ოტელ მარტენსი“ („Hôtel Martin”). 1876 წელს სასტუმროს შენობას მესამე სართული დააშენეს. 1910-იან წლებში შენობის პირველ სართულზე დ. ერმაკოვის ფოტოსალონი გაიხსნა. შემდგომ შენობაში სხადასხვა უწყება განთავსდა. 1992 წელს ნაგებობა დაზიანდა და დაინგრა. ახლა მის ადგილას ახალი სასტუმროს შენობა „ქორთიარდ მარიოტის“ („Courtyard Marriott“) მარჯვენა ნაწილი მდებარეობს. სასტუმრო „კავკაზის“ გვერდით 1865-1870-იან წლებში ერივანსკის მოედანზე სასტუმრო „Hôtel d'Italie” გაიხსნა, რომელსაც ერთ წელიწადში შეეცვალა სახელი და „ევროპა“ („Hôtel d'Europa”) ეწოდა. სასტუმრომ 1890-იან წლებამდე იარსება. 1850-იან წლებში ერივანსკის მოედანზე ივანე ზუბალაშვილის სახლში (ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილას) თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმრო „Maison Zouballof” გაიხსნა, ხოლო 1890-იან წლებში იმავე შენობაში - „იმპერიალი“, რომელსაც 1909 წლიდან „ფრანცია“ ეწოდება. 1930 წლიდან ორსართულიან სახლს მესამე სართული დააშენეს. 1970 წელს დაანგრიეს და ყოფილი ცეკავშირის შენობა ააგეს. 1848 წელს გოლოვინის პროსპექტზე იაკობ ზუბალაშვილის სახლში (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი #14 შენობის ადგილას) „შარლის სასტუმრო“ ამოქმედდა.

რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეს გაიხსნა რამდენიმე სასტუმრო. 1846 წელს ალ. ჭავჭავაძისა და გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტის #30) გადაკვეთაზე - სასტუმრო „ვარშავა“ (მოგვიანებით „დრეზდენი“), რომელშიც 1855-58 წლებში განთავსდა ფეშენებელური სასტუმრო „ოტელ დე პრენსი“ („Hotel de Princes”), მოგვიანებით, „პარიზული სასტუმრო“, ხოლო 1860-იან წლებში იგი უკვე ჭავჭავაძის სასტუმროდ მოიხსენიება.

რუსთაველის პროსპექტსა და ლესია უკრაინკას ქუჩის კუთხეში 1853-1854 წლებში ივანე მუხრანბატონის სახლი აიგო, რომელშიც 1861 წლიდან სასტუმრო „Мухранские номера“ ამოქმედდა (მოგვიანებთ „მუხრანი“, 1912

წლიდან-„უნივერსალი“). 1921 წელს შენობა დაიწვა და აღარ აღადგინეს. 1882 წელს ბანკირ ი. ჩითახოვის სახლში (დღეს რუსთაველის პროსპექტი #18), „კრუჟოკის“ (გვიანდელი ოფიცერთა სახლის) გვერდით, „Коммерческая гостиница“ გაიხსნა. სასტუმრო მალევე დაიხურა. 1889 წლიდან ამ შენობას სასტუმრო „დანია“ იკავებს, ხოლო 1910 წლიდან ის მოიხსენიება როგორც „Головинские комнаты“.

XIX საუკუნის ბოლოს (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი #32) შენობაში სასტუმრო „Европейские номера“-ს დაეთმო. მის სიახლოვეს კრუზენშტერნის #4-ში (ახლანდელი ლაღიძის) სასტუმრო „მეტროპოლი“ გაიხსნა. სასტუმროები XX საუკუნის დასაწყისში დაიხურა. 1910-იან წლებში რუსთაველის პროსპექტზე #26-ში სასტუმრო „ბრისტოლი“ განთავსდა (ამ ადგილას ადრე სასტუმრო „ოტელ დე პრენსის“ შენობა იდგა). სასახლის ქუჩაზეც მდებარეობდა სასტუმროები. დასაწყისში კ. ზუბალაშვილმა ა. ზალცმანის პროექტით 1880-1882 წლებში ააგო დიდი სახლი, სადაც 1883 წლიდან სასტუმრო „Европейские номера“ არსებობდა. 1890 წლიდან „Дворцовые номера“ ეწოდებოდა. შენობა გაარემონტეს და 1910 წლიდან მაღალი კლასის 45-ნომრიანი სატუმრო „ერმიტაჟი“ გაიხსნა, ხოლო 1881-1882 წლებში მის გვერდით, ასევე არქ. ა. ზალცმანის პროექტით, სარაჯიშვილის სახლი, რომელშიც სასტუმრო „სარაჯიევის ნომრები“ მოეწყო და 1900 წლიდან „ევროპა“ ეწოდებოდა, 1906 წლიდან კი - „პალე როიალი“. სარაჯიშვილის სახლის გვერდით სასახლის ქუჩა #3-ის მომდევნო შენობა ციციშვილებს ეკუთვნოდათ. ამ სახლში 1890 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე სასტუმრო „ვიქტორია“ ფუნქციონირებდა.

ნიკოლოზის (ახლანდელი გუდიაშვილის) ქუჩის კუთხეში სასტუმრო „Северные номера“ მდებარეობდა. სასახლის ქუჩის მეორე მხარეს, მეფისნაცვლის სასახლის შენობის გვერდით, 1880-იან წლებში სასტუმრო

„საქსონია“ ამოქმედდა, გვიანდელი „გულოვის ნომრები“. სასახლის ქუჩამ 1930 წ-მდე იარსება. მოგვიანებით ის რუსთაველის პროსპექტს შეუერთდა.

მ. მანია „მოდერნიზმი თბილისის არქიტექტურაში“ საქართველოს სიძველენი 16, 2013წ. ნაშრომში განხილულია 1920-1930-იანი წლების თბილისის სტილისტურ-არქიტექტურული მოვლენები და ამავე პერიოდის შენობების წვლილი XX საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურის იერსახის შექმნაში. 1920-1930--იანი წლები თბილისის არქიტექტურაში არის მცდელობა ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენებისა და, ამავე დროს, აღსანიშნავია კონსტრუქტივიზმი - ფუნქციურ-რაციონალისტური მიმართულება. „კონსტრუქტივისტული სტილის თბილისურ შენობებს სისადავე, გეომეტრიულობა, სიმკაცრე და ფორმათა ლაკონურობა ახასიათებს“ [13, გვ.238].

ძველი ქართული დეკორის გამოყენებით 1929 წელს რუსთაველის პროსპექტზე მსხვილმასშტაბიანი საქართველოს სახლემწიფო მუზეუმის მთავარი კორპუსი აღიმართა (არქიტ. ნ. სევეროვი). ამავე წელს არქიტექტორი დ. ჩისლიევის პროექტით ვერტიკალური და ჰორიზონტალური გეომეტრიული ფორმების გამოყენებით „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კონსტრუქტივისტული შენობა იგება. ასევე კონსტრუქტივისტულ სტილს მიეკუთვნებოდა 1932 წელს აგებული კავშირგაბმულობის სახლის ადრეული შენობა, არქიტექტორი კ. სოლომონოვი.

1920-1930-იან წლებში თბილისის შენობებში ქართული ეროვნული მოტივების გამოყენებას წინ უსწრებდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან არქიტექტურულ ნაგებობებში ქართული მოტივების გამოყენება უცხოელ არქიტექტორებთან (ო. სიმონსონი, ა. ზალცმანი, ლ. ბილფელდი, რ. გედიკე და სხვ). „ქართული“ და კონსტრუქტივისტული სტილის შენობებს კონსტრუქციული სიახლეც შემოაქვს. შენობის ფასადები მოპირკეთებულია

ხელოვნური ქვით - ტერაზიტით, ე. წ. ტერაზიტული ფილებით ან ე.წ. ტერაზიტული ლესვით.

ავტორი აღნიშნავს, რომ დღეს მსოფლიოში ყურადღება ეთმობა XX საუკუნის არქიტექტურის, კერძოდ, საბჭოთა არქიტექტურის მემკვიდრეობის კვლევას. ამ პერიოდის ძეგლებისადმი არასწორმა დამოკიდებულებამ მიიპყრო თანამედროვე მეცნიერთა ყურადღება. „აღნიშნული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა კულმინაციას აღწევს თბილისშიც“ [13, გვ.249]. ამ პრობლემის აქტუალობას მიეძღვნა მოსკოვის დეკლარაცია XX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. ICOMOS-ის მიერ 2005 წელს XX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი შეიქმნა. UNESCO-ს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არა ერთი კონსტრუქტივისტული სტილის შენობაა შეტანილი. 1920-1930-იანი წლებში თბილისში აგებული შენობების უმრავლესობა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებისაა.

რუსთაველის პროსპექტზე, თბილისის ისტორიულ ნაწილში, 1930-იანი წლების ორ შენობას - კონსტრუქტივისტული სტილის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობას და პოსტკონსტრუქტივისტული სტილის იმელის შენობას - 2007 წელს მოეხსნა ძეგლის სტატუსი. ორივე ძეგლი დაზიანებულია. „კონსტრუქტივისტული და პოსტკონსტრუქტივისტული შენობების დაცვის მდგომარეობა თბილისში შეუწყნარებელია“ [13, გვ.251].

ამრიგად, ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, თუ როგორ ფორმირდებოდა და ვითარდებოდა რუსთაველის პროსპექტი ორი საუკუნის მანძილზე როგორც ბურჟუაზიული ევროპული ქალაქის, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის დედაქალაქის და დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქის ცენტრი. პირველად მთვარმართებლის სასახლის აგებამ დააკისრა მას ძირითადი დატვირთვა, რასაც შემდგომ პერიოდში კულტურული, ადმინისტრაციული, საკულტო და საზოგადოებრივი

შენობების გაჩენა მოჰყვა. ყოველი ეპოქა, სოციალური ფორმაცია და ისტორიული მოვლენა, აზიური და ევროპული კულტურულ-ესთეტიკური გავლენა თავის კვალს ტოვებდა ქალაქის განაშენიანებაზე. შედეგად მივიღეთ ერთ ღერძზე დაფუძნებული არქიტექტურული სტილების საოცარი მრავალფეროვნება, რომელიც სხვადასხვა პერიოდის, სხვადასხვა ეროვნებისა და გემოვნების არქიტექტურული სკოლის წარმომადგენლების მიერ შეიქმნა. ლიტერატურის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ ვ.ბერიძის ფუნდამენტური ნაშრომი ამოსავალ წყაროს წარმოადგენს შემდგომი მკვლევარებისათვის. სხვა წყაროებში არის გარკვეული განსხვავებანი დათარიღებასა და სახელდებაში. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, შეძლებისდაგვარად, სრულად წარმოგვეჩინა არსებული ფაქტები რუსთაველის პროსპექტის ისტორიული განვითარების შესახებ, რამაც, თავის მხრივ, შექმნა ინფორმაციის დუბლირების შთაბეჭდილება. განხილული წყაროები სრულფასოვან სურათს ქმნის რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალში განლაგებული შენობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შემდეგ რუსთაველის პროსპექტის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალში არსებული ცვლილებებს.

თავი მეორე

შედეგები და განსჯა

2. 1. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს ფორმირების ისტორიული ასპექტი

რუსთაველის პროსპექტი გადაჭიმულია თავისუფლების მოედანიდან შოთა რუსთაველის მოედნამდე, მისი სიგრძე 1400 მეტრია. რუსთაველის პროსპექტი წარმოადგენს კულტურულ და საკულტო ცენტრს - მუზეუმები, თეატრები, ეკლესია; საზოგადოებრივ და სავაჭრო ზონას - სასტუმროები, საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები და დიდი სავაჭრო ცენტრი; ადმინისტრაციული და საოფისე ფართების თავმოყრის ადგილს. 1989 წლიდან თბილისში მრავალი მოვლენა განვითარდა, მოხდა ეპოქათა და სოციალურ ფორმაციათა ცვლა. ე. წ.“ თბილისის ომთან“ დაკავშირებული ნგრევა, უცხოური ინვესტიციების შემოსვლა და მასთან დაკავშირებული თანამედროვე ინტერნაციონალური არქიტექტურული სტილის გავლენა, ბოლო წლებში განხორციელებული სავალი ნაწილის, ტროტუარებისა და ფასადების რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, მრავალი ნაგებობის ფუნქციის რადიკალური შეცვლა, სატრანსპორტო ნაკადის მკვეთრი ზრდა - ყველა ეს მეტამორფოზა რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურის იერსახესა და თვითმყოფადობაზე აღიბეჭდა.

2.1.1 რუსთაველის პროსპექტის ფორმირება XIX საუკუნიდან 1991-1992 წწ. ე.წ. „თბილისის ომამდე“

1735 წლის თბილისის რუკის მიხედვით, ქალაქის გალავანთან კოჯრის კარის წინ აღნიშნულია დიღმის გზა, რომელიც დღევანდელი 9 აპრილის ბაღთან მთავრდებოდა. გზის აღმოსავლეთით ქაშვეთის ეკლესია, კალოუბნის

ტაძარი და სომხური ეკლესია მდებარეობდა, დასავლეთით ციციშვილების სახლი და არაგვის ერისთავის სასახლე (სურ. 1).

1800 წლის თბილისის გეგმაზე აღნიშნულია დიღმის გზა- ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი. ფეოდალური ქალაქის თავისუფალი გაშლა ძველი გალავნის გარეთ კოჯრის კარის წინ მდებარე მოედნის გარშემო იწყება (სურ. 2). თანდათან ყალიბდება ახალი ცენტრი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ შესასვლელთან, სადაც თავს იყრიდა რამდენიმე გზა და მათ შორის, „სარუსეთო გზაც“ [1, გვ.22]. XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედანზე იგება ახალი, მანამდე სრულიად უცნობი, ადმინისტრაციული უწყების დაწესებულებები და საგანმანათლებლო შენობები.

იმ ადგილს, რომელიც დღეს თავისუფლების მოედანს ქმნის, XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთით ქალაქის გალავანი საზღვრავდა, დასავლეთიდან - ბაღები, ჩრდილოეთისკენ კი სივრცე გახსნილი იყო და მოედნის სახე უფრო მოგვიანებით მიიღო. განაშენიანება XIX საუკუნეში დაიწყო (სურ. 3). 1824 წელს ამიერკავკასიის საოლქო შტაბის შენობა (დღეს თავისუფლების მოედანი #4) აიგო, ხოლო 1830-იან წლებში პუშკინისა და ლ. გუდიაშვილის ქუჩების კუთხეში, მთავარი ფასადით მოედნის მხარეს - კ. ზუბალაშვილის სახლი (დღევანდელი შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის შენობა). მუზეუმის და შტაბის შენობები კლასიცისტურ სტილში გადაწყდა, რასაც მოედანი ერთიან სტილისტურ ანსამბლად უნდა ჩამოეყალიბებინა [7, გვ.90], თუმცა მოედანზე შემდგომში აგებული შენობები სრულიად განსხვავებულ არქიტექტურულ სტილებით წარმოჩნდა. 1828 წელს მოედანს პასკევიჩ-ერევანსკის სახელი ეწოდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ აშენდა; 1840 წელს მოედნის სამხრეთით - ორსართულიანი პოლიციის შენობა, რომელიც ყოველ ათწლეულში სახეს იცვლიდა და,

საბოლოოდ, ფსევდომავრული სტილის სამსართულიანი კოშკით დასრულებული შენობის სახე მიიღო. 1847 წელს მოედნის ცენტრი დაიკავა სწორკუთხა ფორმის რენესანსული სტილის ოთხსართულიანმა თეატრის შენობამ, რომელიც ქარვასლასაც მოიცავდა. თეატრის შენობა მოედანს ორ ნაწილად ყოფდა. 1858 წელს საოლქო შტაბის გვერდით, სუმბათაშვილების სახლში, გაიხსნა სასტუმრო „კავკაზი“. 1859 წლიდან შტაბის პირდაპირ, პუშკინის სკვერის უკან, აშენდა ზუბალაშვილის სახლი, რომელშიც წლების განმავლობაში სხვადასხვა სახელწოდებით სასტუმროები განთავსდა (დაინგრა 1970 წელს). 1850-იან წლებში მოედნის აღმოსავლეთით, ქალაქის ძველი აფეთქებული გალავნის გასწვრივ, არქიტექტორ ა. ზალცმანის პროექტით საკრედიტო საზოგადოების შენობა აღიმართა (პუშკინის #1-3), დაინგრა 2009 წელს.

1874 წელს თეატრის შენობა დაიწვა. ხანძრის შემდეგ მხოლოდ ქარვასლად აღადგინეს. 1880-იან წლებში პოლიციის შენობაში ქალაქის საკრებულო განთავსდა. 1885 წელს მუზეუმის წინ გაშენდა სკვერი და იქ 1897 წელს პუშკინის ბიუსტი დაიდგა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე მოედნის არქიტექტურული იერსახე, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. 1900 წელს გადაკეთდა და გაფართოვდა მოედნის ცენტრალურ ღერძზე აგებული ფსევდომავრული სტილის თბილისის საკრებულოს შენობა; 1901-1902 წწ. პუშკინის ქუჩას დაემატა „ტიფლისკი პასაჟის“ შენობა.

საბჭოთა პერიოდში, 1930-იანი წლებიდან, იწყება მოედნის რეკონსტურქცია. 1934 წელს მოედნის ცენტრიდან ქარვასლის აღების შემდეგ მის ადგილას მარმარილოს ტრიბუნა დაიდგა. ტრიბუნა 1938 წელს პუშკინის სკვერთან გადაიტანეს, ხოლო 1950-იანი წლებში საერთოდ აიღეს მოედნიდან. სკვერი გაფართოვდა და მოედანს კონფიგურაცია შეეცვალა, გასწორდა მისი ჩრდილოეთი მხარე. 1953 წლიდან მოედანი ლენინის სახელობისაა. ცენტრში 10 მეტრის სიმაღლის კვარცხლბეკზე 1956 წელს ლენინის ფიგურა დაიდგა (1990

წელს ძეგლი აიღეს). 1971 წელს პუშკინის სკვერის უკან ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობა აიგო. 1990 წლიდან მოედანს თავისუფლების მოედანი ეწოდა.

1802 წლის გეგმაზე პირველი მსხვილმასშტაბიანი შენობაა „Правительственные места“. შენობა ორი ნაგებობისგან შედგებოდა და შიგა ეზოს ქმნიდა (სურ. 4). 1807 წელს ამ შენობის ნაცვლად მთავარმართებლის ახალი შენობა დაიდგა. **1845-1847 წწ.** სემიონოვის პროექტით აშენდა ახალი მეფისნაცვლის სასახლე. რუსული კლასიცისტური სტილის შენობა, ფრონტონით დასრულებული სვეტებიანი თეთრი ფერის მთავარი ფასადით, გამოდიოდა გოლოვინის პროსპექტზე. ნაგებობა **1865-1867წწ.** საფუძვლიანად გადაკეთდა დღეს ის **მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეა** (რუსთაველის პროსპექტი #6). ადრინდელი ნაგებობის კლასიცისტური ფასადი რენესანსულმა შეცვალა. ორსართულიანი შენობის რენესანსული სტილის თაღოვანი ფასადი პროსპექტზე გამოდის, მის წინ გაზონია მოწყობილი. ნაგებობას აქვს შიგა ეზო და ბაღი (სურ. 5-6).

პროსპექტის ეს მონაკვეთი **1810-იან წლებში** ფორმირდება და ამ ეტაპზე სახელიც არ აქვს. ერევნის მოედნის გარდა, გარეთუბანში კიდევ ორი მოედანი არსებობდა: ნიკოლოზის მოედანი მთავარმართებლის სახლის წინ, რომელიც მთავარ მოედნად ითვლებოდა, და ალექსანდრეს მოედანი ყაბახის ადგილას [1, გვ.24]. მთავარმართებლის სასახლის მოპირდაპირედ იგება ჰაუპტვახტის შენობა (სურ. 7), 1828 წელს კი - არსენალის შენობა, რომელიც დღევანდელი მთავრობის სახლის ზედა კორპუსის ადგილას მდებარეობდა.

1840-იანი წლებში პროსპექტზე მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა იწყება: **1837-1840 წწ.** აიგო **პირველი კლასიკური გიმნაზია** (რუსთაველის პროსპექტი #10). კლასიცისტური სტილის აგურით ნაგები ორსართულიანი შენობა ორქანობა სახურავით იყო გადახურული. 1870-1871 წლებში მესამე სართული

დაადგეს (სურ 9). სკოლის წინ მოეწყო სარეკრეაციო ბაღი ცენტრში შადრევნით. 1958 წელს ბაღში შადრევნის ადგილას ილიას და აკაკის ძეგლი დაიდგა.

1840-იან წლებში აშენდა მამუკა ორბელიანების სახლი, ამჟამად **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** (რუსთაველის #19). აგურის ორსართულიანი სახლის სამი ხის აივანი პროსპექტზე გამოდიოდა. შენობა მაღალი ატიკით სრულდებოდა და იმდროინდელი პროსპექტის განაშენიანებაში თავისი სიდიდით გამოირჩეოდა. 1914 წელს შენობას დაემატა მესამე სართული, შეეცვალა ფასადი: ნეოგოთიკური ფასადის ცენტრში კონსოლებიანი ერკერი და სახურავზე, ცენტრში ორი კოშკი დაიდგა, გვერდებზე კი შეისრული ფორმის მაღალი ატიკები. განახლებულ შენობაში სასტუმრო განთავსდა, რომელიც 1918 წელს დაიწვა. 1923-34 წლებში მთავარი ფასადი თითქმის შეუცვლელად აღდგა, მაგრამ - კოშკების გარეშე (სურ.10).

1850-იანი წლებისთვის გოლოვინის პროსპექტი მოსკოვის საგუშაგომდე თითქმის მთლიანად არის განაშენიანებული (XIX საუკუნეში ეს ადგილი ცნობილი იყო როგორც მოსკოვის „ზასტავა“ და აქ სამხედრო გზა გადიოდა). პროსპექტზე სახლდებიან მეფის მოხელეები, არისტოკრატია და სამხედრო პირები. ამ პერიოდში აიგო სარაჯიშვილის სამსართულიანი სახლი (დღეს რუსთაველის #20), შიოევას ორსართულიანი სახლი (დღევანდელი ოფიცერთა სახლის ადგილას).

1859 წელს პროსპექტზე პირველი საზოგადოებრივი ბაღის გაშენება იწყება. ალექსანდრეს ბაღი გაშენდა **(დღევანდელი 9 აპრილის და გ. ლეონიძის სახ.ბაღები)** ბოტანიკური ბაღის სწავლული მებაღის, ჰაინრიხ კარლ ვერნეერ შარერის, ხელმძღვანელობით. ბაღი მტკვრის წყალსაქაჩიდან ხშირად ირწყვებოდა და ოთხ წელიწადში გაშენდა. ბაღმა საბოლოო სახე 1865 წელს მიიღო, ინგლისური პეიზაჟური ტიპის გახსნილ ბაღად ჩამოყალიბდა და ათონელის ქუჩამდე ჩადიოდა (სურ.11). 1885-88 წწ. რუსთაველის პროსპექტის

მხრიდან ბაღში „დიდების ტაძარი“ აშენდა და ბაღს მხოლოდ ორი ვიწრო შესასვლელი დარჩა. ბაღის ჩრდილოეთ შესასვლელში, პროსპექტზე, ეგნატე ნინოშვილის ბრინჯაოს ძეგლი დგას (მოქ. ი. ნიკოლაძე, 1923 წ.). XX საუკუნის 30-იან წლებში ბაღის ერთიანობა დაირღვა. იგი ორ ნაწილად გაიყო, შუაში ქუჩა გაიჭრა (დღეს რ. თაბუკაშვილის ქუჩა).

1860-იან წლებში პროსპექტზე მონუმენტური შენობების აგება დაიწყო, რამაც რადიკალურად შეცვალა განაშენიანების მასშტაბი და პარადულობა მიანიჭა პროსპექტს. ქუჩის დასაწყისში ორსართულიანი კლასიცისტური სტილის მუზეუმის შენობა აიგო (1910 წელს, ახალი მუზეუმის მშენებლობის დროს, ეს შენობა დაინგრა) (სურ.12).

1860 წელს აშენდა კადეტთა კორპუსი, დღეს **თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი** (რუსთაველის პროსპექტი #27). ნაგებობა ორსართულიანია, „ყაზარმული“ ფასადი მოკლებულია გაფორმებას (სურ.14).

1865-67 წლებში დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის #7 ადგილზე სასამართლოს შენობა აშენდა. ეს იყო გრძელი სამსართულიანი ნაგებობა, რომლის ფასადი რენესანსული ეკლეკტიზმის ნიმუშს წარმოადგენდა. შენობას თვალსაჩინო ადგილი ეკავა გოლოვინის პროსპექტის განაშენიანებაში. 1895 წელს ა. ზალცმანის პროექტით შენობა სასტუმროდ გადაკეთდა („ორიანტი“) (სურ.15).

1871-1897 წლებში ღუნიბის მოედანზე ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი ე.წ.**სობორო** (ანუ კავკასიის არმიის საკრებული) აღიმართა. [2, გვ.66]. მუქი და ღია ფერთა მონაცვლეობით, მრგვალი გუმბათით გადახურული ბერძნულ-ბიზანტიური სტილის შენობა გაბატონებული იყო გოლოვინის პროსპექტზე (სურ. 16). 1930-იან წლებში შენობა დაანგრიეს და ამ ადგილას მთავრობის სახლი აღიმართა.

1885-1888 წელს სამხედრო ისტორიული მუზეუმისთვის აშენდა „დიდების ტაძარი“, ამჟამად **საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი**

შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა (რუსთაველის პროსპექტი # 11). ექსედრით გადახურული ნეობაროკალური ერთსართულიანი, შეწყვილებული კორინთული პილასტრებით დანაწევრებული შენობის ფასადი ფრონტალურად იშლება რუსთაველის პროსპექტზე (სურ. 19).

1880-1896 წლებში იგება სახაზინო თეატრის შენობა (რუსთაველის პროსპექტი #25) მავრიტანული სტილის ფასადის ცენტრში ღია თაღოვანი პორტიკი გამოდის (სურ. 20). რ.ლაღიძის ქუჩის ჩასახვევთან ოპერის სკვერია შადრევნით, სადაც ზაქარია ფალიაშვილის სკულპტურა დგას.

1898-1901 წლებში რუსთაველის პროსპექტზე აიგო საარტისტო საზოგადოების შენობა, დღეს **შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი** (რუსთაველის პროსპექტი #17). ამ ნაგებობას პროსპექტის განაშენიანებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი ღია ტერასა მთლიანად გამოდის ტროტუარზე. შენობის ბაროკალური და როკოკოს სტილის ფასადი მაღალი მანსარდითაა გადახურული (სურ. 21). აღსანიშნავია, თეატრის სარდაფში განთავსებული კაფე „უქიმერიონი“, რომელიც თბილისური ბოჰემის თავშეყრის ადგილი იყო. კედლის მხატვრობა ლ. გუდიაშვილს, დ. კაკაბაძეს, კ. ზდანევიჩს და ს. სუდეიკინს ეკუთვნით.

1898 წელს რუსთაველის პროსპექტსა და ალ. ჭავჭავაძის ქუჩათა კუთხეში არქიტექტორ კ. ტატიშჩევის პროექტით ბაქოს I გილდიის ვაჭარ არაფელოვის სახლი დაიდგა. მოგვიანებთ სახლში სხვადასხვა სასტუმრო მოქმედებდა. ბოლოს იუსტიციის სამინისტრო იყო განთავსებული. დღეს ეს შენობა უფუნქციოა (სურ. 22).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პროსპექტი თანდათან სრულიად იცვლის სახეს: **1848 წელს** გოლოვინის პროსპექტზე ტროტუარები მოეწყო, **1862 წელს** შემოიღეს პროსპექტის სახლების ნუმერაცია. **1897 წელს** პროსპექტი ელექტროფარნებით განათდა.

რუსთაველის პროსპექტზე **1904-1910** წწ. აშენდა **ქაშვეთის** სამნავიანი წმინდა გიორგის ტაძარი(რუსთაველის პროსპექტი #9). საეკლესიო შენობის პროტოტიპი 1030 წელს აგებული საამილახვროში მდებარე სამთავისის ტაძარია. ქაშვეთის ეკლესიის ადგილას VI საუკუნეში დავით გარეჯელის-დროინდელი მცირე ზომის ოთხკუთხა ნაგებობა იდგა. XVIII საუკუნეში განთქმულმა საზოგადო მოღვაწემ, გივი ამილახვარმა, უფრო დიდი ზომის ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი ააგო, რასაც მოწმობს წარწერა ტაძრის პირველი სართულის შესასვლელის მარცხენა კედელში : „ჩვენ ამირახორმან გივმან, ძემან ანდუყაფარ ამირახორისამან და თანამეცხედრემან ჩვენმან ორბელის ძის ასულმან ბანგუამ, აღვაშენეთ ეკლესია ესე ღვაწლით შემოსილისა მთავარმოწამის გიორგისა ზღუდით, ბურჯით და სახლით...“ XIX საუკუნის ბოლოს ტაძარი დაზიანდა და ქაშვეთის ეკლესიის მამულების გამგე კომიტეტმა, ი. ამილახვარის თავმჯდომარეობით, ითავა ახალი ტაძრის აგება. [14,გვ.17] „ქვაშვეთს თან ახლავს მისი ეროვნულობის „უტყუარი“ საბუთი - ქართული ჩუქურთმა, რომელიც XIX საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ძველი ქართული არქიტექტურის შესწავლა დაიწყო, მიჩნეული იყო მის თვისებად per excellence.” [2, გვ.87]. ორსართულიანი საეკლესიო ნაგებობა მდებარეობს რუსთაველის პროსპექტისა და გ. ჯორჯიაშვილის ქუჩათა გადაკვეთაზე (სურ. 23). ეკლესიის საკურთხეველი XX საუკუნეში მოღვაწე გამოჩენილ მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერაა მოხატული.

1912-1915 წლებში აშენდა **მელიკ აზარიანცის** დიდი შემოსავლიანი სახლი (რუსთაველის პროსპექტი #37). მოდერნის სტილის სამსართულიანი შენობის ფრონტალურად გაშლილი ფასადი რუსათაველის პროსპექტსა და მ. ჯავახიშვილის დაღმართის კუთხეზე მომრგვალებული ფორმისაა და ორი გუმბათით სრულდება. შენობის რუხი ფერის პირველი სართულის ფასადზე სწორკუთხა ვიტრინებია გაჭრილი. მეორე და მესამე სართულის ღია ფერის ფასადის ფანჯრები სხვადასხვა ფორმისაა. მათი საპირეები მომრგვალებული

და სწორკუთხა ფორმებითაა დამუშავებული. ცენტრალური ფასადის ერკერები ა. ნოვაკის ხუროთმოძრვრული ძერწვის სახელოსნოში შესრულებული ფიგურული რელიეფით არის დამშვენებული. აღსანიშნავია საცხოვრებელი სახლის ეზოს მხარეს ამოყვანილი ღია ხის აივნები, რომლებიც თბილისური ტრადიციული საცხოვრებელი სახლის გამოძახილია (სურ. 24).

1915 წელს აშენდა სასტუმრო **„მაჟესტიკი“**. დღეს ამ შენობაში **სასტუმრო „თბილისი მარიოტია“** (რუსთაველის პროსპექტი #13). არქიტექტორმა გაითვალისწინა, რომ პროსპექტი ამ ადგილას ოდნავ უხვევს და ფასადის ხაზი მისი მრუდის შესაბამისად შეზნიქა, რისი წყალობითაც შენობა რბილად, ბუნებრივად ჩაეწერა პროსპექტის განაშენიანებაში. ფასადების გაფორმება რენესანსული ეკლექტიზმის პრინციპებს ეფუძნება. აღსანიშნავია, სამშენებლო სამუშაოების მაღალი ხარისხიც, რაც საერთოდ დამახასიათებელია 1910-1915 წლებში თბილისში აგებული შენობებისათვის. საფასადო სკულპტურების დეტალების შესრულებაში მონაწილეობდა ლ. აგლაძე. შენობას ასრულებს მეოთხე სართულის მძლავრი ანტაბლემენტი და ატიკის სართული, რომელსაც ნაძერწი რიკულებიანი პარაპეტი აგვირგვინებს. 1991-1992 წელს სასტუმრო დაიწვა (სურ. 25).

1916 წელს აშენდა **„ოფიცერთა სახლის“** სახელით ცნობილი შენობა (რუსთაველის პროსპექტი # 16). სამსართულიანი ნეოკლასიცისტური სტილის შენობის ფასადზე რენესანსული და ბაროკალური ელემენტებია გამოყენებული. ნაგებობა გრძივად მიჰყვება პროსპექტის ხაზს, ბესიკის ქუჩის კუთხესთან იონიური პილასტრებით გამოიყოფა მომრგვალებული ფასადი. მეორე სართულის აივანი დორიული სვეტებით, მესამესი კი ორი კარიატიდით არის აქცენტირებული (სურ. 26).

1929 წელს აშენდა **საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის** შენობა (რუსთაველის პროსპექტი #3). სევეროვისეული ღია რუხი ფერის ფასადის თაღედის რიტმს ენაცვლება

სწორკუთხა ფანჯრების რიტმი. მუზეუმის მთავარი შესასვლელი ნაგებობის ცენტრში სამი თაღით არის აქცენტირებული, საიდანაც პარადული კიბით შენობაში შევდივართ (სურ. 13).

1929 წელს აშენდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა, ამჟამად **სავაჭრო ცენტრი „მერანი“** (რუსთაველის პროსპექტი #42). კონსტრუქტივისტული სტილის შენობის მოცულობა არაერთგვაროვანია. ხუთსართულიანი კუთხის მოცულობას, რომელიც ვერტიკალურად არის დანაწევრებული, ოთხსართულიანი ჰორიზონტალური დანაწევრებული ფასადი აგრძელებს. ფანჯრების დიდი ზომის ჭრილები შეისრული თაღებით ბოლოვდება. შენობის დანაწევრება ფუნქციური იყო, რედაქცია და ტიპოგრაფიის განყოფილება ერთმანეთისგან უნდა გამოყოფილიყო. შენობა თავისი სწორი პროპორციებით ჰარმონიულად შეერწყა გარემოს (სურ. 27).

1934 წელს აშენდა **„კავშირგაბმულობის სახლი“** (სურ. 28) (რუსთაველის პროსპექტი #12) ეს კონსტრუქტივისტული სტილის შენობა 1954 წელს არქიტექტორ ი. ჩხენკელის პროექტით მთლიანად გადაკეთდა. ნაგებობის მაღალი ცოკოლი მოპირკეთდა რუხი გაპრილებული მარმარილოთი, კედლები კი - თეთრი ეკლარის ქვით. მონუმენტური შენობის ზედა სართულების თაღედი დასრულებულია მაღალი ფრიზით და გადმოწეული კარნიზით (სურ. 29).

1933-1938 წლებში აიგო მთავრობის სახლის კომპლექსის ზედა კორპუსი (სურ. 17), ხოლო 1953 წელს დასრულდა რუსთაველის პროსპექტზე გამომავალი ნაგებობა (რუსთაველის პროსპექტი # 8). მთავრობის სახლის ზედა კორპუსი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას რუსთაველის პროსპექტიდან ძმებ ზუბალაშვილების ქუჩამდე. მთავრობის სახლის არქიქტექტურული კომპლექსის სივრცითი გადაწყვეტა ემყარება გამჭოლი ღერძის პრინციპს. ნაგებობის სივრცული ღერძი მონუმენტური თაღედიდან იწყება, შიგა ეზოს გავლით ძმებ ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე მცირე პროპილეებთან

სრულდება. კომპლექსს რუსთაველის პროსპექტიდან ესაზღვრება მასიური სვეტებით წარმოდგენილი თაღოვანი ფასადი, რომელიც 13 მეტრით შეწეულია ქუჩის წითელი ხაზიდან. მონუმენტური თაღედი ფრონტონით სრულდება. შენობის ფასადი მოპირკეთებულია ოქროსფერი ბოლნისის ტუფით, ცოკოლის სართული კი- ნაცრისფერი კურსების ტეშენიტით. ფასადი მორთულია რელიეფური ორნამენტით (სურ. 18).

1935-1938 წლებში აშენდა **მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (იმელი)** (რუსთაველის პროსპექტი #29). მსხვილმასშტაბიანი ნაგებობის მთავარი ფასადი სვეტებიანი პორტიკით პროსპექტზე გამოდის, რომლის ცენტრალურ ნაწილს ეზოს მხრიდან ნახევარწრიული ფორმა აქვს, გვერდითი ფლიგელები კი სწორკუთხაა. „შენობა თავისი არქიტექტურით ეთანხმება საქართველოს მუზეუმის რეკონსტრუქციით შექმნილ ახალ მასშტაბს რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებაში“ [5, გვ. 197]. ფასადის კედლები მოპირკეთებულია ბოლნისის მოყვითალო ტუფით, ცოკოლი და სვეტები - მუქი რუხი გაპრიალებული ტეშენიტითა და ანდეზიტ ბაზალტით (სურ. 30).

XX საუკუნის 30-იან წლებში ფართოვდება კომინტერის 13-მეტრიანი ქუჩა (ყოფილი სასახლის) და რუსთაველის პროსპექტი უშუალოდ თავისუფლების მოედანს უერთდება. ქუჩის ამ მონაკვეთის სიგანე 40 მეტრი გახდა, რამაც შესაძლებელი გახადა მრავალსართულიანი სახლის აგება. **1939 წელს** ამ ადგილას **საცხოვრებელი სახლი** (რუსთაველის პროსპექტი #1) აშენდა (სურ. 31). ექვსსართულიანი შენობის ფასადი რუსთაველის პროსპექტის ხაზს მიუყვება, ნ. ვაჩნაძის ქუჩის ჩასახვევთან კი მომრგვალებული ფორმა აქვს. ნაგებობის პირველი სართულის სწორკუთხა ვიტრინებიანი რიზალიტით რუსტირებული ფასადი მოედნის მხარეს უფრო მაღლდება. მეორე სართულის სწორკუთხა ფანჯრების რიტმს ენაცვლება მესამე, მეოთხე და მეხუთე

სართულების მასიური კორინთული და იონიური კოლონები და ნახევარკოლონები.

1939 წელს აშენდა **კინოთეატრი „რუსთაველი“** (რუსთაველის პროსპექტი #5). 4-სართულიანი კინოთეატრის შენობის ფასადი ვერტიკალურად კორინთული სვეტებით არის დანაწევრებული. მეორე სართულის თაღებში ქანდაკებებია მოთავსებული (მოქანდაკეები: ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე) (სურ. 8).

1942 წელს რუსთაველის მოედანზე, საფეხურებიანი შადრევნის ცენტრში, რელიეფით გაფორმებულ მაღალ კვარცხლბეკზე შოთა რუსთველის ძეგლი აღიმართა.

1948 წლიდან მოსკოვის ქუჩის კუთხეში ძველი შენობების აღების შემდგომ **1953 წელს** მეცნიერებათა აკადემიის შენობა აღიმართა, რომელიც ვ. სარაჯიშვილის და ძმებ კაკაბაძეების ქუჩებს შორის განთავსდა (რუსთაველის პროსპექტი #52). 5-სართულიანი შენობის მთავარი ფასადი რუსთაველის პროსპექტზე გამოდის, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით ფლანკირებულია 55-მეტრიანი კოშკით (სურ. 35). 1966 წელს მეცნიერებათა აკადემიის ეზოში საბაგირო გზის ქვედა სადგური აშენდა არქიტექტორი: კ. ჩხეიძე, რომელთაც რუსთაველის მოედანი მთაწმინდას დაუკავშირდა. საბაგრიო გზის ქვედა სადგურის პავილიონის ფასადი თბილი მოყვითალო ბოლნისის ტუფითაა მოპირკეთებული. მელიკ აზარიანცის სახლის აგების შემდგომ რუსთაველის პროსპექტი (ყოფილი ოლღას ქუჩა) შემცირდა 13 მეტრით, ასევე შემცირდა რუსთაველის მოედნის ფართი. ამჟამად პროსპექტის ამ მონაკვეთის სიგანე 33 მეტრია.

1965 წელს რუსთაველის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აიღეს ავარიული სახლები მეტროპოლიტენის სადგურის ასაგებად. **1966 წელს** მეტროსადგური „რუსთაველი“ გაიხსნა. 1965 წელს რუსთაველის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტურქციის პროექტისათვის კონკურსი

გამოცხადდა. დღეს მოედანი სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს, რომლის დომინინატი რუსთაველის ძეგლია. აქ მთავრდება რუსთაველის პროსპექტი.

1967 წელს აშენდა სასტუმრო „ივერია“ (ამჟამად ეს სასტუმრო აღარ არსებობს). 22-სართულიანი ნაგებობის ვერტიკალური ნაწილის მოცულობა გაწონასწორებული იყო რესტორნის ბლოკის ჰორიზონტალური მოცულობით. ვერტიკალური მოცულობის მომწვანო-ფირუზისფერი ფასადი ჰორიზონტალურად ღია აივნებით იყო დანაწევრებული. „ივერია“ თავისი გახსნილი ხასიათით ეროვნული ნიშნის მატარებელი იყო და მიუხედავად მისი მასშტაბისა ის კარგად ეწერებოდა ამ მონაკვეთის განაშენიანებაში (სურ. 32). შენობა კარგად მოჩანდა თბილისის ცენტრის სხვადასხვა წერტილიდან. „მამადავითიდან მტკვრისაკენ ამფითეატრად გადაშლილმა ქალაქის მარჯვენა მხარემ ახალი იერი მიიღო“ [5, გვ.443].

1974 წელს რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში აშენდა **უნივერმაღი „თბილისი“** (რუსთაველის პროსპექტი #2-4). მასშტაბური შენობის პირველი სართულის გამჭოლი კოლონადა ერთგვარი ვესტიბულია გრიბოედოვის სახ. დრამატული თეატრისათვის (სურ. 33).

1978 წელს აშენდა შენობა ფოსტა-ტელეგრაფისთვის (რუსთაველის პროსპექტი #31). მსხვილმასშტაბიანი ნაგებობა ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრების პრინციპზეა აგებული. პირველი სართულის გახსნის ხარჯზე არ აღიქმება შენობის მძიმე და მასიური ფორმები, რასაც ხელს უწყობს ფასადის დამუშავება ბოლნისის მოყვითალო თბილი ფერის ტუფით (სურ. 34).

რუსთაველის პროსპექტის ფორმირება XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ძირეული სახეცვლილება განიცადა არა მხოლოდ შენობების გარეგნულმა მხარემ, არამედ- ფუნქციამაც. ამრიგად, 1980-იანი წლების დასაწყისისათვის რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებამ დასრულებული იერსახე მიიღო. პროსპექტის არქიტექტურულ-

სივრცული გარემო ჩამოყალიბდა როგორც ერთიანი კომპლექსი (სურ. 36). სავარაუდოდ, მის განაშენიანებაში შემდგომი რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი არ იყო, რომ არა 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენები, რომლებიც ქვეთავის შემდეგ ნაწილში იქნება განხილული.

2.1. 2. 1991-1992 წწ. თბილისის ომი - კონცეფცია, კონკურსები, რეალიზაცია

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ე.წ. **თბილისის ომის** შედეგად რუსთაველის პროსპექტზე, თავისუფლების მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დაინგრა და დაზიანდა შენობა-ნაგებობები: რუსთაველის პროსპექტის #2-ში ყოფილი ამიერკავკასიის საოლქო შტაბის შენობა და მის გვერდით განლაგებული შენობები ლეონიძის ქუჩის კუთხემდე; საიუველირო მაღაზია და ეზოში მდებარე საცხოვრებელი სახლი; პარფიუმერიის მაღაზია; თავისუფლების მოედნისა და ლეონიძის ქუჩის კუთხეში მდებარე საცხოვრებელი სახლი (ლეონიძის #1), ასევე საცხოვრებელი სახლები: ძმებ ზუბალაშვილების # 9/6, 11/7; კოტეტიშვილის #7; არსენას #1, #11; მიხაი ზიჩის #10; ინგოროყვას #30, #32; ბესიკის #5; ლესია-უკრაინკას, ტ. შევჩენკოს და ბესიკის ქუჩების არეალში განლაგებული შსს-სა და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შენობების კომპლექსი; რუსთაველის პროსპექტის #7-ში მხატვრის სახლი; რუსთაველის პროსპექტის #12-ში კავშირგაბმულობის სახლი, რუსთაველის პროსპექტის #13-ში სასტუმრო „თბილისი“, რუსთაველის პროსპექტის #15; რუსთაველის პროსპექტის #10-ში პირველი საშუალო სკოლა; რუსთაველის პროსპექტის #8 მთავრობის სახლი; რუსთაველის პროსპექტის #11-ში სურათების გალერეა.

დაზიანებული უბნის და იქ მცხოვრები უბინაოდ დარჩენილი მოსახლეობის პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი გახდა პროფესიული ძალების თავმოყრა და სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის მთავარ არქიტექტორთან შეიქმნა საგანგებო საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ სათანადო საპროექტო და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსა და არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენლები. მათ ჩამოაყალიბეს მოქმედების შემდეგი გეგმა:

- დაზიანებული უბნის დაუყონებლივ შესწავლა ზონების მიხედვით;
- რუსთაველის პროსპექტისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა- რეკონსტრუქციის ქალაქთგეგმარებითი კონცეფციის ჩამოყალიბება;
- კონცეფციის გამოყენებით, ცალკეული ზონის რეკონსტრუქციის ესკიზურ პროექტზე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარება;
- დაპროექტება-მშენებლობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების ოპერატიული განხილვა;
- ქალაქის მერიასთან ერთობლივი მოქმედება.

სსი „თბილქალაქპროეტმა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სეისმომედეგობისა და სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, „თბილსკეპის“ წამყვან სპეციალისტებთან ერთად, ცალკეული ზონების მიხედვით კომისიამ შეისწავლა დაზიანებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა, აგრეთვე, დაადგინა მათი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებები.

კომისიის რეკომენდაციები საფუძვლად დაედო საცხოვრებელი სახლების აღდგენას ან მათ ნაცვლად ახალი სახლების დაპროექტებას, რაც უპირველეს პრობლემად მიიჩნიეს. მისი განხორციელება უმოკლეს ვადაში იტვირთა „თბილქალაქპროექტმა“. იმავდროულად, მიმდინარეობდა მუშაობა რუსთაველის პროსპექტისა და მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქციის ქალაქთგეგმარებით საკითხებზე. ეს მასალა ეტაპობრივად განიხილებოდა

საბჭოს სხდომებზე და საბოლოო სახით შეთანხმდა ქალაქის მერიასა და მთავრობასთან.

კონცეფცია - ამრიგად, შემუშავდა რუსთაველის გამზირისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა-რეკონსტრუქციის კონცეფცია შემდეგი არქიტექტორების მონაწილეობით: ვ. ქურთიშვილი, ვ. ბახტაძე, ი. მაჭავარიანი, გ. მეტრეველი. დაზიანებული უბნის აღსადგენად ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ყველა ასპექტი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოებას, რომ თბილისის ცენტრალური ბირთვი, მიმდებარე უბნებითურთ, რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქთმშენებლობით ძეგლს წარმოადგენდა, რომელმაც სახელმწიფო დაცვის ზონის სტატუსი 1985 წელს მიიღო. მოვლენათა განვითარების კონტექსტში აუცილებელი იყო ამ სტატუსის განმტკიცება, სათანადო დოკუმენტების პაკეტის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კულტურულ ფასეულობათა უთუო იმუნიტეტი, საქართველოს ჩართვა კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო სისტემაში, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი სტატიების შემოღება და სხვა ამგვარი.

საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ და მასთან მოქმედმა სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ, პროფესორ ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით, ამასთან დაკავშირებით შეიმუშავა შემდეგი წინადადებები:

„1. მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, სტიქიური მოვლენის ან საომარი მოქმედების შედეგად დანგრეული ძეგლები ექვემდებარება აღდგენას პირვანდელი სახით, მით უფრო, თუ ამ შენობების შემორჩენილი ნაწილის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა. ვინაიდან რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი და მათი მიმდებარე ტერიტორია მთლიანად ძეგლად არის გამოცხადებული, ხოლო მათი შემადგენელი

ნაგებობები დაზიანდა საომარი მოქმედებების შედეგად, აღნიშნული რეგიონი უნდა აღდგეს თავისი პირვანედელი სახით.

2. განადგურებული და დაზიანებული ნაგებობების ექსტერიერების აღდგენა პირვანდელი სახით არ გამორიცხავს მათი შიდა სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლას თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად. დასაშვებია, აგრეთვე, ზოგიერთი შენობის ფუნქციის შეცვლა შესაბამისი გადაგეგმარებით.

3. დაზარალებული ძეგლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია:

ა) რუსთაველის გამზირსა და თავისუფლების მოედანზე არსებული ყველა ძეგლი აღდგეს თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახით და ფუნქციით;

ბ) რუსთაველის გამზირის მიმდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული კვარტალები შენარჩუნდეს, როგორც თბილისის ურბანისტული ძეგლები. ამ კვარტლების ცალკეული შენობები, რომლებიც წარმოადგენენ ძეგლებს, აღდგეს თავდაპირველი სახით, ხოლო ზოგიერთი უსახური შენობის შეცვლის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს ქუჩების სტრუქტურა, განაშენიანების ხასიათი და მასშტაბი (იგულისხმება ბესიკის, შევჩენკოს და ძმებ ზუბალაშვილების ქუჩებს შორის მოქცეული კვარტლები).

4. რუსთაველის, ბესიკის, შევჩენკოს და ჭიჭინაძის ქუჩებით შემოსაზღვრულ კვარტალს (სუკ-ის შენობის კლუბი, ფიზკულტურელის სახლი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) შეიძლება ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია ქალაქის ადმინისტრაციული ცენტრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

5. ყველა პროექტი უნდა განიხილოს და შეათანხმოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ; მშენებლობის

პროცესში ყველა ობიექტზე დაწესდეს მთავარი სამმართველოს კონტროლი და კონსულტაცია.

6. სარესტავრაციო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო საქმიანობას წინ უნდა უსწრებდეს არსებული მდგომარეობის სრული ფიქსაცია (აზომვა, ფოტოფიქსაცია, ტოპოგეგმაზე დატანა და ა.შ.) და საარქივო მასალების მოძიება, რაც აგრეთვე უნდა წარედგინოს ძეგლთა დაცვის სამეცნიერო საბჭოს“.

კონცეფციაში ასევე ჩადებულია რუსთაველის პროსპექტის განვითარების საერთო კონცეფციის, მთლიანად პროსპექტის ფუნქციონალური გადახალისების, სქემის შემუშავება. კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად, რუსთაველის პროსპექტს ახალი ხარისხი უნდა შეეძინა. პროსპექტის აღდგენა-რეკონსტურქციის კონცეფციაზე მუშაობდნენ თ. კვირკველია, ლ. ვარდოსანიძე. გ. ჩუბინიშვილი (საინჟირო ღონისძიებები), გ. ასათიანი (გამწვანების საკითხები), თ. კოჩინაშვილი (რეკონსტრუქციის ზონაში განლაგებული შენობების პარამეტრების ნორმალიზაციის საკითხები).

რუსთაველის პროსპექტის აღდგენა-რეკონსტრუქციის კონცეფცია-პროგრამის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, ასევე, რუსთაველის პროსპექტზე ადრე დაშვებული ქალაქთგეგმარებითი შეცდომების მეტ-ნაკლებად გამოსწორება ან შერბილება წარმოადგენდა. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი „ვარდების რევოლუციის“ მოედნის რეკონსტრუქცია იყო. აუცილებლად მიიჩნიეს რუსთაველის ახალგაჩენილი გაჭრილი ღერძის დასავლეთით მდებარე მოედნის იდეურ-მხატვრული დასრულება შესაფერისი დაგეგმარებით. გარდა ამისა, რუსთაველის პროსპექტის ფუნქციური შევსების განსაზღვრისას კონცეფციაში გათვალისწინებელი იყო ახალი, უჩვეულო ან მივიწყებული ფუნქციების აღდგენაც, როგორებიცაა: რუსთაველის პროსპექტის მცირე არქიტექტურული ფორმების, ქალაქური დიზაინის სემიოტიკური და ინფორმაციული სისტემების „ინტერიერის“ გადაწყვეტა, დენდროლოგიური სურათის მოწესრიგება. მეტი მრავალფეროვნებისათვის

პროსპექტის განათებების პულსირებულ პრინციპზე, ინტიმური და შუქის აქცენტებისა და ეფექტის კონტრასტზე დამყარებული „ღამის სცენარის“ შემუშავება; ინფორმაციული სისტემის, რეკლამის, აბრების, პიქტოგრამების მოწესრიგება.

კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა რუსთაველის პროსპექტისა და მიმდებარე უბნების სატრანსპორტო სქემისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის პირობების გადასინჯვა. ავტომობილისა და ქვეითის პრიორიტეტების გადანაცვლებით, პროსპექტის ორი მხარის საქვეითო კავშირების გახშირება, სავალი ნაწილის დონეზე გადასასვლელების მოწყობა.

კონცეფცია-პროგრამაში, ასევე, შემუშავდა საცხოვრებელი სახლების აღდგენის ზოგადი რეკომენდაციები: აღსადგენი სახლების მასშტაბური აწყობა, სტრუქტურის საერთო ხასიათის შენარჩუნება, ისტორიულად ჩამოყალიბებული წითელი ხაზების დაცვა, ბინების თანამედროვე კომფორტის შესაბამისად მოდერნიზება.

კონცეფცია-პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქური კულტურის ისეთი თვისების აღორძინებას თბილისისთვის, როგორიცაა ცენტრის საღამოსა და ღამის ცხოვრება. რუსთაველის პროსპექტისა და, ზოგადად, თბილისის, ტრადიციები ყოველთვის გულისხმობდა საღამოს ცხოვრებას, ხალხმრავლობა ყოველთვის მომგებიანად განასხვავებდა რუსთაველის პროსპექტს სხვა ქუჩებისა და პროსპექტებისგან. ამ ამოცანის რამდენიმე სიბრტყეში გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა თბილისის ცენტრის „გაშლას“ არა მარტო სივრცეში, არამედ - დროშიც.

კონკურსი - კონცეფცია ოფიციალურ დოკუმენტად მიიღეს და მისი ძირითადი პოზიციების გათვალისწინებით შემუშავდა რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედანზე ოთხი დაზიანებული ზონის აღდგენა-რეკონსტრუქციის ესკიზ-იდეა (სურ. 37-40).

1. **პირველი საშუალო სკოლის, კავშირგაბმულობის სამინისტროსა და მათი მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქცია**. საკონკურსო პირობების თანახმად, სკოლა უცვლელი სახით უნდა აღედგინათ. შევჩენკოს ქუჩაზე #3 საცხოვრებელი სახლის და შსს-ს ნაცვლად სკოლის ახალი კორპუსი უნდა დაეპროექტებინათ. ორივე კორპუსს ერთიანი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ბესიკის ქუჩის დაზიანებული შენობები (# 2, 4,) უნდა შენარჩუნებულიყო, # 6 -კი - სეისმომედეგობის ინსტიტუტის დასკვნის შესაბამისად. ასევე, უნდა შენარჩუნებულიყო კავშირგაბმულობის შენობა. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტისთვის ახალი შენობა უნდა დაეპროექტებინათ, სხვა დანარჩენი დაზიანებული შენობები კი - აეღოთ. ახალი ფუნქციის შენობების შემოტანა კონკურსანტს თავად უნდა განესაზღვრა. მნიშვენლოვანი იყო ავტოსადგომის პრობლემის გადაწყვეტა.

2. **„მხატვრის სახლის“ და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქცია**. დასაპროექტებელი ტერიტორია იყო რუსთაველის პროსპექტი #7 და მისი ეზო კეცხოველის ქუჩამდე. შენობა უნდა აღედგინათ სასტუმროს ფუნქციით. კეცხოველის ქუჩის #20 სახლი შესაძლოა ჩართულიყო სასტუმროს კომპლექსში. სასტუმროს დაპროექტებისას სასურველი იყო კეცხოველის ქუჩის ფეხით მოსიარულეთა ქუჩად გადაქცევის პროექტის გათვალისწინება (ადრე „თბილქალაქპროექტის“ მიერ დამუშავებული იყო საპროექტო წინადადება, კეცხოველის, ახლანდელი გუდიაშვილის, ქუჩის ფეხმავალთა ზონად გადასაქცევად).

3. **სასტუმრო „თბილისის“ და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქცია**. დასაპროექტებელი ტერიტორია - რუსთაველის პროსპექტი #13 და #15, ჯორჯიაშვილის #6 - ავარიული მდგომარეობის გამო. ძეგლის სტატუსის მქონე სახლის ფასადი უნდა შენარჩუნებულიყო, ხოლო სასტუმრო „თბილისის“ ადგილას მაღალი კლასის სასტუმრო დაპროექტებულიყო.

4. თავისუფლების მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქცია. დამწვარი და დაზიანებული შენობები: ლეონიძის #1, თავისუფლების მოედანი #4 და #4ა, რუსთაველის პროსპექტი #2 ძეგლის სტატუსის მქონე სახლებია. ამიტომ მათი ფასადები უნდა შენარჩუნებულიყო. ყოფილი სასტუმრო „კავკაზი“ (1858 წ.) უნდა აღმდგარიყო სასტუმროს ფუნქციით. კონკურსანტებს უნდა გაეაზრებინათ მთლიანი უბნის რეკონსრტუქციის შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არქიტექტურული საზოგადოება პირველად იდგა ასეთი ამოცანის წინაშე. კონკურსის ჩატარების ძირითადი მიზანი იყო საქართველოს არქიტექტორთა ფართო საზოგადოების ჩართვა დედაქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის საქმეში მათი პროფესიული დამოკიდებულების გამომჟღავნების მიზნით. 1992 წლის 4 მარტს გამოცხადდა კონკურსი. ოთხივე კონკურსის დებულება და ჟიური საერთო იყო, პირობები - განსხვავებული, თითოეული ზონის თავისებურებების გათვალისწინებით; კონკურსის ვადები - შეზღუდული. გამარჯვებულის ერთადერთი ჯილდო იყო საავტორო უფლება. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა არქიტექტორმა და შეიქმნა 43 პროექტი.

აქედან გამოვლინდა ოთხი გამარჯვებული პროექტი:

1. პირველი საშუალო სკოლის, კავშირგაბმულობის სამინისტროსა და მათი მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქცია. ავტორი არქ. ვ. ქურთიშვილი;

2. “მხატვრის სახლის“ და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა რეკონსტრუქცია. ავტორი არქ. ვ. ქურთიშვილი, მ. ქურთიშვილი;

3. სასტუმრო „თბილისის“ და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქცია. ავტორები: არქ. გ. მეტრეველი, გ. სულაბერიძე, ლ. ყავლაშვილი.

4. თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტურცია. ავტორები: არქ. გ. გეგეშიძე. ლ.სიმონია;

აღსანიშნავია, რომ არქიტექტორებმა გამოავლინეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ენთუზიაზმი; მოახდინეს შემოქმედებითი პოტენციალის მობილიზება და წარმოადგინეს საინტერესო, მაღალკვალიფიციური და მრავალფეროვანი საკონკურსო პროექტები, რაც ნათლად მიუთითებდა თანამედროვე ეროვნული არქიტექტურის დიდ შესაძლებლობებზე.

აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა, თავისი იდეურ-მხატვრული დონით, ინარჩუნებდა რუსთაველის პროსპექტის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და არქიტექტურის მხატვრულ-ესთეტიკურ ტრადიციებს. კონკურსში გამარჯვებული პროექტები არ იყო ამოვარდნილი ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მასშტაბიდან.

პირველ კონკურსში გამარჯვებული პროექტი მაქსიმალურად ითვალისწინებდა რელიეფის თავისებურებებს, განაშენიანების მასშტაბსა და ხასიათს. სკოლის ახალი ოთხასრთულიანი შენობა შიგა ეზოს და სპორტულ კომპლექსს მოიცავდა. კავშირგაბმულობის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა იყო გათვალისწინებული, რომლებიც ერთმანეთს დაუკავშირდებოდა ფეხით მოსიარულეთა ქუჩით, ის კი, თავის მხრივ, დაუკავშრდებოდა გრიბოედოვის ქუჩას. შევჩენკოს ქუჩის გასწვრივ მიწისქვეშა ავტოსადგომი მოეწყობოდა (სურ. 41).

მეორე კონკურსის გამარჯვებული პროექტის ძირითადი იდეა იყო დოზირებული „ძველი“ სტრუქტურების თანამედროვე სისტემებთან შეერთებით მხატვრულ-ემოციური და ტექნოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტის მიღება. პროექტის ამოსავალს წარმოადგენდა სასტუმროს (ყოფილი „მხატვრის

სახლი“) განთავსების ადგილის მნიშვნელობა რუსთაველის პროსპექტის სტრუქტურაში; მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების მასშტაბი (ლ. გუდიაშვილის, ა, ფურცელაძის და ა. ჯორჯაძის ქუჩები) და ქაშვეთის ტაძართან დამოკიდებულება. ძველი შენობის მთავარი ფასადი უცვლელი რჩებოდა და ახალ 280 ადგილიან სასტუმროს ნაგებობასთან იყო შერწყმული (სურ. 42).

მესამე კონკურსის გამარჯვებული პროექტით გათვალისწინებული იყო რუსთაველის პროსპექტის, ი. პეტრიწის და ჯორჯიაშვილის (ახლანდელი გ. ჭანტურიას) ქუჩებს შორის მდებარე უბნის რეკონსტრუქცია, ამ უბნისთვის განსაკუთრებული ნიშნის მატარებელი გარემოს შექმნა და იმ ბუნებრივი ქალაქთგეგმარებითი ვითარების აღდგენა, რაც გამოიხატებოდა ამ ზონაში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების არსებობით. განზრახული იყო სასტუმრო „თბილისის“ პირვანდელი სახით აღდგენა. მის გვერდით მდებარე ბანკის შენობის სასტუმროს კომპლექსში ჩართვა და იქვე ჩრდილოეთისაკენ გახსნილი ატრიუმის აშენება, რომელიც ძირითადი მაორგანიზებელი სივრცის ფუნქციას იტვირთავდა, სასტუმროს საზოგადო და საძილე ზონებს დააკავშირებდა და გამიჯნავდა ერთმანეთისაგან. მიწისქვეშა სივრცეებში ავტოსადგომი და სავაჭრო დანიშნულების ობიექტები მოეწყობოდა (სურ. 43).

მეოთხე კონკურსში გამარჯვებული პროექტით იქმნებოდა პოლიფუნქციური გარემო კონკრეტულ ქალქთგეგმარებით ზონაში, რაც გადამწყვეტი ფაქტორი იყო პროექტის სივრცობრივი გააზრებისთვის. მრავალფეროვენი გარემოს ინტეგრაციის გამაერთიანებელი ფუნქციური ღერძი ფეხმავალთა ახალი ქუჩა, პასაჟი, მოეწყობოდა, სავაჭრო დატვირტვით, ის თავისუფლების მოედნიდან პ. ინგოროყვას ქუჩამდე გრძელდებოდა. თავისუფლების მოედნის დაზიანებული ნაგებობები აღდგებოდა და პირველი სართულები პასაჟად გადაიქცეოდა. ყოფილი შტაბის შენობა სასტუმროს კომპლექსში იყო ჩართული (სურ. 44-45).

რეალიზაცია. სამწუხაროდ, კონკურსში გამარჯვებული პროექტებიდან არც ერთი არ განხორციელდა სრულად. 1995 წელს სხვა, ახალი, პროექტის მიხედვით, პირვანდელი სახით აღადგინეს პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობა (სურ. 46), თუმცა, საკონკურსო პირობის მიუხედავად, შევჩენკოს ქუჩაზე სკოლისათვის დამატებითი კორპუსი ვერ აიგო. სასტუმრო „თბილისის“ შენობა „მარიოტის“ სასტუმროთა ქსელმა შეიძინა. კონკურსში გამარჯვებული პროექტი ნაწილობრივ განხორციელდა, ფასადი აღდგა პირვენდელი სახით, რომელსაც დაამატეს საპრეზიდენტო აპარტამენტები ბოლო სართულზე, რამაც გამოიწვია შენობის სიმაღლეში გაზრდა, თუმცა ამ ცვლილებას მის იერსახეზე გავლენა არ მოუხდენია (სურ. 47). თავისუფლების მოედანზე მხოლოდ შტაბის შენობა აღადგინეს უცვლელი სახით. მიმდებარე შენობები დაანგრიეს და 1999 წელს სასტუმროების ქსელ „მარიოტის“ სასტუმრო აშენდა. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორები იყვნენ: მთავარი არქიტექტორი ვ. ცინცაძე, არქიტექტორები: ზ. ისაკაძე, ზ. ფილიშვილი, ნ. სამადაშვილი, ნ. მანჯავიძე (სურ. 48). „მხატვრის სახლის“ გადარჩენილი მთავარი ფასადი, რომელიც დაზიანებიდან ერთი წლის მანძილზე იყო შენარჩუნებული, დაანგრიეს. რამდენიმე საპროექტო წინადადება მხატვრის სახლის აღდგენის შესახებ არ განხილულა და დღეს ამ ადგილას კერძო ინვესტორის დაფინანსებით მიმდინარეობს მრავალფუნქციური სამუზეუმო კომპლექსის მშენებლობა არქიტექტორების - ა. ქურდიანისა და გ. ქურდიანის - პროექტის მიხედვით. ძეგლთა დაცვის სამმართველოს რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული თავისუფლების მოედანზე, მხატვრის სახლის ტერიტორიაზე და დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენისას. ვერც კონცეფიცა-პროგრამა განხორციელდა. რუსთაველის პროსპექტზე დაზიანებული შენობების აღდგენა-რეკონსტრუქციის კონკურსში გამარჯვებული პროექტები არ არღვევდა თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე

ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მასშტაბს. შენარჩუნებული იყო ისტორიული განაშენიანების სივრცითი სტრუქტურა. დანგრეული შენობების ადგილას ახალი შენობების აგებისას სასარგებლო იქნებოდა კონცეფცია-პროგრამის გათვალისწინება, ძველი შენობების ისტორიული, არქიტექტურულ-მხატვრული და ფუნქციონალური ღირებულებების მხედველობაში მიღება (სურ. 49-50).

2.2. რუსთაველის პროსპექტის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტში

ქალაქის სივრცე, შენობა-ნაგებობების მოცულობით, სივრცეში შემოფარგლული ფასადების არქიტექტურული გამომსახველობით უნდა იქმნებოდეს, მისი მცხოვრებლებისათვის მეორე სახლს უნდა წარმოადგენდეს და, ამავე დროს, მათი ორიენტაციის და იდენტიფიკაციის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდეს. ქალაქის სივრცე არ შეიძლება, განუსაზღვრელად და გეგმის გარეშე ყალიბდებოდეს. მისი ფორმირება მოითხოვს დიდ მზრუნველობას, ფანტაზიას და მომავლის განჭვრეტას. ქალაქის სივრცე უნდა გვაძლევდეს ინფორმაციას მისი შექმნის დროის, ისტორიის, მცხოვრებლებისა და საზოგადოების ზოგადი განვითარების შესახებ. ქალაქი შედგება გარკვეული სიგნალებისა და მინიშნებებისაგან და მისი არქიტექტურაც უნდა ქმნიდეს ქალაქის განუმეორებლობის განცდას [17, გვ.85].

ძველი ქუჩების ლაბირინთები და თანამედროვე ხმაურიანი მაგისტრალები ქალაქს ჰარმონიულ, განუმეორებელ იერს ანიჭებს. ინდუსტრიალიზაცია, მოსახლეობის მატება თუ საავტომობილო ტრანსპორტის შემოჭრა ცვლის ქალაქურ გარემოს, ირღვევა ძველი ქუჩების ქსელი, ქრება მასთან დაკავშირებული მოგონებები. ის ფესვები, რომლებიც ანიჭებს ქალაქს სიცოცხლის ძალას, გადის მის ქუჩებსა და კვარტლებში [47, გვ.9]. ქალაქის

ერთიანი არქიტექტურული ქსოვილი დაკავშირებულია მის წარსულსა და ისტორიასთან.

იშვიათია ქალაქი, რომელსაც თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე არ გადაუტანია გამანადგურებელი დარტყმები, ხანძარი, ომი. ქალაქების უმეტესობამ მოახერხა, გამკლავებოდა ამ კატასტროფებს. ომი მხოლოდ მაშინ აქრობს ქალაქს, თუკი ქალაქი უმნიშვნელო ადგილას მდებარეობს ან მისი მცხოვრებლები დათმობენ მას. სხვა შემთხვევაში განადგურებას ყოველთვის აღორძინება მოჰყვება ხოლმე [17, გვ.38].

ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრის, დედაქალაქის მთავარი არტერიის, რუსთაველის პროსპექტის, შედარება პრუსიის სამეფოს დედაქალაქის, ბერლინის, ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალ კურფურსტენდამთან (კუდამი) *Kurfürstendamm (Ku'damm)* და უკრაინის დედაქალაქის მთავარ ქუჩა კრეშჩატიკთან, მით უფრო, რომ ეს ქალაქები, თავიანთი არსებობის მანძილზე სერიოზული განადგურების მომსწრეები გახდნენ და ამ მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია მათი დღევანდელი სახის ჩამოყალიბებაზე. თბილისი, 5 ტერასიანი ქალაქი, გრძივად, მდინარის გასწვრივ განვითარდა. რუსთაველის გამზირი თბილისის შუა ტერასაზეა განლაგებული, რის გამოც, რუსთაველის პროსპექტის რაკურსები გახსნილია და ზედა ტერასების ლანდშაფტი გადამწყვეტია პროსპექტის მთლიანი სივრცის აღქმაში. ქალაქთგეგმარებითი თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია თბილისის შედარება ბრტყელ რელიეფზე გაშენებულ ქალაქ ბერლინთან და ასიმეტრიული დაგეგმარების მქონე ქალაქ კიევთან. ორივე ქალაქის ქუჩები, რუსთაველის პროსპექტის მსგავსად, XIX საუკუნის დასაწყისიდან ინტენსიურად ვითარდება. სტრუქტურულად სამივე ქუჩა გრძივად არის განაშენიანებული. ქუჩები მოედნით იწყება და მოედნით ბოლოვდება (სურ. 51). სამივე ქუჩაზე ომის შედეგად დაზიანდა შენობა-ნაგებობები. მათი აღდგენა სხვადასხვაგვარად

წარიმართა თუმცა მათ შორის შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა საერთო ნიშნებიც.

კუდამი 3.5 კმ-იანი ქუჩაა, რომელიც ბერლინის შარლოტენბურგ-ვილმენსდორფის რაიონში მდებარეობს. პროსპექტი გრუნევალდის რაიონში მდებარე რატენაუპლაციდან იწყება და შარლოტენბურგში მდებარე ბრაიდშაიდპლაცთან მთავრდება. ინჟინერ ლა ვინეს შედგენილ 1685 წლის ბერლინის და მისი შემოგარენის გეომეტრიულ გეგმაზე ქალაქის სასახლიდან გრუნევალდის სანადირო სასახლისაკენ აღნიშნულია საფეხმავლო ბილიკი მომავალ კუდამზე, რომელიც 1542 წელს გაჩნდა. სახელწოდება „კურფურსტენ დამი“ *(«Churfürsten Damm»)* უფრო გვიანდელია და ფრიდრიხ ვილჰელმ კარლ ფონ შმეაუს მიერ შედგენილ 1767-1787 წლების რუკაზეა აღნიშნული. 1873 წელს ოტო ბისმარკს გაუჩნდა იდეა, ქუჩა გადაეკეთებინა და გაეფართოებინა. 1886 წელს ქუჩა 53 მეტრამდე გაფართოვდა და მასზე ბულვარის გაშენება დაიწყო. XX საუკუნის ათიან წლებში კუდამი განაშენიანებულია მდიდრული საცხოვრებელი სახლებით, რომლებშიც მდიდარი მოსახლეობა ცხოვრობს. კუდამი ბურჟუაზიის კულტურული ცენტრია, მისი გართობისა და ურთიერთობის ადგილით, რამდენიმე კინოთეატრით და კაფეთი. 1930-იან წლებში, ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიიდან გამომდინარე, დაწესდა შეზღუდვები ქუჩაზე მცხოვრები გერმანელი ებრაელებისთვის, რომლებიც შემდგომ დაარბიეს და ქუჩიდან გაასახლეს. ეს ბულვარის იერსახეზე აისახა. ქუჩამ თანდათან დაკარგა თავისი ხიბლი.

მეორე მსოფლიო ომის დროს კუდამზე 43 შენობა დაზიანდა. ქუჩის აღდგენა ომის დამთვრებისთანავე დაიწყო, ხოლო ბერლინის ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ, ნაწილად გაყოფის შემდეგ კუდამი დასავლეთ ბერლინის ცენტრად იქცა. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ კუდამმა ნაწილობრივ დაკარგა თავის მნიშვნელოვანება. ქალაქის ცენტრი მითეში (*Mitte*) გადადის,

ახალი ცენტრი პოტსდამის პლაცი (*Potsdamer Platz*) ხდება. დღეისათვის ქუჩას სავაჭრო და გასართობი ფუნქცია აქვს და ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს.

კურფურსტერდამის ფართო ბულვარი რატენაუპლაცის (*Der Rathenauplatz*) მოედნიდან იწყება, რომელიც სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს. 1987 წელს მოედნის ცენტრში გამწვანებულ გაზონზე ბეტონის კადილაკის სკულპტურა დაიდგა. ქუჩა 3,5 კმ სიგრძეზეა გადაჭიმული და მთავრდება ბრაით შაიდტპლაცზე (*Breitscheidplatz*), სადაც 1891-1895 წლებში აგებული კაიზერ ვილჰელმის მემორიალური ევანგელისტური ეკლესია მდებარეობს (*Kaiser-Wilhelm-Gedächtnis-Kirche).* ტაძარი პირველი გერმანელი კაიზერის, ვილჰელმის, პატივსაცემად ააგო მისმა შვილიშვილმა, გერმანიის უკანასკნელმა კაიზერმა ვილჰელმ II-მ. კონკურსში არქიტექტორ ფრანც შვეხტენის პროექტმა გაიმარჯვა. ბერლინის ანჰალტის სადგურის (*Anhalter Bahnhof)* შენობის პროექტით სახელგანთქმულმა შვეხტენმა შენობა ნეორომანისტულ სტილში გადაწყვიტა. ეკლესიის სიმაღლე 113 მეტრი იყო და ბერლინში ყველაზე მაღალ ეკლესიას წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს, ტაძარი დაიბომბა. ომის შემდეგ ფიქრობდნენ ამ ადგილას ახალი შენობის აგებას, რასაც გერმანიის მოქალაქეების დიდი პროტესტი მოჰყვა. შედეგად, შეინარჩუნეს ეკლესიის ნანგრევები და გადარჩენილი 68-მეტრიანი კოშკი სპეციალური პლატფორმის მეშვეობით გაამაგრეს. დანგრეული ეკელსიის გარშემო არქიტექტორმა ეგონ აიერმანმა შექმნა შენობის ახალი დეტალები: ერთ მხარეს მაღლივი თანამედროვე ოთხკუთა და მეორე მხარეს უფრო დაბალი, ჯმუხი, პროპორციის ნაგებობა. დღეს ეკლესია ომის შემდგომი ბერლინის ერთგვარი სიმბოლო გახდა, რომელსაც ტურისტებმა „ლურჯი ეკლესია“ შეარქვეს ეკლესიის ლურჯი შუშებიდან გამომავალი სინათლის გამო. ვიტრაჟული ფასადები სიმსუბუქეს ანიჭებს ორივე ნაგებობას და საერთო კომპოზიციიდან გამოყოფს ეკლესიის ნანგრევებს. ეკლესია

ცენტრში დგას და აღიქმება კუდამის როგორც შორი მანძილიდან, ისე - გვერდითი ქუჩებიდანაც.

ეკლესიის აღმოსავლეთით 1897-1899 წლებში აშენებული ნეორომანული სტილის შენობა იდგა, ე.წ. „რომანული სახლი“. შენობაში განთავსებული იყო „რომანული კაფე“, ხელოვანების შეკრების ადგილი. ნაგებობის კუთხის ორ ამაღლებულ კოშკს პირამიდული დაბოლოება ჰქონდა. ფრონტონით დასრულებული მთავარი ფასადის ცენტრში მომრგვალებული ერკერი გამოდიოდა. ფასადზე რამდენიმე სკულპტურული ფიგურა იყო გამოსახული. 1943 წელს შენობა მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბომბა. 1961 წელს, ბერლინის კედლის აღმართვის შემდეგ, ამ ადგილას დაიგეგმა ახალი მრავალფუნქციური შენობის, „ევროპა-ცენტრის“, აგება, რომელიც რესტავრირებული ევანგელისტური ეკლესიის არქიტექტურული კომპლექსის სამომავლო განვითარებას განაპირობებდა და დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის ცხოვრების დინამიკის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. დამკვეთი ბერლინელი ინვესტორი იყო. მან ამერიკული მოდელის საოფისე და სავაჭრო ცენტრის პროექტი და მისი განხორციელება პროფესორ ჰელმუტ გენტრუხს და ინჟინერ ჰუბერტ პეჩნუგს დაუკვეთა. არქიტექტორი ეგონ აიერმანი, მემორიალური ევეანგელისტური რეკონსტრუირებული ეკლესიის პროექტის ავტორი, პროექტის მხატვრული კონსულტანტი იყო. 1965 წელს მრავალფუნქციური ცენტრი გაიხსნა. სხვადახვა კონფიგურაციის შენობები განლაგდა. ორსართულიან შენობაში მიწისქვეშა სართულებით და შიდა ეზოებით განთავსებულია კინოთეატრი, სასტუმრო, საცხოვრებელი სახლი. მის უკან მდებარეობს ამავე კომპლექსში შემავალი 21-სართულიანი საოფისე შენობა, რომელიც პირველი მაღლივი შენობა იყო იმ პერიოდის ბერლინში. „ევროპა-ცენტრის“ მრავალფუნქციური შენობა (*Europa-Center)* XX საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთ ბერლინის სიმბოლო გახდა. „ევროპა-ცენტრი“ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს და სახელმწიფო დაცვის ქვეშ

იმყოფება. ცენტრი რამდენჯერმე გადაკეთდა იმ მიზნით, რომ მოდერნიზებული და მოსახლეობისათვის უფრო მიმზიდველი და კომერციულად მომგებიანი ყოფილიყო.

კუდამის პროსპექტის სამხრეთ მხარეს კარგად არის შენარჩუნებული ძველი შენობები. განიერ ქუჩაზე თავიდანვე ჩამოყალიბდა 22 მეტრის სიმაღლის 6-სართულიანი განაშენიანება.

ჩვენი ინტერესის საგანს რამდენიმე შენობა წარმოადგენს, როგორც წარსულისა და დღევანდელობის სიმბიოზის ნათელი მაგალითი ერთი ქუჩის ფარგლებში.

აღსანიშნავია, 1905-1907 წლებში (კუფრუსტერდამი #59-60) არქიტექტორ ჰანს ტოებელმანის და ჰენრი გროსის პროექტით აგებული იმპოზანტური, დიდი შემოსავლიანი სახლი. კუთხის შენობა შედგება ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული ნაგებობისა და გვერდითი ფლიგელისგან. შენობის ორნამენტებით და სკულპტურებით გაფორმებული ნაწილი, კურფურსტერდამი #56-58, არ შემორჩა, თვით ნაგებობა კი თითქმის პირვანდელი სახით არის შემონახული. 5-სართულიანი შენობა წარმოადგენს ნაგებობის იშვიათ ტიპს, რომელიც XIX–XX საუკუნის ბერლინის არქიტექტურისათვის იყო დამახასიათებელი. შენობის მთავარი ფასადის ნაკვეთი კუთხე დაგვირგვინებულია მაღალი გუმბათით, რომელიც ფლანკირებულია ორი შედარებით მცირე ზომის გუმბათით. შენობაში განთავსებული ფეშენებელური ბინები საზოგადოების მაღალი ფენებისათვის იყო გათვალისწინებული. მოგვიანებით, XX საუკუნის 20-იან წლებში, დიდი შემოსავლანი სახლის პირველი სართული კომერციულ ფართებად გადაკეთდა. შენობა ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც გადაურჩა ომს.

განსაკუთრებით საინტერესო ისტორია აქვს სახელნგათქმულ კაფე „კრანცლერს“, რომელიც 1932 წელს აშენდა კუდამზე და ბერლინის 1945 წლის დაბომბვამდე არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში იგი ბერლინის კულტურულ

ცენტრსა და საზოგადოების თავშეყრის საყვარელ ადგილს წარმოადგენდა. 1951 წელს კაფე „კრანცლერი“ მეორედ გაიხსნა. ამჯერად იგი ახლად აგებულ სწორკუთხა ორსართულიანი შენობაში იყო განთავსებული, რომელიც არქიტექტორ პაულ შვების პროექტით აიგო. 1957-1958 წლებში შენობა დაანგრიეს. გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც არქიტექტორმა ჰანს დუსტმანმა გაიმარჯვა. მისი პროექტით აიგო ორსართულიანი მრგვალი პავილიონი გადახურული ვერანდით. იოახიმშტალერის ქუჩისა და კურფურსტერდამის კუთხეში მდებარე წითელ და თეთრმარკიზებიანი შენობა დღემდე ბერლინის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. 1998-2000 წლებში, შენობის საფუძვლიანი სანირების შემდგომ, დაბალ როტონდას დაუპირისპირდა ჰ. იანის პროექტით აგებული 16-სართულიანი მინის ფასადიანი შენობა, რომელიც პასაჟისებური გასასვლელებით უკავშირდება კაფეს და კურფურსტერდამის პარალალურ ქუჩა კანშტრასეს.

ომის შემდეგ პირველი სასტუმროს ნაგებობა დასავლეთ ბერლინში 1957-1958 წლებში აშენდა კურფურსტერდამზე. „კემპინსკის“ სასტუმროს კომპლექსი ორი ნაწილის - 7-სართულიანი ფლიგელისა და 12-სართულიანი - მაღლივი შენობისგან შედგება. არქიტექტურული თვალსაზრისით, საინტერსოა შენობის 7-სართულიანი ფლიგელი, რომლის მომრგვალებული ფასადი კურფურსტერდამისა და ფაზანენშტრასეს გადაკვეთაზე გამოდის. მთავარი ფასადის ბოლო სართული ოდნავ შეზნექილია. შენობის ფასადი აქცენტრებულია ფანჯრის ღიობების დანაწევრების თანაბარი რიტმით.

კურფურსტერდამის და იოჰანშტრასეს ქუჩის გადაკვეთაზე (*Ku'damm Eck*) 1969-1972 წლებში არქიტექტორ ვ. დუტმანის პროექტით აიგო კუთხის შენობა, რომელიც თავისი ჰერმეტული ფასადით და კონცეფციით ვერ აკმაყოფილებდა კომერციულ და ქალაქთმშენებლობით აქტუალურ მოთხოვნებს. ძველი შენობის ადგილას 2009 წელს აშენდა გერკანის მარგის და პარტნიორების არქიტექორთა ჯგუფის მიერ დაპროექტებული10-სართულიანი

შენობა. მართალია, იგი „*City West*“-ში ერთერთი მასშტაბური შენობა იყო, მაგრამ კურფურსტერდამის პროსპექტზე უკვე არსებული მასშტაბური შენობების გვერდით არაადეკვატურად მონუმენტურად აღიქმება.

ახალ შენობაში განთავსებულია სასტუმორო სვისოტელი (*Swissotel*) და სავაჭრო ცენტრი. შენობის ცოკოლის ნაწილი ქუჩის ხაზს მიუყვება, მის უკან 12-სართულიანი შენობის ძირითადი ნაწილი მდებარეობს ცილინდრული კონსტრუქციის მომრგვალებული შვერილი კუთხით და სკულპტურული კომპოზიციით. ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით, ეს ნაგებობა თავისი მოცულობით გამოირჩევა ქუჩის განაშენიანებაში.

კუდამის ქუჩის განაშენიანებაში გამოიკვეთა XIX საუკუნის ძველი შენობებისა და ტრანსფორმირებული თანამედროვე შენობების სინთეზი, რომლის მაგალითია დიდი შემოსავლიანი სახლი, კაფე თუ სასტუმროები; ქუჩის ბოლოს, ბრაიდშაიდპლაცზე, განლაგებული მემორიალური ეკლესია (*Die Gedächtniskirche*) და თანამედროვე სავაჭრო ცენტრი, რომლებიც მოედნის არქიტექტურულ სახეს ქმნის. კუდამზე განლაგებული ახალი მსხვილ-მასშტაბიანი შენობები არ არღვევს ქუჩის განაშენიანების მოწესრიგებულ რიტმს. მთავარი დომინანტი 3,500-კილომეტრიან ქუჩაზე XIX საუკუნის-დროინდელი ეკლესიაა, რომელიც გარკვეულ სიგნალს იძლევა. მას შინაარსობრივი დატვირთვაც აქვს, როგორც ომის საწინააღმდეგო მანიფესტს. ქალაქმა მომავალი თაობისათვის შემოინახა საეკლესიო ნაგებობა როგორც ომის დამანგრეველი ძალის თვალსაჩინო მაგალითი [17, გვ.82]. მემორიალური ტაძრის ნანგრევის ვერტიკალი თავისი იერსახით და მდებარეობით გამოიკვეთება ქუჩის განაშენიანებიდან და წარმოადგენს კურფურსტერდამის პროსპექტის სივრცულ ღერძს.

უკრაინის დედაქალაქი **კიევი** მდებარეობს მდინარე დნეპრზე. კიევი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც V საუკუნეში დაარსდა. XVIII საუკუნეში ქალაქი მონღოლებმა მიწასთან გაასწორეს. 1934

წლიდან კიევი საბჭოთა უკრაინის დედაქალაქია. მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქი კვლავ თითქმის სრულიად განადგურდა, თუმცა ომის შემდგომ სწრაფად აღადგინეს. 1991 წლიდან კიევი დამოუკიდებელი უკრაინის დედაქალაქია.

რუსთაველის პროსპექტის მსგავსად, კრეშჩატიკი (*Хреща́тик*) უკრაინის დედაქალაქის მთავარი არტერიაა. კრეშჩატიკი კიევის შევჩენკოსა და პეჩორის რაიონებში მდებარეობს და იშლება ევროპის მოედნიდან ბესარაბკას მოედნამდე. მისი სიგანე ორჯერ აღემატება რუსთაველის პროსპექტს, ხოლო სიგრძე 200 მეტრით ნაკლებია.

კრეშჩატიკის განაშენიანება XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ღრმა ხეობის ადგილას, სადაც ნაკადული მოედინებოდა. თავდაპირველად გაშენდა ევროპის მოედანი (ადრე საცხენე მოედანი) პრორეზნოის ქუჩამდე. თავდაპირველი ნაგებობები ხისა იყო. პირველი ქვის შენობა პან გოლოვინს ეკუთვნოდა. მასში 1849 წლამდე საფოსტო კანტორა იყო განთავსებული. 1803 წლიდან მშენებლობა გაგრძელდა ქუჩის მარცხენა მხარესაც და აქ 1806 წელს ქალაქის პირველი თეატრალური ნაგებობა დაიდგა. ამიტომ თავდაპირველად ქუჩას თეატრალური ეწოდებოდა. მოგვიანებით, თეატრი სასტუმრო „ევროპეისკიმ“ შეცვალა (შენობა დაინგრა ომის დროს). ქუჩა გაგრძელდა ბესარაბკას მოედნამდე, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ლუთერანული სასაფლაოს ადგილას შეიქმნა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1837 წლისთვის. მას ეწოდა კრეშჩატიკი [21, გვ.94]. იქ, სადაც ქუჩა მთავრდებოდა, XIX საუკუნის ბოლოდან სავაჭრო მოედანი ყალიბდება. 1910-12 წლებში ებრაელი შაქრის მეწარმე ლაზარე ბროდსკი ბესარაბკას მოედანზე დახურული ბაზრის შენობას აგებს, 2001 წლიდან კი მოედნის ქვევით სავაჭრო კომპლექსი „მეტროგრადი“ განთავსდა.

XX საუკუნის დასაწყისის შენობებიდან კრეშჩატიკზე 1913-1914 წლებში აგებული პასაჟის შენობა შემორჩა (კრეშჩატიკი #15). მეორე მსოფლიო ომის

შემდეგ ხუთსართულიან შენობის ფასადს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1948-1950 წლებში (არქიტ. ა. მალინოვსკი). 1949-1951 წლებში ძველ შენობას ახალი ექვსსართულიანი ნაგებობა მიუშენს დიდი თაღით (არქიტ. ა. ვლასოვი, ა. დობროვოლსკი, ბ. პრიიმაკი). კიევის პასაჟის სახელით ცნობილი მრავალფუნქციური ნაგებობა პარალელურად მდგარი ორი შენობისგან შედგება და ერთმანეთთან თაღიანი გასასვლელითაა დაკავშირებული. პირველი სართულები მაღაზიებსა და კაფეებს უჭირავს, ზედა სართულებზე საოფისე და საცხოვრებელი ფართებია. კრეშჩატიკზე გამომავალი შენობის მთავარი ფასადი ფლანკირებულია ორი სწორკუთხა რიზალიტით და კორინთული ორდერის პილასტრებით. შენობის გვერდით ფასადი არქიტექტორ გოროდეცკის ქუჩაზე გამოდის და კორინთული კოლონადით არის აქცენტირებული. ფასადზე გამოყენებულია გირლანდები და ფიგურული რელიეფი. პასაჟის ეზოში არქიტექტორ გოროდეცკის სკულპტურა დგას, რომელიც პასაჟის კაფეების ხშირი სტუმარი იყო (მოქანდაკეები: ვ. შჩური, ვ. სივკო; არქიტექტორი: ვ. სკულსკი. 2004 წელი).

1876 წელს კრეშჩატიკზე აღიმართა ქალაქის საკრებულოს შენობა. 1892 წელს პირველად რუსეთის იმპერიაში გაიჭრა ტრამვაის ხაზი, რომელიც კრეშჩატიკს აკავშირებდა პოდოლთან. 1936 წელს ტრამვაი ტროლეიბუსმა შეცვალა. II მსოფლიო ომამდე კრეშატიკის სილუეტს სამ-ოთხსართულიანი შენობები ქმნიდა. 1923 – 1937 წწ. ქუჩა ატარებდა ვაცლავ ვოროვსკის სახელს. 1937-41 წლებში ქუჩას დაუბრუნდა თავისი სახელი, რომელსაც იგი დღესაც ატარებს. 1941-1943 წწ. გერმანელების ოკუპაციის პერიოდში მას ფელდმარშლ ფონ ეიხგორნის სახელი-აიხორნშტრასე - ეწოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა კიევის აღდგენის გენერალური გეგმა. 1944-1946 წლებში ჩატარდა სამეტაპიანი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინელი, მოსკოველი და პეტერბურგელი არქიტექტორები. 1945-1947 წლების გენგეგმის მიხედვით, შეიქმნა

ცენტრალური ქუჩის, კრეშჩატიკის, აღდგენა-რეკონსტრუქციის გეგმა, რომელსაც 1947-54 წლებში ავითარებენ ცნობილი არქიტექტორები: ა.ვლასოვი, ა. დობროვოლსკი, ვ. ელიზაროვი, ბ. პრიიმაკი, ა. ზავაროვი, ა. მალინოვსკი და ინჟინერი ი. სკაჩკოვი. ქუჩა 36 მეტრიდან 72 მეტრამდე გაფართოვდა და კეთილმოეწყო 14-მეტრიანი სიგანის ტროტუარებით. 1957 წელს აიგო ცხრასართულიანი შენობა, რომელშიც განთავსდა ქალაქის ადმინისტრაცია. შენობის ფასადის ქვედა სამი სართული წითელი გრანიტით არის მოპირკეთებული, ხოლო ზედა ექვსი სართული კორინთული ნახევარსვეტებითაა დანაწევრებული და კარნიზით ბოლოვდება.

1959 წლიდან კრეშჩატიკზე გაშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსები. 1960 წლიდან ამუშავდა მეტროპოლიტენი ორი მეტროს სადგურით. 1958-60 წლებში აიგო სპორტის სასახლე (არქიტექტორები - მ.გრეჩიანი, ა. ზავაროვი ინჟ. ვ. რეპიახი), 19652 წელს - სასტუმრო „დნეპრი“ (არქიტექტორი - ვ. ელიზაროვი, ნ. ჩმუტინა).

ომის შემდეგ დანგრეული ქუჩა „სტალინური ამპირის“ სტილის ახალი შენობების წყალობით ასიმეტრიული დაგეგმარების მქონე ერთიან არქიტექტურულ ანსამბლად ყალიბდება.

1940-1950-იანი წლების კრეშჩატიკის სტალინური ამპირის განაშენიანების სტილის შენობების გვერდით აღსანიშნავია 1936-1939 წლებში არქიტექტორების - ა. შჩუსევის, დ. ფრიდმანისა და ლ. მეცოიანის - პროექტით აგებული ცენტრალური უნივერმაღის კონსტრუქტივისტული სტილის შენობა, რომელიც კრეშჩატიკის და ხმელნიცკის ქუჩის კუთხეში დგას. შენობის შვიდიარუსიანი პილონებით დანაწევრებული ფასადი მოპირკეთებულია გაპრიალებული წითელი გრანიტით. ნაგებობა გამოირჩევა კონსტრუქტივიზმისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით და ფასადის სქემატური გაფორმებით. პილონებს შორის შენობის ფანჯრები - ერკერებია- მოთავსებული. ცენტრალური შესასვლელი გამოყოფილია მაღალ პედესტალზე

მდგარი შეწყვილებული მასიური კოლონებით, რომლებშიც ვიწრო ფანჯრებია ჩასმული. კუთხის ფასადი დასრულებულია კვადრატული ფორმის საფეხუროვანი კაპიტელით.

კრეშჩატიკი ორ ნაწილად ყოფს თავისუფლების მოედანს, რომელიც მასობრივი თავყრილობებისა და ხალხის დასასვენებელი ადგილია. ჩრდილოეთით, მოედნის ქვედა ნაწილზე, შადრევნების სისტემაა მოწყობილი, სამხრეთი ნაწილი კი აღმართით მთისკენ ადის. იქ, სადაც ლენინის ძეგლი იდგა, დღეს მაღალ სვეტზე აღმართულია თავისუფლების ქანდაკება, რომელიც მოედნის კომპოზიციის არქიტექტურულ-იდეური ცენტრს წარმოადგენს. მის უკან, მთის ყველაზე მაღალ წერტილზე, მაღლივი სასტუმროს შენობა დგას. მოედნის ნახევარწრიულ ფორმას მრავალსართულიანი შენობები შემოსაზღვრავს. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალი (ამჟამად უკრაინის სახლი) 1982 წელს აშენდა. ეს ხუთსართულიანი შენობა ევროპის მოედანზე მდებარეობს და დღეს მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს: აქ ეწყობა კონგრესები, გამოფენები, ფორუმები.

1990 წლიდან დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში კრეშატიკი ფეხმავალთა ქუჩად გადაიქცევა.

საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, საცხოვრებელი ფუნქციის მქონე კრეშჩატიკის პროსპექტის მსხვილმასშტაბიან განაშენიანებაში აღსანიშნავია სტალინური ამპირის სტილის შენობების სიმრავლე, სადაც მრვალფეროვნება შეაქვს კონსტრუქტივისტული სტილის უნივერმაღის შენობას. აღსანიშნავია ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული თავისუფლების მოედნის არქიტეტურულ-სივრცობრივი გარემო, რომელსაც განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში სახალხო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვა მიეცა. ზემოთ განხილული კუდამისგან განსხვავებით, კრეშჩატიკზე ახლისა და ძველი არქიტექტურის სინთეზზე რთულია ვილაპარაკოთ, რადგან კრეშჩატიკის დღვანდელი სახით ფორმირება დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში მოხდა,

რასაც მოწმობს ამ ქუჩაზე დღესდღეობით შემორჩენილი ზემოთ განხილული შენობები, რომლებიც თარიღდება 1915 - 1982 წლებით.

დედაქალაქების მოწყობა XX საუკუნეში სახელმწიფოებრივი რეპრეზენტაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. დედაქალაქების ძირფესვიანი დაგეგმვით ესა თუ ის პოლიტიკური რეჟიმი საკუთარი ეფექტურობის დემონსტრირებას ცდილობდა. როგორც საკუთარი მოქალაქეების, ისე უცხოელი სტუმრებისათვის გამოსახვის სპეციფიკური საშუალებები თვალსაჩინოს ხდიდა რეჟიმის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ღირებულებებს. მიუხედავად მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური ამბიციებისა, სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები, განსაკუთრებით ქალაქების დაგეგმარებისა და არქიტექტურის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან ცოტა რამით თუ განსხვავდება [19, გვ.13].

საბჭოთა კავშირის დაშლის, საზოგადოების სოციალური წყობის ცვლილების შემდეგ საქართველომ, ისევე, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, განიცადა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ცვლილებები. გარდაიქმნა ათწლეულების განმავლობაში შექმნილი სახელმწიფოს (ზოგადი) ვიზუალური სახე. ქალაქების მთავარი პროსპექტებიდან და მოედნებიდან გაიტანეს კომუნისტური იდეოლოგიის გამომხატველი მონუმენტური ძეგლები. მათ ადგილზე ახალი დროის იდეალების შესაფერი სკულპტურები გაჩნდა. კრეშჩატიკზე, თავისუფლების (ყოფილი ოქტომბრის) მოედანზე, სტილობატზე მდგომი ლენინის ქანდაკება, რომელიც მოედნის დომინანტი იყო, შეიცვალა თავისუფლების სკულპტურით. ამავე პერიოდში თბილისის თავისუფლების (ყოფილი ლენინის) მოედნის ცენტრში მაღალ კვარცხლბეკზე იდგა ლენინის ფიგურა, რომელიც შეიცვალა წმინდა გიორგის ფიგურით. მაღალ სვეტზე აღმართული ფიგურები მოედნის კომპოზიციის ცენტრს იკავებს და შორი

მანძილიდანაც აღიქმება (სურ. 51-52). ასევე გარდაიქმნა და დანიშნულება შეიცვალა საბჭოთა იდეოლოგიური დატვირთვის მქონე არაერთმა შენობამ: კრეშჩატიკზე - ლენინის მუზეუმმა, რუსთაველის პროსპექტზე - იმელის შენობამ (სურ. 54-56). შენობა-ნაგებობებზე კომუნისტური პროპაგანდის დატვირთვის მქონე აბრები და გამოსახულებები შეიცვალა კომერციული კომპანიების რეკლამებით.

ეს ტენდენციები აღინიშნება ჩვენ მიერ შესადარებლად მოყვანილი სამივე პროსპექტის ისტორიაში. II მსოფლიო ომის შემდეგ, ბერლინის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაყოფით, კუდამს, გარკვეულწილად, „აღმოსავლეთთან“ შედარებით „დასავლეთის“ უპირატესობების წარმოჩენის ფუნქცია დაეკისრა. მას ლიტერატურაში „დასავლეთის საჩვენებელ ვიტრინადაც“ კი მოიხსენიებდნენ. ასევე რუსთაველის პროსპექტიც და კრეშჩატიკიც საბჭოთა რეჟიმის რეპრეზენტანტებს წარმოადგენდნენ. ამას მოწმობდა ამ პროსპექტებზე განთავსებული ლენინის მუზეუმები, ლენინის ძეგლები და სხვა სამთავრობო მნიშვნელობის მქონე და ადმინისტრაციული ობიექტები, მაგალითად, მთავრობის სახლის შენობის კომპლექსი თბილისში, ქალაქის ადმინისტრაციის ნაგებობა კიევში, კავშრიგაბმულობის სახლი რუსთაველის პროსპექტზე, ფოსტის შენობა კრეშჩატიკზე.

როგორც აღვნიშნეთ, ომის დროს მთელი ბერლინი დაინგრა. კუდამზე 43 შენობა განადგურდა. ცარიელი სივრცეები შეივსო ახალი ნაგებობებით, მაგრამ ყველგან, სადაც ძველის შენარჩუნება შესაძლებელი იყო, შეინარჩუნეს. თბილისის ომის დროს რუსთაველის პროსპექტისა და მისი არეალის დაზიანების მასშტაბი გაცილებით უფრო მცირე იყო, მაგრამ მხოლოდ პირველი კლასიკური გიმნაზიის და სასტუმრო თბილისის შენობები აღადგინეს პირვანდელი სახით. რაც შეეხება კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებს, მათ მიმართ კუდამზე უფრო მეტი გულისხმიერება გამოიჩინეს, მაგალითად, ბერლინელებმა მოახერხეს თავიანთი საყვარელი

კაფე *კრანცლერის* (სურ. 57). დაცვა და იგი დღემდე ასრულებს მათი საყვარელი თავშეყრის ადგილისა და ბერლინის სავიზიტო ბარათის ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობა, სადაც თბილისელების საყვარელი „ლაღიძის წყლები“ მოქმედებდა, საერთოდ არ დანგრეულა 1991-92 წლების ე. წ. თბილისის ომის დროს, დღეს აქ ტანსაცმლის მაღაზია ფუნქციონირებს, ბუნებრივია, სახეშეცვლილია ინტერიერიც (სურ. 58).

ბერლინის მემორიალური ეკლესია (სურ. 59) მოქალაქეებს ყოველდღიურად მოაგონებს ომის დამანგრეველ სისასტიკეს. ეს ნანგრევები არა მარტო კუდამის, არამედ თავად ბერლინის უმთავრესი ღირშესანიშნაობაა. საბჭოთა არმიამ რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლთან, 1989 წლის 9 აპრილის ანტი-საბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი. მთავრობის სახლთან ამ დღისადმი მიძღვნილი მემორიალია მიწაზე განათებული 21 ფილით. მემორიალის ავტორმა არქიტექტორმა კახა ქორიძემ გამოსახა დაღუპულების მარადიული ხსოვნა, თუმცა პროექტის განხორციელება საბოლოოდ დსარულებული სახით ვერ მოხერხდა და პატივისცემა დაღუპულთა მიმართ მხოლოდ „ჯიხურით“ გამოიხატა (სურ. 60).

განხილულმა მასალამ დაგვანახვა სამი პროსპექტის ხაზოვანი განვითარების პლასტიკა. ქუჩების ღერძი მოედნიდან მოედნამდე გრძელდება. კურფურსტერდამის პროსპექტი ღერძის ბოლოს, მემორიალურ ეკლესიასთან, აღმოსავლეთისკენ უხვევს. კრეშჩატიკზე მდებარე ფოსტის შენობის ფასადიც პროსპექტის რელიეფის რბილ მოხვევას მიუყვება. რუსთაველის პროსპექტი რამდენიმე ადგილას უხვევს: დასაწყისში - ეროვნულ მუზეუმთან; შუა წელზე- სასტუმრო „თბილისი მარიოტთან“, სადაც სასტუმროს შენობა ორგანულად არის ჩაწერილი განაშენიანებაში და მისდევს პროსპექტის მრუდს, და - ყოფილი ტელეგრაფის შენობასთან (სურ. 61-63).

ამრიგად, თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული მთავარი ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, შედარება კიევის მთავარ არტერია კრეშჩატიკთან და ბერლინის ერთ-ერთ მთავარ პროსპექტ კურფურსტერდამთან ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ისტორიული ცენტრების მოდერნიზება და ტრანსფორმაცია. როგორ ხორციელდება ექსპანსიური მშენებლობები, როგორ ფორმირდება ამ მთავარი მაგისტრალების არქიტექტურულ-სივრცული სტრუქტურა. რეჟიმის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა ქუჩის არქიტეტურულ-სივრცული კომპოზიცია: თბილისსა და კიევში თავისუფლების მოედნების ცენტრში მდებარე ძეგლების შეცვლით, რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სახლთან მაღალ კვარცხლბეკზე მდგომი ორი ჯგუფური კომპოზიციის მოხსნით (ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე, 1965 წელი). 1980-იან წლებში აღსანიშნავია რუსთაველის პროსპექტის ბოლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური დემონსტრაციებისა და ცერემონიალების სივრცითი გარემოს ფუნქციის მატარებელი რესპუბლიკის, დღევანდელი „ვარდების რევოლუციის“, მოედნის გაჩენა. რეჟიმის შეცვლის შემდეგ წლების მანძილზე ვერ მოხერხდა მოედნის სივრცითი ორგანიზება, მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭება. როგორც აღვნიშნეთ, კუდამზე ეკლესიის ნანგრევები და კაფე *კრანცლერი* ინახავს ქუჩის ისტორიას, რაც, თბილისის შემთხვევაში, მტკივნეულად აისახა „ლაღიძის წყლების“ გაქრობით რუსთაველის პროსპექტის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ე. წ. „თბილისის ომის“ დროს დაზიანებული შენობების ანგარიშგაუწეველი დაშლით, ასევე, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, რამდენიმე ისტორიული შენობის ნაცვლად მსხვილმასშტაბიანი ერთი შენობის აგებით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, აღსანიშნავია კუდამზე სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფი 1961 წელს აგებული სავაჭრო ცენტრის შენობა. რუსთაველის პროსპექტზე 2007 წელს ძეგლის სტატუსი მოუხსნეს იმელის და ზარია ვოსტოკას რედაქციის შენობებს მათი შემდგომი გადაკეთების მიზნით.

მთავარი ქუჩები წარმოადგენს დედაქალაქის სიმბოლოს და წამყვანი როლი ეკისრება, ზოგადად, ქალაქის განვითრებაში (ისტორიული, სოციალური, კულტურული, ფუნქციური, საკომუნიკაციო). საქართველოში ფორმაციის ცვლილების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ პერიოდში, მშენებლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა ქალაქის ცენტრი. დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე ახალი მშენებლობები თუ ძველი შენობების რეკონსტრუქცია უპირისპირდება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების შემდგომი მოდერნიზაცია არ უნდა ხორციელდებოდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს რღვევის ხარჯზე, არამედ ძველი შენობების ფუნქციური დატვირთვით ქუჩის გამოცოცხლებას უნდა ითვალისწინებდეს. მით უფრო, რომ სანახაობრივად მიმზიდველი სწორედ ის ქალაქებია, რომლებიც, თანამედროვე არქიტექტურასთან ერთად, რუდუნებით შემონახული სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურული სტილის ნაგებობათა სახით მნახველს წარსულის ამსახველ ისტორიულ ძეგლებსაც სთავაზობენ.

2.3 რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების კომპოზიციური ანალიზი

როდესაც გვსურს გავაანალიზოთ ჩვენი დამოკიდებულება რაიმეს მიმართ, ხშირად, ჩვენდა გასაკვირად, იმ კანონზომიერებების არსებობაში ვრწმუნდებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია თეორიულ ცოდნას წარმოადგენს და საკუთარი, უკვე დასაბუთებული, დეფინიციები აქვს. ასე მაგალითად, სივრცის ანალიზის პროცესში აუცილებლად ვაქცევთ ყურადღებას ვიზუალური ობიექტების ზომას, ფერს, ტექსტურას, სივრცეში მდებარეობას. ამ ელემენტებს შორის წონასწორობა სიმეტრიულადაც შეიძლება გადანაწილდეს და ასიმეტრიულადაც, შესაძლოა მათი რადიალური განლაგებაც ბალანსის

შესანარჩუნებლად. ის, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, აქცენტებია, რომლებიც ხელოვანის მიერ არის გამოყოფილი სხვა არეების მიმართ კონტრასტის სახით. განსხვავება შესაძლოა გამოხატული იყოს ზომაში, ფერში, მოყვანილობასა და ა.შ. პროპორციის შეგრძნება განპირობებულია მთლიანობის შეგრძნებით, კერძოდ, როდესაც კომპოზიციის ყველა შემადგენელი ნაწილი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ასევეა კომპოზიციის რიტმი, რომელიც გულისხმობს ერთისა და იმავე ელემენტის განმეორებით გამოყენებას, რაც ორგანიზებული მოძრაობის შეგრძნებას ბადებს. რიტმის შესანარჩუნებლად აუცილებელია მრავალფეროვნებაც. ეს უკანასკნელი გულისხმობს სხვადასხვა ელემენტების გამოყენებით ყურადღების მიპყრობას მთელ კომპოზიციაზე, დაბოლოს, შემადგენელ ნაწილებს შორის ერთიანობა ჰარმონიაა, რომელიც სრულყოფილების გრძნობას იწვევს.

რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების კომპოზიცია, სიმეტრიის, რიტმის, წონასწორობის, კონტრასტების გამოყენებით არის შექმნილი, სადაც ბუნების ელემენტიც მონაწილეობს.

1992 წლის შემდეგ, ე.წ. „თბილისის ომმა“ და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მნიშვნელოვნად შეცვალა რუსთაველის პროსპექტისა და მისი არეალის არქიტექტურულ-სივრცული გადაწყვეტა. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რუსთაველის პროსპექტი და მასთან დაქვემდებარებული სივრცეები ფრაგმენტებად დაიყო და დღეისათვის არსებული სახეცვლილებების გათვალისწინებით, ჩატარდა ამ სივრცის - თავისუფლების, ვარდებისა და რუსთაველის მოედნების და რუსთაველის პროსპექტის - კომპოზიციური ანალიზი.

თავისუფლების მოედნის სივრცე ორგანიზებულია მის მთელ პერიმეტრზე განლაგებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით: სამხრეთით თბილისის საკრებულო, დასავლეთით-ყოფილი კავკასიის საოლქო შტაბი (მასში განთავსებული სხვადასხვა ორგანიზაციებით) და სასტუმრო

„ქორთიარდ მარიოტი“, აღმოსავლეთით- პუშკინის ქუჩის განაშენიანება (პუშკინის #1-3, მშენებლობა არ დასრულებულა) და ჩრდილო-აღმოსავლეთით - შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმითა და პუშკინის სკვერით.

თავისუფლების მოედანზე საოლქო შტაბის გასწვრივ, 1991-1992 წწ. ე.წ. „თბილისის ომის“ შედეგად დანგრეული ნაგებობების ადგილას, 1999 წელს აიგო სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ (არქიტექტორები: ვ. ცინცაძე, ზ. ისაკაძე, ზ. ფილიშვილი, ნ. სამადაშვილი, ნ. მანჯავიძე). 9-სართულიანი, თეთრი ფერის მონუმენტური შენობის სვეტებით დანაწევრებული შემინული ფასადი ბოლოვდება მანსარდითა და სამი მცირე ზომის ფრონტონით. „ქორთიარდ მარიოტის“ შენობის სიმაღლე აღემატება მოედნის ამ ადგილის ძველი განაშენიანების სიმაღლეს. სასტუმრომ მთლიანად დაიკავა თავისუფლების მოედნის დასავლეთ მონაკვეთის სამი ნაგებობის ადგილი. დაიფარა ხედი მთაწმინდაზე, რომელიც მკაფიოდ აღიქმებოდა ლესელიძის ქუჩის (ახლანდელი კ. აფხაზის) ამოსახვევიდან. მსხვილმასშტაბიანი შენობა ტლანქია და არსებულ გარემოსთან შეუსაბამო.

2006 წელს მოედანზე, ლენინის ძეგლის აღების შემდეგ აგებული, გამწვანებული გაზონით შემოსაზღვრული საფეხურებიანი შადრევნის ცენტრში დაიდგა მაღალი სვეტი ოქროსფერი კაპიტელით, რომელსაც წმინდა გიორგის ცხენოსანი მოოქრული ფიგურა ასრულებს.

2012 წელს პუშკინის ქუჩაზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ პირდაპირ მრავალფუნქციური შენობების ჯგუფი აიგო (პუშკინის #1 7-სართულიანია, შემდეგი-#3 ერთი სართულით დაბალია). ღია ნაცრისფერი ფასადი ორდერის სისტემის გამოყენებითაა დანაწევრებული. კომპლექსი ერთიანი კედლის შთაბეჭდილებას ქმნის და თავისუფლების მოედანს აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრავს (არქიტექტორები: ლ.მუშკუდიანი, გ. კიკნაძე).

მოედნის სივრცითი ღერძი მერიის შენობის კოშკის ვერტიკალზე გადის, რომელიც მოედნის სივრცულ-მოცულობით კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს. ფსევდომავრული სტილის ფასადის მქონე მერიის შენობა გ. ტაბიძის ქუჩიდან შ. დადიანის ქუჩამდე გრძელდება. მას კომპოზიციურად აწონასწორებს ორივე ქუჩის კუთხეში განლაგებული შენობები: გ. ლეონიძის ქუჩის მხრიდან ბანკ „რესპუბლიკის“ ოთხსართულიანი შენობა (2009 წელს აგებული არქიტექტორი, გ.კვერცხიშვილი), ხოლო შ. დადიანის ქუჩის მხრიდან XIX საუკუნის დროინდელი ევროპის სახლის სამსართულიანი შენობა.

მოედნის კომპოზიციაში მნიშვნელოვანია ბუნების ელემენტი, რომელსაც მოედნის სამხრეთით სოლოლაკის ქედი ქმნის. დომინანტი სამხრეთ -აღმოსავლეთით ქართლის დედის ქანდაკებაა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით-ბიზნესცენტრის შენობა. თავისუფლების მოედნის აღნიშნული ნაწილის არქიტექტურულ-სივრცული კომპოზიცია კარგად აღიქმება რუსთაველის პროსპექტიდან. კ. აფხაზის ქუჩის ამოსასვლელთან აღიქმება მოედნის დასავლეთით - გ. ლეონიძის ქუჩის ასახვევი, ბანკის შენობის კუთხის ნაწილი და საცხოვრებელი სახლები. ხედვის წერტილში ხვდება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ შენობა მომრგვალებული ფასადით და მოჩანს სოლოლაკის ქედის ფრაგმენტი.

ხელოვნების მუზეუმის შენობის გვერდითი ფლიგელები გუდიაშვილის და პუშკინის ქუჩებს მიუყვება, ფრონტონით დასრულებულ სვეტებიან ფასადს პუშკინის სკვერი ესაზღვრება. ლ. გუდიაშვილისა და პუშკინის ქუჩათა რკალში მოქცეული სკვერიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ხედი პუშკინისა და ლ. გუდიაშვილის ქუჩებზე იხსნება, დასავლეთით კი - თავისუფლების მოედანზე. პუშკინის სახ. სკვერიდან აღიქმება ყოფილი კავკასიის საოლქო შტაბის შენობის მთლიანი ფრონტი, მთაწმინდის ფრაგმენტი ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობითა და რესტორნით, სატელევიზიო ანძა. სკვერი

მიწისქვეშა გადასასვლელით უკავშირდება მოედანს ყოფილი კავკასიის საოლქო შტაბის შენობის მხარეს.

გ. ტაბიძის ქუჩიდან იშლება პერსპექტივა პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის სკვერსა და რუსთაველის პროსპექტზე, სადაც აღქმის წერტილში მოქცეულია საცხოვრებელი სახლი (რუსთაველის პროსპექტი #1) და ყოფილი უნივერმაღის შენობა. აქვე პერსპექტივაში მოჩანს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და „თბილისი მარიოტის“ სასტუმრო.

არქიტექტურაში გამოხატვის საშუალებას სივრცე, მოცულობა, ტექტონიკა წარმოადგენს. მხატვრული ხერხების იერარქიული გამოყენების აუცილებლობა განაპირობებს ქალაქთმშენებლობაში მომიჯნავე სივრცეების სწორ კომპოზიციურ ორგანიზებას. ცალკეულ კომპოზიციას აქვს თავისი დომინანტი, თავისი აქცენტები და ფონის ელემენტები. „მონუმენტურობის“ სხვადასხვა ხარისხი მოითხოვს ფორმის „დაკავშირებას“ სპეციფიკური საშუალებებით. 1956 წელს თავისუფლების მოედნის ცენტრში აღმართული მონუმენტის ვერტიკალის მასშტაბი ისე იყო დაცული და გარშემო მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა ისე განხორციელდა, რომ მოედნის დომინანატი-მერიის შენობა-მოედანზე შემოსვლისას მთლიანად აღიქმებოდა, ხოლო მონუმენეტის კვარლცხბეკის მოშინდისფრო ფერი მერიის შენობის ფონზე იკითხებოდა და მის სიმაღლეს არ აღემატებოდა (არქიტექტორები: გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი).

უკანასკნელ პერიოდში თავისუფლების მოედანზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად მოედანმა დაკარგა თავისი იერსახის განმსაზღვრელი მნიშვენლოვანი ელემენტები და მოედნის არქიტექტურულ-სივრცული კომპოზიცია შეიცვალა. ისტორიულად ჩამოყალიბებული მოედნის დომინანტის, მერიის შენობის, მნიშვნელობა დაკნინდა: ერთი მხრივ, ეს გამოიწვია მოედნის დასავლეთით და აღმოსავლეთით ძველი შენობების

ადგილას ორჯერ მაღალი შენობების აგებამ, მეორე მხრივ კი, მონუმენტურმა სასტუმროს შენობამ. მოედნის ცენტრში არაპროპორციული მონუმენტის გაჩენამ მკვეთრად შეცვალა მოედნის განაშენიანების მასშტაბი: დღეს მონუმენტი მოედნის ანსამბლის დომინანტია, როგორც კომპოზიციის ცენტრის აქცენტირებით, ისე - მსხვილი მასშტაბით. გაჩნდა დიდი კონტრასტი კომპოზიციის მთავარ და მეორეხარისხოვან ელემენტებს შორის (სურ. 64). მოედნის დასავლეთ მონაკვეთზე 9-სართულიანმა სასტუმრომ ამ მონაკვეთს დაუკარგა მრავალფეროვნება. მოედნის იერსახეში ჩაწერილი მთის ლანდშაფტი, მთაწმინდა ფუნიკულიორის ზედა სადგურით და რესტორნით, სატელევიზიო ანძით, დაიფარა (ჩანს მხოლოდ ანძის ნაწილი) (სურ. 65). მოედნის აღმოსავლეთით სხვადასხვა არქიტექტურული სტილის მქონე შენობების ადგილას საერთო არქიტექტურული სტილის შენობების გაჩენამ ერთფეროვნება შემოიტანა მოედნის განაშენიანებაში (სურ. 66).

არქიტექტორი ვ. დავითაია აღნიშნავს: „1993 წლიდან საფუძველი დაედო „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე უბნის განაშენიანების მასშტაბის უპრეცენდენტო შეცვლას. ამის ფორმალური საფუძველი გახდა თბილისის ომით დანგრეული საბინაო ფონდის აღდგენა. ამ კეთილშობილური საბაბით ისარგებლეს მარად ფხიზელმა პრაქტიკულმა ადამიანებმა და დაზარალებულთათვის საჭირო საცხოვრებელ ფონდს ორჯერ მეტი მიაყოლეს, რა თქმა უნდა არქიტექტურული ორგანოების კურთხევით, განაშენიანების სიმაღლე ერთბაშად 3-4 სართულით გაიზარდა, დაირღვა მთაწმინდის, ბუნების ამ უმშვენიერესი ძეგლის და განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული წესის, მიმართ დამოკიდებულება. ამ უბნის მთელი რიგი წერტილებიდან მთაწმინდა, მამა დავითის ეკლესია მთლიანად გაუჩინარდა“.

თავისუფლების მოედნის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს ფორმირება დღესაც გრძელდება. ყოფილი ცეკავშირის შენობა, რომელიც 1971

წელს აიგო არქიტექტორ გ. მელქაძისა და ნ. ქვარცხავას პროექტის მიხედვით, თავისი მასშტაბის მიუხედავად, არც კი „ჩანდა“ მოედნის განაშენიანებაში. ბოლო დროს მიმდინარეობს შენობის დაშლა. მის ადგილას უნდა განხორციელდეს ახალი მშენებლობა. უცნობია მისი მასშტაბი და არქიტექტურული ღირებულება.

თავისუფლების მოედანი უერთდება რუსთაველის პროსპექტს, საიდანაც იწყება პროსპექტის გრძივი განაშენიანება. ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული შენობები მკაფიოდ აღიქმება სხვადასხვა კუთხიდან და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული კომპოზიციის ფორმირებაში. პერსპექტივის აღქმა რუსთაველის პროსპექტზე მისი მრუდხაზოვანი განვითარების გამო ფრაგმენტული და არასრულია.

პირველი მრუდი პროსპექტის დასაწყისში საცხოვრებელი სახლის (რუსთაველის #1) ბოლოს ჩნდება. აქედან პროსპექტის მარცხენა მხარეს პერსპექტივაში ჩნდება შენობების რიტმული წყობა: მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის გრძივი ფასადი, რომელსაც მთავრობის სახლის ფრონტალურად გაშლილი მასიურთაღებინი ფასადი ენაცვლება, შემდეგ - პირველი კლასიკური გიმნაზიის კურდონიერის სახით გამოსული შენობის ფასადი. პროსპექტის მარცხენა მხარის პირველი ფრაგმენტი კავშირგაბმულობის სახლის მასიური ნაგებობით სრულდება. შენობები ტროტუარის გასწვრივ ქუჩისკენ მონაცვლეობით გამოდის, მოსწავლე ახალგაზრდობის და მთავრობის სახლის ნაგებობათა ხაზს ენაცვლება კლასიკური გიმნაზიის წინ წამოწეული ფლიგელების რიტმი, კავშირგაბმულობის სახლიც ტროტუარიდან წინ არის წამოწეული. ნაგებობათა ეს არათანაბარი წყობა მრავალფეროვნებას სძენს კომპოზიციის რიტმს. ქუჩის ამ ფრაგმენტის დომინანტი მთავრობის სახლია, რომელსაც აწონასწორებს მოსწავლე ახალგაზრდობისა და კლასიკური გიმნაზიის სიღრმეში შეწეული შენობები, მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას აძლიერებს სკოლის სკვერის

სიმწვანე, მთავრობის სახლის წინ მოწყობილი შადრევნები და ახალგაზრდობის სასახლის შესასვლელი კიბე და გაზონები. კავშირგაბმულობის სახლის შემდეგ, ორი სამსართულიანი ნაგებობა ერთგვარ პაუზას ქმნის ქუჩის მსხვილმასშტაბიან განაშენიანებაში. პროსპექტის ხაზს აგრძელებს ბესიკის ქუჩის კუთხეში ე. წ. ოფიცერთა სახლის შენობის მომრგვალებული ფასადი. ფრონტონით დასრულებული გრძელი ფასადი რუსთაველის პროსპექტის ხაზს მიუყვება და მ. ლაღიძის ქუჩამდე მონაკვეთის ნახევარს იკავებს. მ. ლაღიძესა და ალ. ჭავჭავაძის ქუჩებს შორის სამი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს, რომელთაგან პირველი ყოფილი „ლაღიძის წყლების“ ერკერიანი კუთხის სახლია. ალ. ჭავჭავაძის ქუჩის კუთხიდან - ყოფილი იუსტიციის სახლის შენობიდან - საცხოვრებელი სახლების რიტმი გრძელდება სავაჭრო ცენტრ „მერანამდე“. მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან ქუჩა ვიწრო ყელით უერთდება რუსთაველის მოედანს (სურ. 67). მოედნის კომპოზიციურ ცენტრს მაღალ კვარცხლბეკზე აღმართული შოთა რუსთაველის ქანდაკება ქმნის, რომლის გარშემო მცირე სკვერი ჩამოყალიბდა, რელიეფებით შემკული შადრევნითურთ. კვარცხლბეკს ამკობს „ვეფხისტყაოსნის“ რელიეფური კომპოზიცია. ძეგლი კარგად აღიქმება შორიდანაც, თუმცა თავისი მდებარეობით ცენტრსაა აცდენილი და შეწეულია სიღრმეში. მოედანი პატარა და ჩამოუყალიბებელია.

1999 წელს რუსთაველის მოედნის ერთ მხარეს ძმებ კაკაბაძეების და მ.ზანდუკელის ქუჩების გადაკვეთაზე სამსართულიანი გუმბათით დასრულებული **მაკდონალდსი** აიგო (არქიტექტორები: ვ.ორბელაძე, ზ.ორბელაძე). ნაგებობა აღმართს მიუყვება და იმეორებს მის ხაზს. აღსანიშნავია პროექტის ავტორთა მიერ ამ ადგილის რელიეფის გათვალისწინება. შენობის მომრგვალებული გუმბათით დაბოლოებული შემინული ფასადი ქუჩების კუთხეს ემთხვევა. მაკდონალდსის გუმბათის სივრცითი ღერძი მის მოპირდაპირედ მდგარი მელიკ აზარიანცის სახლის

გუმბათის დიაგონალზე გადის და ერთგვარ დიალოგს მართავს მასთან. რუსთაველის მოედნის უკანა პლანზე ახალმა მაღლივმა შენობებმა ბუნებრივი ლანდშაფტური დეკორაცია თანდათან შეავიწროვა და მისი ათვისება გამოიწვია (სურ. 68).

პროსპექტის მარჯვენა მხარეს (სურ. 69), მის დასაწყისში, რუსთაველის #1 საცხოვრებელი სახლის მომრგვალებული ფასადით შექმნილ ფრაგმენტს ცვლის საქართველოს მუზეუმის, კინოთეატრის და მშენებარე სამუზეუმო კომპლექსის შენობების მსხვილმასშტაბიანი, ფრონტალურად გაშლილი ფასადები. 2006 წელს შესრულდა მუზეუმის შენობისა და სამუზეუმო ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტი (არქიტექტორები ჟ-ფ.მილუ, ზ.იაშვილი). მუზეუმის რეკონსტრუქციის კონცეფცია მოიაზრებს რუსთაველის პროსპექტის პარალელური ლ. გუდიაშვილის ქუჩის, როგორც სამუზეუმო ქუჩის, განვითარებას. მუზეუმის შენობის თაღოვანი ფასადი, რომელიც 2007-2011 წლებში რეკონსტრუქციის შედეგად შეიცვალა, ცენტრში სამი მასიური თაღით არის აქცენტირებული. აქ მთავარი შესასვლელია მოწყობილი, რომელსაც ორივე მხარეს თითო თაღი აწონასწორებს. ფასადის ცენტრსა და მარცხენა თაღს შორის შენობაში დამატებითი შესასვლელი მოეწყო, რომელიც შენობის ფასადზე არსებული ფანჯრების სიგრძეზე გაიჭრა. შენობის ფასადზე დამატებითი შესასვლელის გაჭრა არ არღვევს კომპოზიციის ერთიანობას და არ აკნინებს არსებული შესასვლელის ცენტრის აქცენტს (აღსანიშნავია კულტურული მემკვიდრეობის კანონის მუხლი 21[4] „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ძეგლის დაშლა, გადაკეთება, გადაადგილება, დანაწევრება“ მეორე პუნქტი: „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ ძეგლის რეკონსტრუქციის, რესტავრაციის ან ადაპტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს არ გამოიწვევს ძეგლის დაზიანებას ან მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შემცირებას“). აქვე მოეწყო პანდუსი

უნარშეზღუდულებისათვის. თანამედროვე მუზეუმის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს დაემატა საზოგადოებრივი სივრცე, გაიხსნა შიგა ეზო, რომელიც გუდიაშვილის ქუჩაზე გადის. პროექტის ავტორთა მოსაზრებით, მუზეუმის ფასადზე დამატებითი კარის გაჭრა და საზოგადოებრივი სივრცის გაჩენა არის ერთგვარი გზავნილი გახსნილობისა, რაც მეტად მიიზიდავს დამთვალიერებელს. კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობის ფასადზე არსებულ მუშების ფიგურებს შორის განთავსებულია თანამედროვე გაფორმება ფანჯრების ლურჯი ფერის, შენობაში შესასვლელი შუშის კარისა და წითელი ფერის აბრის სახით.

ქუჩის ქვედა ნიშნულზე, ა. ჯორჯიაშვილის ქუჩასა და ეროვნულ გალერეას შორის, ქაშვეთის ტაძარი მდებარეობს. 1997-1998 წლებში ეკლესიას დასავლეთით კარიბჭე მიუშენდა, რომლის საშუალებით საეკლესიო ნაგებობა უშუალოდ დაუკავშირდა რუსთაველის პროსპექტს. 2000 წელს ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამრეკლო აიგო (არქიტექტორი ჰ. მოსულიშვილი). 2006 წელს რუსთაველის პროსპექტიდან ეზოში ჩასასვლელი კიბე და უნარშეზღუდული პირებისთვის პანდუსი გაკეთდა და ეკლესიის ეზო მთლიანად დაუკავშირდა პროსპექტს. გალავანშემოვლებული საეკლესიო ნაგებობები დასრულებულ კომპლექსს წარმოადგენს, პროსპექტზე გამვლელი ერთიანად აღიქვამს მათ. ქაშვეთი, აზიდული პროპორციებით, მდიდარი ჩუქურთმით და ღია ოქროსფერი ფასადით, განსაკუთრებულ როლს ასრულებს რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებაში. შენობის სილუეტი კარგად აღიქმება ქუჩის სხვადასხვა წერტილიდან.

2007 წელს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გაერთიანების შემდეგ, დაიგეგმა ეროვნული გალერეის ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქცია. პროექტი პორტუგალიელმა არქიტექტურულმა კომპანიამ "Ainda Arquitectura" შეიმუშავა. მთავარი არქიტექტორია ლ.ტ. პერეირა (*Luis Tavares Pereira*). განახლებული გალერეა 2011 წელს გაიხსნა.

რეკონსტრუქციის შედეგად უცვლელი დარჩა ნაგებობის ცენტრალური ფასადი და საგამოფენო სივრცე. დაიკეტა გალერეის ცენტრალური შესასვლელი რუსთაველის პროსპექტიდან. დავით კაკაბაძისა და ელენე ახვლედიანის ქანდაკებები, რომლებიც რუსთაველის პროსპექტზე გალერეის ორივე მხარეს გაზონზე იდგა, 9 აპრილის ბაღში გადმოიტანეს. შენობა ბაღის მხრიდან გაფართოვდა, მუზეუმის შესასვლელი ბაღის მხრიდან მოეწყო და აქვე, პირველ სართულზე, განლაგდა ლიფტი, წიგნის მაღაზია, დამატებითი საგამოფენო სივრცე. მეორე სართულზე განთავსდა მუზეუმის ოფისი და კაფე აივნით, ხედით ბაღში, რომელიც გალერეისთვის ერთგვარ ეზოდ გადაიქცა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გალერეის მთავარი შესასვლელის ჩაკეტვამ გალერეას დამთვალიერებელი მოსწყვიტა.

პროსპექტის მეორე მრუდი მის შუაწელზე სასტუმრო „თბილისი მარიოტის“ შენობასთან ჩნდება. სასტუმროს შენობის მომრგვალებული ფასადი რბილად მიუყვება ქუჩის მოხვევას და ორგანულად ერწყმის რელიეფს. პროსპექტის ხაზს აგრძელებს ბანკის (1991-1992 წწ. შენობა დაიწვა და მოგვიანებით უცვლელად აღადგინეს), რუსთაველის თეატრის და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობები. ამ უკანასკნელს 2012 წელს სახურავზე კოშკები აღუდგინეს, რითაც პირვანდელი იერსახე დაუბრუნდა (არქიტექტორი თ. შაშიაშვილი). პროსპექტის ხაზს აგრძელებს განცალკევებით მდგარი ოპერის თეატრის შენობა. ნაგებობას მცირე სკვერი შემოსაზღვრავს. პროსპექტის ამ მხარის განაშენიანების ხაზს განაგრძობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ორსართულიანი შენობა, იმელის სიმეტრიული მძლავრსვეტებიანი ფასადი და ტელეგრაფის ოქროსფერი ტუფის კვადრატული ფორმის შენობა, საიდანაც პროსპექტის მესამე მრუდი მელიკ აზარიანცის შენობასთან უხვევს. პროსპექტი რუსთაველის მოედნით სრულდება.

პროსპექტს თავს ადგას მთაწმინდა მამადავითის ტაძრით, რომელიც ფუნიკულიორის ზედა სადგურის პავილიონით და რესტორნის შენობით

ბოლოვდება, მთაწმინდის ვერტიკალური აქცენტია სატელევიზიო ანძა. მამა-დავითის მონასტერი ორგანულად ერწყმის მთის რელიეფს და ერთგვარი კავშირი აქვს ქაშვეთის ტაძართან. რუსთაველის პროსპექტს მთაწმინდისაკენ აქვს ე.წ. ვიზუალური გახსნები, საიდანაც ალაგ-ალაგ მოჩანს მთა. 9 აპრილის, ზ. ჭიჭინაძის, ლ. უკრაინკას ქუჩებიდან - ანძა, ბესიკის ქუჩიდან ჩანს მამა დავითის ტაძარი, ფუნიკულიორის ზედა სადგურის პავილიონი და რესტორნის შენობა, ანძა - ნაწილობრივ. შემდეგი რაკურსის გახსნა მთაწმინდისკენ მ. ლაღიძის ქუჩაა, საიდანაც პერსპექტივაში კონსერვატორიის შენობა და მთაწმინდის ქედი ჩანს. მომდევნო პერსპექტიული გახსნა ალ. ჭავჭავაძის ქუჩაა, აქედან მახვილი კუთხით მოჩანს ფუნიკულიორის ზედა სადგურისა და რესტორნის შენობა და ანძა. შემდეგი კავშირი მთაწმინდასთან რუსთაველის შესახვევია, სადაც გრიბოედოვის ქუჩაზე ასასვლელი კიბეა. სავაჭრო ცენტრ „მერანის“ ახალი მიშენების შვერილი კუთხე და სამხატვრო აკადემიის მაღლივი კორპუსი კეტავს მთაწმინდაზე ხედს, მოჩანს მხოლოდ მთის წვერი. (სურ. 70).

რუსთაველის პროსპექტის ქუჩები მტკვრისკენ ეშვება, იხსნება ხედები მარცხენა სანაპიროსკენ - რკინიგზის სადგურის გადაღმა ტერიტორიებისკენ: მახათას მთისკენ, ლოტკინის მთისკენ და მოჩანს მყინვარწვერიც. (სურ. 71). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვიზუალური გახსნა 9 აპრილის ბაღის ტერიტორიაა. აქედან პროსპექტი მტკვრამდე ჩადიოდა, სადაც მადათოვის კუნძული იყო (სურ. 72). XIX საუკუნის ბოლოს ბაღი ფლანკირებული იყო ეროვნული გალერეის შენობით და მისი ერთიანობა პროსპექტთან გაითიშა. 2008 წელს ბაღის ქვედა ნაწილს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, პროექტის მთავარი არქიტექტორი: დ. ხურცილავა, დენდროლოგი ლ. ქურციკიძე. ბაღში მოეწყო გამჭოლი ბილიკი, თაბუკაშვილის ქუჩიდან ცენტრალური კიბე გაიხსნა და მოეწყო პანდუსი უნარშეზღუდული პირებისათვის. მოგვიანებით ბაღის ზედა ნაწილიც განახლდა.

1980-იან წლებში ხელოვნურად შექმნილმა სადემონსტრაციო მოედანმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგა ფუნქცია. მასშტაბურ თაღოვან ტრიბუნას, რომელიც რესპუბლიკის მოედნის კომპოზიციის ბირთვს წარმოადგენდა, დემონტაჟი ჩაუტარდა. 1992 წლიდან სასტუმრო „ივერია“ იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფარი გახდა. 1996 წელს მოედანზე დავით აღმაშენებლის ქანდაკება დაიდგა. 2005 წლიდან მოედანს **„ვარდების რევოლუციის“** სახელი ეწოდა და დაიწყო მისი რეკონსტრუქცია. დავით აღმაშენებლის ქანდაკება ქალაქის სხვა უბანში გადაიტანეს. სასტუმრო „ივერიის“ შენობა დაიცალა და გაიყიდა. სასტუმროს შენობის გაყიდვის შემდეგ შენობის რეკონსტრუქციის პროექტი შემუშავდა არქიტექტურული სტუდიაში გრაფტ არქიტექტს (*Graft Architects*) (გერმანია). პროექტის ავტორები არიან ვ.პუტცი, გ. ჰოჰაიზელი, ტ. ვილემაიტი, ლ. კრუკებერგი (*Wolfram Putz, Gregor Hoheisel, Thomas Willemeit, Lars Krückeberg*). ავტორთა მიზანი იყო, ქალაქისთვის შეექმნათ თანამედროვე კლასის სასტუმრო. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შედეგად ყოფილი სასტუმრო „ივერიის“ ღია აივნები მინის ფასადმა შეცვალა და დაემატა ორი სართული. 2009 წელს განახლებულ შენობაში სასტუმრო „რედისონი“ გაიხსნა (ვარდების რევოლუციის მოედანი #1). საერთაშორისო სტილის ნაგებობა მაღალი კლასის დიზაინისაკენ მიისწრაფვის.

დღეს მოედნის არქიტექტურულ-სივრცობრივ გარემოს განსაზღვრავს სასტუმრო „რედისონი“, ყოფილი ტელეგრაფის შენობა და მელიკ აზარიანცის „შემოსავლიანი“ სახლი. მოედანს აღმოსავლეთით გადასახედის ფუნქციაც აქვს, იხსნება პანორამა მტკვარსა და კავკასიონზე, მოედნის სამხრეთ-დასავლეთით ფრაგმენტულად მოჩანს მთაწმინდა მაღლივი განაშენიანებით, აღმოსავლეთით - ძველი თბილისი. მოედნის სივრცე უსისტემოდ არის ორგანიზებული და დღეს წარმოადგენს აქტიურ სატრანსპორტო კვანძს. დიდი ზომის მიწისქვეშა სივრცეების ნაწილი უფუნქციოა, მიწისქვეშა გადასასვლელი კი - ბნელი და

მოუხერხებელი. რამდენიმე წელია მიმდინარეობს „ვარდების რევოლუციის“ მოედნის რეაბილიტაცია, რომლის მიზანია მოედანზე ისეთი ახალი საზოგადოებრივ-გასართობი და დასასვენებელი გარემოს ფორმირება, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს დღევანდელი საზოგადოების სამომხმარებლო მოთხოვნები და ინვესტორების კომერციული ინტერესები. მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც 2011 წელს ველოსიპედის ქანდაკება დაიდგა, კაფე-პავილიონები განთავსდა, კეთილმოეწყო და გამწვანდა ტერიტორია. სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს გათვალისწინებულია სარესტორნო-გასართობი კომპლექსის შექმნა (არქიტექტორი მ. ყრუაშვილი). მარტივი კონფიგურაციის მიუხედავად, მოედანი არ აღიქმება ერთიან სივრცედ, დანაწევრებულია სატრანსპორტო ზოლად და სასტუმროსთან მისასვლელ სივრცედ (სურ. 73).

არქიტექტორი მ. მელქაძე აღნიშნავს: „ავთენტური ლანდშაფტის - ვერეს აღმართის ხელოვნურად „გასწორებამ“ და დიდმასშტაბიანი პლენერის შექმნამ-ვერ შესძინა სათანადო ფუნქცია მოედანს. ავთენტური ბუნებრივი არქიტექტურულ- კონსტრუქციული სისტემის რღვევის შედეგად მივიღეთ ერთი მხრივ, ზაფხულში გაუსაძლისი სიცხის და მზის რადიალურ- სითბური არეკვლის გიგინატური ეკრანი და მეორე მხრივ, ქვედა სართულზე ცივი, ნესტიანი სივრცეები“.

ამრიგად, რუსთაველის პროსპექტის სივრცე ორგანიზებულია XIX საუკუნეში აგებული შენობებით, რომელთა აგებისას დაცული იყო ფორმების-შენობების- როგორც ერთიანად (მუზეუმი, კინოთეატრი; სასტუმრო მარიოტი, ბანკი, რუსთაველის თეატრი), ისე ცალკეულად (ოპერა, ეროვნული გალერეა) აღქმის პრინციპი. რუსთაველის პროსპექტის მოცულობები იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ძნელიც კი არის იმის გარჩევა, რა არის წამყვანი, პირველადი - უშუალოდ სივრცე, თუ მისი შემადგენელი ობიექტები. ამას ხელს უწყობს ფასადების მკაცრად ფიქსირებული სტრუქტურა, ქუჩის

კომპლექსების დანაწევრება, რომელიც ქუჩის თვითმყოფად რიტმს ქმნის. პროსპექტის სივრცითი აღქმის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მასშტაბის და მასშტაბურობის განცდა. ეს არის შენობების ზომა, ამ ზომის შესაბამისობა ქუჩის სივრცესა და დანარჩენ დეტალებთან. შენობის ასოციაციური თანხვედრა მის მიმართ წაყენებულ ემოციურ და ესთეტიკურ მოთხოვნებთან კარგად არის გათვალისწინებული ყველა ძველ შენობასთან მიმართებით. ასე ჩამოყალიბდა ცალკეული ფრაგმენტებისგან ერთიანი კომპლექსი და შეიქმნა ერთიანი გარემო.

ქალაქის სივრცის ფორმირების პროცესში ე.წ. სტაბილური ინტერიერი, მდგრად იერსახეს ქმნის და, გარკვეულწილად, დასრულებული ქალაქური გარემოს ეტალონს წარმოადგენს. ცხადია, ცხოვრებას თავის კორექტივები შეაქვს გარემოში, იცვლება არქიტექტურული დეკორი თუ შენობის ცალკეული ელემენტები. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს პრინციპულად არ შეიცვალოს აღქმის პირობები და შენარჩუნდეს არქიტექტურული იერსახე.

ბუნებრივია, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი ე. წ. „თბილისის ომის“ შედეგად დაზიანებული შენობების ნაცვლად ახალი შენობები გაჩნდა. სამწუხაროდ, მათ დაარღვიეს თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე და ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მასშტაბი. ძველი კავშირები განაშენიანებასა და რელიეფს შორის დაირღვა. შეიცვალა მთაწინდის კალთის ორი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული, თბილისის რთულ რელიეფს (მთაწმინდის კალთა) მორგებული, განაშენიანების გეგმარებითი სისტემის საფუძველი და ქალაქის აღნიშნული ნაწილის სივრცითი სტრუქტურა.

რუსთაველის პროსპექტსა და მის არეალში განხორციელებული ცვლილებები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ეს არის ახალი შენობები, რუსთაველის პროსპექტის არეალის განაშენიანება 1991-1992 წლებში დაზიანებული შენობების ადგილას, დაშენება არსებულ შენობებზე

კომფორტის გაუმჯობესების მიზნით და არსებული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს - (Case study).

1. - რუსთაველის პროსპექტზე, რამდენადმე სიღრმეში მოქცეული პირველი კლასიკური სკოლის შენობის უკან, ზ. ჭიჭინაძის, ძმებ ზუბალაშვილების, და ლ. უკრაინკას ქუჩებს შორის აგებული 14-სართულიანი შენობა (საცხოვრებელი სახლი შევჩენკოს #3). ახალმა შენობამ სრულად დაარღვია აღნიშნული მონაკვეთის მასშტაბი. მთაწმინდის ფერდს მორგებული განაშენიანება, რომელიც შეიცავდა XIX საუკუნის სხვადასხვა წლით დათარიღებულ და XX საუკუნის დასაწყისის ნაგებობებს, შეიცვალა დიდი კორპუსით. ძველი განაშენიანების პრინციპი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე მოძრაობისას მთაწმინდის მთელი სისრულით აღქმის შესაძლებლობას გულისხმობდა, დაირღვა. ნაგებობა მონუმენტურია, ტლანქი და მიმდებარე განაშენიანებისთვის შეუსაბამო. დარღვეულია შენობის მასშტაბი და მასშტაბურობა, რიტმი ერთფეროვანია, რაც შენობას კიდევ უფრო მეტ მონუმენტურობას ანიჭებს. საცხოვრებელმა სახლმა კლასიკური გიმნაზიის ისტორიული შენობის როლი დააკნინა და რუსთაველის პროსპექტზე მთაწმინდის დასწრება ჩაკეტა. თუმცა ავტორები ცდილობდნენ გიმნაზიის ორ-ფლიგელიანი ფრაგმენტის განმეორებას და ცალკეულ ნაწილთა შესაბამისობაში მოყვანას, მაგრამ მასშტაბმა ეს ყოველივე გადაფარა, დააკნინა პირელი სკოლის მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია. ქალაქის ეს ნაწილი ისტორიულ–კულტურული ზონაა და არსებობს კანონმდებლობა, თუ როგორ უნდა წარიმართოს მშენებლობა ამ ზონაში, გარშემო არსებული ღირებული შენობები რომ არ დაზიანდეს. ძეგლს აქვს ვიზუალური დაცვის არეალი, ეს არის „ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ანდა ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე“. „ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია

იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას", – ნათქვამია კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანონში 2008 წელს ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც ვიზუალური დაცვის არეალი მხოლოდ თბილისს გარეთ მოქმედებს (სურ. 74).

2. – 1929 წელს აგებული კონსტრუქტივისტული სტილის „ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობა რუსთაველის პროსპექტის #42-ში მდებარეობს. კუთხის შენობა რუსთაველის ქუჩის შესახვევში დგას, სადაც გრიბოედოვის ქუჩაზე ასასვლელი კიბეა მოწყობილი. 2007 წელს შენობა ამოიღეს ძეგლთა ნუსხიდან, რის შემდეგაც დაიწყო მისი რეკონსტრუქცია, რომელიც 2013 წელს დასრულდა. გადაკეთების შემდეგ მასში სავაჭრო ცენტრი „მერანი" განთავსდა, რომელიც რუსთაველის პროსპექტის პარალელურად მდებრე გრიბოედოვის ქუჩის სკვერში მშენებარე მრავალფუნქციურ მაღლივ შენობას (გრიბოედოვის #31-35) გასასვლელით უკავშირდება. „მერანის" უკანა პლანზე მრავალსართულიანი შენობა აღიქმება რუსთაველის პროსპექტიდან, ვარდების რევოლუციისა და რუსთაველის მოედნებიდან. „ზარია ვოსტოკას" სივრცითი სტრუქტურა დაარღვია უკანა მინაშენმა. ბრტყელი გადახურვაშეიცვალა ქანობიანი გადახურვით, რაც დაუშვებელია კონსტრუქტივისტული ნაგებობისათვის, შეიცვალა ტერაზიტით ნალესი ფასადის სიბრტყეც. სამხატვრო აკადემიის მაღლივ კორპუსსა და „ზარია ვოსტოკას" რედაქციას შორის ტლანქი შენობა დომინანტური ხდება მთაწმინდის სილუეტის ფონზე, რითაც ირღვევა ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების მასშტაბი (სურ. 75).

3. - რუსთაველის პროსპექტის საერთო აღქმაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ახალმა განაშენიანებამ თბილისის ომის შემდეგ განადგურებული

კვარტლების ადგილას. დამწვარი და დაზიანებული შენობების ნაცვლად უფრო დიდი მასშტაბის შენობები აიგო, რამაც შეცვალა მთაწმინდის ფერდის განაშენიანების სტრუქტურა. არსებული განაშენიანების მასშტაბმა დაარღვია კავშირი რუსთაველის პროსპექტსა და მთაწმინდის რბილ რელიეფს შორის და დისონანსი შემოიტანა არსებულ ისტორიულ განაშენიანებაში. მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლები ბესიკის, ლ. უკრაინკას, ჭიჭინაძის, 9 აპრილის ქუჩების და მათი გადამკვეთი ძმებ ზუბალაშვილების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზეა განლაგებული. ესენია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები (პ. ინგოროყვას #17-19, 9 აპრილის 3-5, ლესია უკრაინკას #3, ტ. შევჩენკოს #5, #10, #12, #20, ძმები ზუბალაშვილების #7,#11, მ.ზიჩის #8, #9,#12, არსენას #1) და, ასევე, მსხვილმასშტაბიანი მრვალფუნქციური კომპლექსი ბესიკის #4-ში. ასეთივე არსებითია მსხვილმასშტაბიანი შენობები, რომლებიც რუსთაველის მოედნის უკან მდებარეობს, შემოდის რუსთაველის პროსპექტის პერსპექტივში და პროსპექტის აღქმის ზონაშია მოქცეული. ინტენსიური მშენებლობა მაყაშვილის და დავით აღმაშენებლის ქუჩებზე, რომელიც დღეს ხორციელდება, თანდათან ფარავს მთაწმინდას და შეუძლებელს ხდის „ვარდების რევოლუციის მოედნიდან“ მთაწმინდის აღქმას (სურ. 76).

4.-რუსთაველის პროსპექტის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსთაველის პროსპექტზე მდებარე იმელი და მხატვრის სახლი.

ა)1935-1938 წლებს შორის აგებული იმელის პოსტკონსტრუქტივისტული სტილის შენობა [13, გვ. 250] რუსთაველის პროსპექტის #29-ში, კვალის და შ. მესხიას ქუჩათა რკალში მდებარეობს. თ. აბაკელიას რელიეფური ფრიზით შემკული შენობის ფრონტალურად გაშლილი სვეტებიანი პორტიკი რუსთაველის პროსპექტზე გამოდის. შენობის უკანა ფასადს ცენტრში ნახევარწრიული შვერილი და ორი სწორკუთხა ფორმის ფლიგელი აქვს.

კვალის ქუჩის პარალელურ თაბუკაშვილის ქუჩაზე (#48-52) მიმდინარეობს მაღლივი კორპუსის მშენებლობა, რომელიც გასასვლელით იმელს დაუკავშირდება. შეიქმნება ერთიანი სასტუმროს კომპლექსი. პროექტის მიხედვით, ახალი შენობის ძლიერი ვერტიკალი უპროპორციოა. იმელის შენობამ ერთი ფლიგელის ნაწილი, ი. ნიკოლაძის ორი ჰორელიეფი და სხვა ღირსშესანიშნავი ნაწილები დაკარგა. 2007 წელს შენობას მოუხსნეს ძეგლის სტატუსი.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონი - თუ რა არის ამ კანონის მიზანი, სად ვრცელდება კანონი, როგორ ენიჭება და ეხსნება ძეგლს სტატუსი, სად არის აღრიცხული ძეგლები. რუსთაველის პროსპექტზე და თავისუფლების მოედანზე ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული 36 ნაგებობას. 2007 წლამდე ძეგლის სტატუსი ჰქონდა რუსთაველის #42-ში მდებარე შენობას და რუსთაველის პროსპექტის #29-ში იმელს. 2007 წლის ნუსხიდან უკვე ამოღებულია ეს ორი ობიექტი. #42 რეკონსტრუქციის პროცესშია. იმელის შენობა ძლიერ დაზიანებულია. ეზოს მხრიდან მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა (სურ. 77).

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ,თბილისი, 2007 წლის 8 მაისი.N 4708 – Iს

მუხლი 17. ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა *(21.11.2008 N 528)* „ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V^1 თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი“ .

მუხლი 21^2. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ძეგლისათვის ძეგლის

სტატუსის მოხსნა.

„ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიისა და სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

ბ) „მხატვრის სახლი“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველის პროსპექტის და ჯორჯაძის ქუჩების გადაკვეთაზე ქაშვეთის ეკლესიის სამხრეთით 1865-1867 წლებში სიმონსონის მიერ აშენებული სასამართლოს შენობა 1895 წელს ზალცმანის პროექტით სასტუმროდ გადაკეთდა. ცნობილია ისიც, რომ ამ ნაგებობაში მხატვრის სახლი იყო განთავსებული, რომელიც „თბილისის ომს“ ემსხვერპლა. 1992 წელს დაზიანებული ნაგებობის აღდგენაზე გამოცხადებული არქიტექტურული კონკურსის გამარჯვებული პროექტით შენარჩუნებული იყო ნაგებობის მთავარი ფასადი (არქიტექტორები: ვ. ქურთიშვილი, მ. ქურთიშვილი). ამ პროექტით მშენებლობა არ განხორციელდა. მოგვიანებით არსებობდა საპროექტო წინადადება კუბის ფორმის მინისფასადიანი შენობის ასაგებად. დღეს აღნიშნულ ტერიოტრიაზე შპს „მაგთის“ მიერ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კომპლექსის მშენებლობა მინდინარეობს. პროექტის ავტორები არიან ა. ქურდიანი, გ. ქურდიანი (სურ. 78). აღსანიშნავია, რომ იმ ადგილას, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, 2006 წლამდე შემორჩენილი იყო ადრეული კლასიცისტური სტილის ერთსართულიანი (გუდიაშვილის #18) და ორსართულიანი (გუდიაშვილის #20), სახლები, რომლებიც ძველთბილისური საცხოვრებელი სახლის ნიმუშს წარმოადგენდა.

5. -აღსანიშნავია, რუსთაველის პროსპექტზე XIX საუკუნის შენობებზე წვრილ-წვრილი დასახიჩრებები, ატიკის სართულის დაშენებები, ასე მაგალითად, ატიკის დაშენება რუსთავლის #20-ში, რუსთაველის #34-ში, რუსთაველის #44-ში მდებარე შენობებზე (სურ. 79-81).

ამრიგად, რუსთაველის პროსპექტის კომპოზიციური ერთიანობა მდგომარეობს მასშტაბურობის პრობლემის სწორ გადაწყვეტაში, სივრცის რიტმულ ორგანიზებაში, აქცენტებისა და დომინანტების სწორ განაწილებაში, რის შედეგადაც ვიღებთ ისეთ ზოგად კატეგორიას, როგორიც არის სივრცის კამერული თუ სადღესასწაულო შეგრძნება. რუსთაველის პროსპექტს ახასიათებს არქიტექტურული ქმნილების ინდივიდუალობა. ეს არის განუმეორებელი კომპოზიციური სტრუქტურის თავისებურება, რომელიც ზოგჯერ კომპოზიციის დარღვევითაც მიიღწევა. (სურ. 82-83)

არქიტექტორი გ. ბათიაშვილი თავის წიგნში აღნიშნავს: „კულტურული ღირებულების მქონე ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანიზებული გარემო არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სამუზეუმო ექსპონატი, ან მხოლოდ როგორც ტურისტული დათვალიერების ობიექტი. ისტორიული ქალაქების ურბანიზებულ სტრუქტურებს უნდა შეექმნას ყველა პირობა დროის მოთხოვნილების შესაბამისად სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის“ [16, გვ.65].

2.4. თვისობრივი კვლევა რუსთაველის პროსპექტის შესახებ ღია ინტერვიუს სახით

გარდა იმისა, რომ თბილისელებს რუსთაველის პროსპექტის მიმართ განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება აქვთ, უკანასკნელი 25-30

წლის განმავლობაში რუსთაველის პროსპექტმა საზოგადოების პოლიტიკური ნების გამოხატვის ადგილის ფუნქციაც შეიძინა. კვლევის პროცესში ვესაუბრეთ როგორც არქიტექტორებს, რომელთაც პროფესიული აზრი აქვთ რუსთაველის პროსპექტის წარსული და დღევანდელი იერსახის შესახებ, ისე სხვადასხვა თაობისა და პროფესიის მოქალაქეებს, რომელთა აზრი არანაკლებ საინტერესო და ფასეულია.

კვლევის მეთოდოლოგია იმ ფაქტის გათვალისწინებით შევარჩიეთ, რომ უშუალოდ რესპოდენტის ნააზრევის წარმოჩენა სტანდარტული ინტერვიუს დროს იმ ხარისხით არ ხდება, როგორც - არასტანდარტულით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდად შევარჩიეთ ღია, ნარატიული ინტერვიუს ფორმა.

„ხარისხობრივი კვლევა რესპოდენტის სუბიექტურ ი პერსპექტივით, მისი შინაარსობრივი დატვირთვით არის დაინტერესებული. კვლევის მასალების შეგროვებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მკვლევარების მხრიდან შემდეგ კრიტერიუმებს ენიჭება:

1. სუბიექტურობა
2. სრული გახსნილობა კითხვების, პასუხებისა და მეთოდების თვალსაზრისით
3. კვლევის ჩატარება ბუნებრივ სიტუაციაში“ [25, გვ. 444].

თუკი რაოდენობრივი კვლევების ძირითადი და ხშირად ერთადერთი მიზანი უკვე არსებული ჰიპოთეზების ემპირიული გზებით შემოწმებაა, თვისობრივი კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც უკვე არსებული ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ისე ახალი ტიპოლოგიების, კატეგორიათა სისტემებისა და კვლევითი ჰიპოთეზების შესაქმნელად [25,გვ. 444]. კვლევის მეთოდად ნარატიული ინტერვიუ სწორედ იმ მოსაზრებით ავირჩიეთ, რომ თავისუფალ, უშუალო საუბარში ჩვენს რესპოდენტებს ყოველგვარი წინასწარ მომზადებული კითხვებისა და შესაძლო პასუხების გარეშე თავად მისცემოდათ

შესაძლებლობა, წარმოეჩინათ რუსთაველის პროსპექტის ფორმირების ეტაპების ხედვის საკუთარი პერსპექტივები და თავადვე გაემახვილებინათ ყურადღება იმ ასპექტებზე, რომლებიც, სუბიექტური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიაჩნდათ.

კვლევის ფარგლებში 2014 წლის იანვრიდან დღემდე გამოკითხულ იქნა 27 ადამიანი – მეტწილად, არქიტექტორები და ხელოვნებათმცოდნეები, მაგრამ, ასევე, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც გვიზიარებენ თავიანთ მოგონებებსა და შეხედულებებს რუსთაველის პროსპექტის წარსულისა და აწმყოს შესახებ. არქიტექტორებს შორის არიან პროფესიონალები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ პროსპექტის დღევანდელი იერსახის ჩამოყალიბებაში. ასევე გამოვკითხეთ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი პროფესიული მოღვაწეობის ფარგლებში არაერთი კვლევა, მეცნიერული სტატია თუ ნაშრომი მიუძღვნეს რუსთაველის პროსპექტს. ასეთები არიან, მაგალითად, პირველი საშუალო სკოლის აღდგენის პროექტის ერთ-ერთი ავტორი ირინე შარაშენიძე; ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორიაზე მშენებარე სამუზეუმო კომპლექსის პროექტის ერთ-ერთი ავტორი არჩილ ქურდიანი; წიგნის ავტორი „ევროპელი არქიტექტორები თბილისში“, არქიტექტურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მაია მანია; პირველი კლასიკური გიმნაზიის შესახებ წიგნის ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან შავგულიძე და ასე შემდეგ.

ცხადია, კვლევა არ არის ანონიმური. რესპოდენტების სრული სია კი ასეთია: ვახტანგ დავითაია - 80 წლის, არიქიტექტორი, პროფესორი; ლერი გოშაძე- 79 წლის, არქიტექტორი; ტარიელ ჩიგოგიძე- 77 წლის, არქიტექტორი; ვლადიმერ ვარდოსანიძე - 69 წლის, არქიტექტურის დოქტორი; ირინა შარაშენიძე - 65 წლის, არქიტექტორი; თბილისის ქაშვეთის ტაძრის მოძღვარი დეკანოზი ელიზბარი (ოდიშვილი) - 59 წლის; ირინა მირიჯანაშვილი - 58 წლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; მაია მანია - 57 წლის,

არქიტექტურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; ნანა ქუთათელაძე - 57 წლის, არქიტექტურის დოქტორი; მედეა მელქაძე - 60 წლის, არქიტექტურის დოქტორი; ზურაბ ბაქრაძე - 61 წლის, არქიტექტორი; დავით აბულაძე - 55 წლის, არქიტექტურის დოქტორი; არჩილ ქურდიანი- 48 წლის, არქიტექტორი; ზაქარია ქურდიანი - 40 წლის, არქიტექტორი; დავით ბახტაძე - 39 წლის, არქიტექტორი; თამარ არველაძე - 36 წლის, არქიტექტორი; მარიამ გუგულაშვილი- 28 წლის, არქიტექტორი; ქეთევან შავგულიძე - 38 წლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; ნინო გედევანიშვილი - 50 წლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეროვნული გალერეის დირექტორი; ჯანა კახიანი - 60 წლის, ფსიქოლოგი; გია თორთლაძე - 54 წლის, მთასვლელი, არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; მაია ერისთავი- 60 წლის, ხელოვნებათმცოდნე; ნინა მიქელაძე - 60 წლის, ექიმი; გიორგი ქადეიშვილი- 39 წლის, მათემატიკოსი; მერი ურუშაძე- 24 წლის, მენეჯერი; ნინო რუსაძე- 22 წლის, ფილოლოგი; ნინო გაბადაძე - 18 წლის, მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი.

ინტერვიუების დამუშავების პროცესში ცალსახად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი: პირველ რიგში, ეს არის რუსთაველის პროსპექტი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და თავშეყრის ადგილი. ამას განსაკუთრებით ძველი თაობის წარმომადგენლები აღნიშნავენ და რუსთაველის პროსპექტს იგონებენ როგორც საყვარელ ქუჩას, სადაც ადამიანები ერთმანეთს ეცნობოდნენ; როგორც ადგილს, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ურთიერთობდნენ; სადაც ჩქეფდა კულტურული ცხოვრება. ასე მაგალითად, **არქიტექტორი ტ. ჩიგოგოძე** თავის ინტერვიუში იხსენებს:

„28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაულზე თბილისში უნდა ვყოფილიყავი, სულ ვცდილობდი, არ დამეგვიანა რუსთაველზე ჩასვლა, რომ შევხვედროდი... ჩემს პერიოდში... ცალ-ცალკე ვსწავლობდით ბიჭები და

გოგოები და იქ ვხვდებოდით ერთმანეთს... გარუჯული გოგოები და ბიჭები, სამეგობრო... თან სულ ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, ან ვიცოდით, ვინ იყო. ეს, ყველაფრის გარდა, მარტო გასეირნება არ იყო, ეს იყო ის დღესასწაული, რომელშიც ყოველი 1 სექტემბრის წინ უთქმელად ყველანი ვმონაწილეობდით".

ამ მოგონებას ერთგვარად ეხმიანება თავის ინტერვიუში **არქიტექტორი ლ. გოშაძე**, როცა იგი აღნიშნავს: „რუსთაველის პროსპექტმა ის ძირითადი ფუნქცია დაკარგა, „საგამოფენო" ფუნქცია, ახალგაზრდებს რომ მოსწონდათ იქ გავლა და თავის მოწონება... ის სიმღერა რომ არის, „თბილისი იყო კეთილშობილ ყრმათა თავშესაფარი..." , ის კეთილშობილი ყრმები დადიოდნენ რუსთაველზე... რა გვარი იყო? აი, ის ჩვენი ბატინკებიანი მწერალი... გურამ რჩეულიშვილი... მთიდან ჩამოდიოდნენ და პირდაპირ რუსთაველზე ბატინკებით დადიოდნენ! აი ეგეთები იყვნენ, ერთმანეთის დანახვა უხაროდათ. ახლა რუსთაველზე ფეხით აღარ დადიან".

იმავე ასპექტს აღნიშნავს **არქიტექტორი ვ. დავითაიაც:** „რუსთაველის პროსპექტი მახსოვს ძალიან ლამაზი, ამ სიტყვის ძალიან ფართო გაგებით. არა მხოლოდ ლამაზი არქიტექტურულად, არამედ ცხოვრების წესით. ჩვენ, საღამო არ იყო, ერთი-ორჯერ, სამჯერ მაინც არ აგვევლო და ჩაგვევლო რუსთაველზე. ეს იყო ძირითადი არტერია, ადგილი შეხვედრების, ნაცნობობის სიყვარულის, შეყვარებისა და ა. შ. ა.შ..."

შედარებით, ახალგაზრდა თაობაში ეს განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება რუსთაველის პროსპექტის, როგორც საყვარელი ქუჩის, მიმართ, სადაც ადამიანთა აქტიური თანაარსებობა და ურთიერთობები მიმდინარეობს, საგრძნობლად შესუსტებულია. მათ ინტერვიუში აღარ ფიგურირებს პროსპექტი, როგორც დროის სასიამოვნოდ გატარების მიმზიდველი ადგილი. მათ მოგონებებში რუსთაველის პროსპექტი ასოცირდება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებისა და, მოგვიანებით, საომარი მოქმედებების პოლიგონთან.

ხელოვნებათმცოდნე ქ. შავგულიძე ამ გარემოებას თავის ინტერვიუში ასე იგონებს: „ყველაზე საზარელი არის ის, რომ ჩემთვის იმდენად შეუთავსებელია ის, რასაც იხსნებენ ჩემი მშობლები რუსთაველზე, რომელიც არის მათთვის სიამოვნებასთან, რაღაცა ძალიან სასაიმოვნო მოგონებებთან გაიგივებული, ამ დროს ჩემთვის შიშსა და ძრწოლასთანაა გაიგივებული. მე მახსოვს, მუდმივად სწრაფი ნაბიჯით ჩამოვრბოდი იმ დაღმართზე იმისათვის, რომ მე გავცლოდი იქურობას."

მსგავსი მოგონებები აქვს **არქიტექტორ დ. ბახტაძესაც** : „90-იანი წლები, მიტინგების პერიოდი... როგორც ქუჩა, ასე ვთქვათ, და როგორც გამზირი, ნაკლებად აღიქმებოდა ... აქ სულ სხვა განწყობა და სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა. მახსოვს, ომის მერე ამ შეტაკებების მერე პირველი სკოლა სულ გადამწვარი და ჩაქცეული, პარლამენტი ნახევრად გამონგრეული და დაზიანებული, სასტუმრო თბილისი, ასევე დამწვარი მხატვრის სახლი. ალბათ ყველაზე უფრო ეს პერიოდი მახსოვს, როცა რუსთაველი ამ მდგომარეობაში იყო გაპარტახებული და გაუბედურებული..."

არქიტექტორი ა. ქურდიანი, ასევე, ხაზს უსვამს რუსთაველის პროსპექტის ისტორიის იმ მძიმე პერიოდს: „მე პირადად ვაქცევდი ყურადღებას, აბა, რომელ შენობას ესროლეს, რომელი დაინგრა, რომელი დაიწვა.... მე მხატვრის სახლიც მახსოვს, მახსოვს ეს პირველი სკოლის უკან შენობები... იმის ადგილას დიდი საცხოვრებელი სახლია აღმართული... მახსოვს კავშირგაბმულობის შენობა, მახსოვს მთავრობის სახლი ომამდე, ომის მერე რამდენიმე სვეტი აკლდა, მახსოვს მერე მისი აღდგენა. ეს პერიოდი იყო ძალიან მძიმე. მე ვუყურებდი არქიტექტურული განხრით, აი, დღეს რა დაინგრა, რა დაიწვა, ნეტა აღდგება თუ არა..... იყო ეს ფიქრები..."

მათემატიკოსი გ. ქადეიშვილი თავის ინტერვიუში იგონებს: „მახსოვს ის შეგრძნება, როცა აირია ქვეყანა და პირველად, მანქანების გარეშე, მომიწია რუსთაველზე შუაში სიარული 9 აპრილის წინა დღეებში ... მეტსაც გეტყვი,

ივერიაში ყოფნაც მომიწია სტუმრად ერთ ჩემს თანამშრომელთან, რომელიც სოხუმიდან იყო და იქ ცხოვრობდა. რაც მე იქ ვნახე... ანუ ივერიის, ვთქვათ ფოიეში, მეხუთე სართულზე, იყო ბაზარი, სადაც ყიდდნენ მწვანილს, კარტოფილს. მეექვსეზეც, მეშვიდეზეც, ყველა სართულზე თავისი ჰქონდათ... აბსოლუტურად თავში ვერ ეტეოდა, რომ აქედან 20 მეტრში არის თბილისის მთავარი ქუჩა, აქ კი ყველა სართულზე არის ბაზარი და ხალხი ცხოვრობს საოცარ გაჭირვებაში“.

მათ, ვინც დღეს, დაახლოებით, 20-25 წლისაა, რუსთველის პროსპექტთან ცოტა რამ თუ აკავშირებთ. მათ ინტერვიუებს მოგონებათა სიმწირეც ეტყობა. ისინი ხშირად, უბრალოდ, გვთავაზობენ ჩამონათვალს იმ შენობებისა, რომლებიც ამ პროსპექტზე იდგა. იგონებენ ოპერას, თეატრს, გალერეას, ჩაბნელებულ პროსპექტს, დანგრეულ სახლებს, ასევე, „ლაღიძის წყლებს“, კაფე „ნიკალას“ და რამდენიმე მაღაზიას, თუმცა განსაკუთრებული ემოციების გარეშე. დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის კულტურული ცხოვრებიდან ისინი მხოლოდ რუსთაველის კინოთეატრს აღნიშნავენ, სა/;დაც მიზანმიმართულად მიდიან, ანუ პროსპექტი მათთვის აღარ არის სპონტანური თავშეყრის ადგილი.

18 წლის **სტუდენტი ნ. გაბადაძე** თავის ინტერვიუში მოგვითხრობს: „ბავშვობაში, ძირითადად, „მაკდონალდსში“ დავდიოდი ხოლმე. ბებიასთან ერთად ვსეირნობდი... უყვარდა რუსთაველზე სეირნობა, თავის ბავშვობაშიც სეირნობდა. სოლოლაკში ცხოვრობდა და, აქედან გამომდინარე, ხშირად იყო ხოლმე რუსთაველზე. ახლა რუსთაველზე ქაშვეთის ეკლესიაში დავდივარ, კინოში, რუსთაველის თეატრში. წიგნების მაღაზიაა ერთი, რომელშიც დავდივართ, და კაფე, რომელიც ძალიან მოგვწონს. „პროსპეროს წიგნები“, ოპერის წინ არის, ოღონდ არ ჩანს. შენობები მომწონს.. ჩვეულებრივი ქუჩებისგან განსხვავებულია... ჩვეულებრივი კორპუსები არ დგას, არქიტექტურა აქვს გამორჩეული“.

22 წლის **ფილოლოგი ნ. რუსაძის** მოგონებები ასეთია: „დღესაც ისეთი მახსოვს, როგორიც არის, უფრო მეტი რაღაც იყო რუსთაველზე, თუნდაც „ლაღიძე“. მიუხედავად ყველაფრისა, მახსოვს, კაფე „რუსთაველი“ რომ იყო ოპერის წინ და უგემრიელესი საჭმელი ჰქონდათ, ორსართულიანი კაფე იყო. ნიკალაც მახსოვს და „ლაღიძეც“, ქაშვეთის ეკლესია, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს. პირველი სკოლა, სადაც პრაქტიკას გავდიოდი. პიონერთა სასახლე და სკოლა ისტორიული ადგილებია. პირველ სკოლაში რომ მივდიოდი ხოლმე, ვსეირნობდი. განსაკუთრებით მომწონს, საახალწლოდ რომ არის განათებული და სპეციალურად გავსულვარ ხოლმე და გამისეირნია".

24 წლის **მენეჯერი მ. ურუშაძე** მოგვითხრობს: „მახსოვს, როდესაც არ იყო ისეთი ნათელი, ისეთი ლამაზი, როგორიც დღეს არის. ძველი რუსთაველი უფრო ახლოს იყო ჩემთან. ადრე დიდი დროის გატარება მიწევდა, ვიდრე ახლა. დავდიოდი პიონერთა სასახლეში. ხშირად მიწევდა რუსთაველზე ყოფნა, რადგან ბაბუაჩემი იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. ასევე ხშირად მიწევდა... მქონოდა შეხება ოპერასთან – ჩვენი ახლობელი იყო მთავარი ქორეოგრაფი. პატარა რომ ვიყავი, ყველაზე ლამაზი შენობები მეგონა, რომ იდგა... ლამაზი შენობების ქუჩა იყო ალბათ, უფრო ადრე. ადრე სახლები ისეთი არ იყო, განათებული არ იყო და ღამე საშიში იყო სიარული. ეხლა ყველაფერი უფრო შეცვლილია და თანამედროვე სახე აქვს. სასურველი ქუჩაა და უფრო ლამაზი გახდა. დღეს მახსოვს მოლი, „მერანი“ ჰქვია, მგონი, და უფრო სავაჭრო კუთხით, უფრო მაღაზიებში გასავლელად ხშირად ვარ ამ ქუჩაზე, ვიდრე, ვთქვათ, სხვა მიზეზით. მომწონს ქუჩის ვიზუალური მხარე, მაგრამ კომფორტული არ არის, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ხალხი მოძრაობს და ვერ ვგრძნობ თავს კომფორტულად ამის გამო. საღამოს სულ უცხოელები სეირნობენ, ძირითადად, ინდუსები და ირანელები, ძალიან ბევრნი“.

ინტერვიუების დამუშავების დროს თვალნათლივ გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც: არის ქალაქის ან ცალკეული ქუჩის ისტორიაში

ისეთი რამ, რაც თავისი მნიშვნელობით სცდება მის პირვანდელ ღირებულებას და თაობათა საერთო კულტურული ღირებულების დატვირთვას იძენს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, ცალკე არ აღინიშნოს „ლაღიძის წყლების“ ფენომენი, რომლის შინაარსობრივი დატვირთვა, თავისთავად, უკვე გასცდა უბრალო კვების ობიექტის ფარგლებს და დროთა განმავლობაში კულტურული ღირებულება შეიძინა. განსაკუთრებულ ემუციურ დამოკიდებულებას მის მიმართ ის გარემოებაც აძლიერებს, რომ თბილისელებმა, მიუხედავად ასეთი სიყვარულისა, მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს.

არქიტექტორი ნ. ქუთათელაძე აღნიშნავს: „არაფრით არ შეიძლებოდა იქიდან ლაღიძის წყლის გამოყვანა, იმიტომ, რომ ეს არის შენი სავიზიტო ბარათი. რომ იყო კაცი 40 წლის წინ, ან თუ გინდა, 50 წლის წინ და რომ ჩამოდის ისევ თბილისში, ვინ იქნება, არ აქვს მნიშვნელობა, რომ ახსოვს ლაღიძის წყალი თავისი გაქექილი მაგიდით. საფრანგეთში რაც იყო დარჩენილი, 1800 რომელიღაცა წელს და 1700 რომელიღაცა წელს, ესაა ფასეული და მიდიხარ იქ, იმიტომ, რომ ზუსტად იგივენაერი ინტერიერი გხვდება, როგორიც იყო. აქ ეს შეგრძნება აღარაა, ტანსაცმლის მაღაზია გახსნეს... ეს არის ძალინ ცუდი. დაკარგა თავსი ხასიათი ამ ადგილმა.“

ხელოვნებათმცოდნე მ. ერისთავი თავის ინტერვიუში აღნიშნავს: „მიტროფანე ლაღიძე, თვითონ ეს ლაღიძის წყალი ვინც მოიგონა ... სინჯავდა ყველაფერს.... ძველი შოკოლადის მაღაზიაა პარიზში, რომელიც შექმნილია 1745 თუ რაღაცა წელს, აღარ მახსოვს, და ისევ ისეა შენახული ზუსტად იმიტომ, რომ ის არის უკვე სავიზიტო ბარათი.... მეხსიერებასთან იდენტიფიკაცია.... და, მიტროფანემ ისეთი მნიშვნელოვანი რაღაცა მოიფიქრა და გააკეთა... ეს რაღაცნაირად უნდა დარჩეს.“

არქეოლოგი, მთასვლელი გ. თორთლაძე თავისი მოგონებებით კიდევ ერთხელ ადასტურებს „ლაღიძის წყლების“, როგორც ქალაქის სავიზიტო ბარათის, დატვირთვას: „იქიდან გამომდინარე, რომ მთაში დავდივარ და

ძალიან ბევრ უცხოელს შევხვედრივარ, რომლებიც თავის დროზე უფრო ხშირად ჩამოდნიოდნენ აქ, მინდა ვთქვა, ყველას ახსოვს, ერთხელაც თუ არის ნამყოფი თბილისში, ეს „ლაღიძის წყლები“. რატომღაც განსაკუთრებით ახსოვთ, ზოგს სახელიც ახსოვს, ზოგს არ ახსოვს სახელი, მაგრამ მეუბნებიან, რომ იქ იყო წყლები. ამის გაუქმება არაადეკვატური რამ იყო. არაფრით არ შეიძლებოდა ამ ადგილის გაუქმება... ამას რომ გადაიტან სხვაგან, ეს ამბავი მორჩა უკვე“.

ინტერვიუების საფუძველზე გვინდა გამოვყოთ კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც რუსთაველის პროსპექტის სივრცულ –კომპოზიციური აღქმის თემას შეეხება. ეს არის შენობათა მასშტაბები და, ასევე, პროსპექტის სხვადასხვა მონაკვეთიდან გადაშლილი ხედი მთაწმინდაზე, მაგალითად, **არქიტექტორი ზ. ქურდიანი** აღნიშნავს: „კარგი მასშტაბის გამზირია, ლამაზი არქიტექტურაა და, ნუ, უბრალოდ, რუსთაველის გამზირია... რუსთაველის გამზირის რამდენიმე ადგილიდან კარგად ჩანს მთაწმინდის ფერდობი, სამწუხაროდ, ის ყველაზე კარგი ხედი, რაც იყო, ის იყო თავისუფლების მოედნიდან, როცა ამოივაკებ ლესელიძის ქუჩიდან და გაჩერდები კუთხეში. აქედან იყო ძლიან კარგი ხედი მთაწმინდის ეკლესიასა და მთლიანად იმ ქედზე და ფუნიკულიორზეც, მათ შორის. დღეს ეგ ხედი დაფარა „ქორთიარდ მარიოტმა“, ანუ ეგ აღარ აქვს რუსთაველს, მთაწმინდას რაც ეხება.“

არქიტექტორი მ. მელქაძე აღნიშნავს: „მთაწმინდა არის ჩვენი თბილისის ნიშანი, ლოგო, ეს არის განუმეორებლობა, მისი ავთენტურობა და გენეტიკური კოდი, როდესაც ამ გენეტიკურ კოდს აქ ჩაგიხშობენ, იქ ჩაგიხშობენ, ცხადია, რომ ეს კვდება... ქალაქის გენეტიკა არის უმთავრესი. გენიალური ქალაქია თბილისი, ყველა რაკურსში გენიალური ქალაქია, ჩადებულია რაკურსული გახსნების იდეა“.

არქიტექტორი თ. არველაძე აღნიშნავს: „სკოლის უკან იყო უზარმაზარი ტერიტორია... ღია იყო, პირველ სკოლას სულ სხვა ანტურაჟი ჰქონდა საერთოდ

სხვა ლენდსქეიფზე იყო, უკან იყო სულ თავისუფალი სივრცე, სხვანაირად იკითხებოდა. უკან იყო ზუბალაშვილების #2, იქამდე იყო პირველი სკოლის ეზო, სპორტული მოედანი და ზევით - ზუბალაშვილის #2. შევჩენკოს კორპუსიც არ იდგა და ეს დიდი სახლიც არ იდგა, თავისუფალი სივრცე იყო და შენობა სხვანაირად იკითხებოდა. ახლა შენობა იგივეა, მაგრამ რაღაცნაირად ჩაჭედილია... ოთხ სართულზე მეტი მე მთაწმინდაზე არ მახსოვს სახლი, არ უნდა დამალოს განშლა, ცოტა ხანში შეიძლება ანძა ვერ დაინახო, ქალაქის ეს მთლიანობა არ უნდა დაირღვეს."

არქიტექტორი ი. შარაშენიძე: „რატომ მიდიოდა ეს ხალხი რუსთაველის პროსპექტზე? პირველ რიგში, იმის ნაწილი იყო. ეს პროსპექტი ადამიანის გაბარიტების შესაბამისად არის დაპროექტებული და აშენებული, ადამიანის სიმაღლის, ადამიანის მზერის, მოძრაობის, ხილვის, ეს ყველაფერი დაცულია, შექმნილია ადამიანისთვის".

ამრიგად, განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ თბილისელთა მეხსიერებაში რუსთაველის პროსპექტის აღქმა სხვადასხვა დროსა და პერიოდში განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი:

პირველი ეტაპი მოიცავს, შედარებით, ხანგრძლივ პერიოდს XX საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ დროს რუსთაველის პროსპექტი აღიქმება როგორც აქტიური თანაცხოვრების, კულტურული და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. ქალაქის ცხოვრებაში პროსპექტი მთავარ როლს თამაშობს. იგი სხვადასხვა ფენის, ეროვნების, ასაკისა და მისწრაფებების ადამიანების ერთგვარი მაკავშირებელი რგოლია.

1989-2000 წლებში რუსთაველის პროსპექტის დატვირთვა, როგორც მაკავშირებლისა, გამაერთიანებელი ფენომენისა, რადიკალურად საპირისპიროთი შეიცვალა. ამ პერიოდში იგი პოლიტიკური განხეთქილების, საზოგადოების გახლეჩისა და სამოქალაქო დაპირისპირების პოლიგონად იქცა.

ქუჩა დაინგრა, მოიშალა იქ შეხვედრის ტრადიცია, გაქრა სიმყუდროვისა და დაცულობის შეგრძნება. ეს ნათლად იკვეთება გამოკითხულთა მოგონებებში. ამ პერიოდში პროსპექტთან, უფრო ხშირად, უარყოფითი ემოციები ასოცირდება.

2000 წლიდან რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფაზა იწყება. ჩნდება ახალი, ფეშენებელური მაღაზიები და ოფისები. თუმცა ეს „აღმშენებლობა“ ხშირად არსებულისა და ძალიან ღირებულის ხარჯზე ხდება. ამის ყველაზე სამწუხარო მაგალითია „ლაღიძის წყლები“, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მასშტაბურ ნაგებობებზე, რომლებმაც დაფარა ხედი მთაწმინდაზე. შედეგად მივიღეთ აღდგენილი და განათებული, მაგრამ უფუნქციოდ დარჩენილი უამრავი შენობა და ოდესღაც საყვარელი პროსპექტი, რომელიც დღეს მხოლოდ ძველი მოგონებების აღძვრის ფუნქციას ატარებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის პროსპექტის ფიზიკური აღორძინება არ დაემთხვა მის შინაარსობრივ აღორძინებას.

ინტერვიუებმა კიდევ ერთხელ ცხადყო განსაკუთრებული ინტერესი და ფაქიზი დამოკიდებულება პროსპექტის, როგორც ქალაქის ერთ–ერთი სავიზიტო ბარათის, მისი ღირსების მიმართ. რუსთაველის პროსპექტის მიმართ არც ერთი მოქალაქე არ არის გულგრილი. მართალია, წინა თაობებისგან განსხვავებით, ახალი თაობის ემოციური კავშირი რუსთაველის პროსპექტთან ისეთი მძაფრი აღარ არის, მაგრამ მაინც იგრძნობა მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება.

ინტერვიუებში ასევე ხშირად ვლინდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება ჩარევის იმ რადიკალური ფორმების მიმართ, რომლებიც დროის უკანასკნელ მონაკვეთში განხორციელდა რუსთაველის პროსპექტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მსხვილმასშტაბიანი მშენებელობების თვალსაზრისით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვას არ გააჩნდა საზოგადოებრივი აზრის რეპრეზენტატიული კვლევის ამბიცია. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმ ასპექტების წინ წამოწევა გვინდოდა, რომლებიც ჩვენი თანამოქალქეებისათვის არის მნიშვნელოვანი რუსთაველი პროსპექტთან მიმართებით.

ინტერვიუები ცხადყოფს თბილისის საზოგადოების დიდ სურვილს და, გარკვეულწილად, მოთხოვნას, ჩაერთოს რუსთაველის პროსპექტის, როგორც ეროვნული მემკვიდრეობის, რეკონსტრუქციისა თუ ფორმირების პროცესში, მიგვანიშნებს იმას, თუ რა არის იმისათვის საჭირო, რომ ქუჩა იქცეს ცოცხალ ორგანიზმად და არა მხოლოდ მასზე განლაგებული შენობების უბრალო ნაკრებად. აქედან გამომდინარე, ეს მინიშნებები და სურვილები უსათუოდ აისახება ნაშრომის დასკვნით ნაწილში, ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ჩვენ მიერ დასმული საკითხი რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების პრობლემატიკის შესახებ თანხვდა რესპოდენტთა შეხედულებებს, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხების აქტუალობაში. ასევე სასურველი იქნებოდა განხორციელებულიყო უფრო ფართო მასშტაბიანი, რეპრეზენტატიული კვლევა ამ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც თვალსაჩინოს გახდიდა თბილისელების დამოკიდებულებას იმ სახეცვლილებებთან, რომლებსაც დღეს რუსთაველის პროსპექტი განიცდის.

დასკვნა

1. ნაშრომში პირველად განხორციელდა რუსთაველის პროსპექტის განვითარების ეტაპების კომპლექსური შესწავლა და გაანალიზება 1992 წლიდან დღემდე, რაც წარმოადგენდა ამ პერიოდში პროსპექტზე მიმდინარე არქიტექტურული პროცესების შესწავლის დანაკლისს.

2. კვლევის შედეგად გამოვლინდა პროსპექტის განვითარების ორი ეტაპი: 1 ეტაპი მოიცავს პერიოდს მისი ჩასახვის მომენტიდან (რასაც ვახუშტის გეგმა ადასტურებს) ე.წ. „თბილისის ომამდე“. 2. ეტაპი 1992 წლის ე.წ „თბილისის ომიდან“ და გრძელდება დღევანდელ დღემდე.

პირველი ეტაპის განხილვის შედეგად დასტურდება, რომ პროსპექტის სტრუქტურულ კარკასს ქმნის ვახუშტის გეგემაზე აღნიშნული კალას გალავნის გარეთ დასავლეთით მდებარე ისტორიული გზა, საიდანაც იწყება დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი. პირველი ადმინისტრაციული შენობის, მეფისნაცვლის სასახლის, გაჩენამ განაპირობა ქუჩის შემდგომი განვითარება. აღსანიშნავია, VI საუკუნიდან ქაშვეთის მონასტრის დომინირება მოცემულ სივრცეში და მისი კავშირი მთაწმინდის ფერდზე მდებარე ეკლესიასთან, რამაც განსაზღვრა მთაწმინდის როლი ქალაქის არქიტექტურულ -სივრცული გარემოსა და პროსპექტის ფორმირებაში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან პროსპექტის განაშენიანება თანმიმდევრულია და თანდათან იძენს როგორც ადმინისტრაციულ, ისე საგანმანათლებლო, საკულტო და კულტურულ ფუნქციებს. ამ პროცესში გამოიკვეთა უცხოელი არქიტექტორების როლი, რომლებმაც იზრუნეს, ადგილობრივი და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით შეექმნათ, ბუნებრივ რელიეფს მორგებული ჰარმონიული და ესთეტიკური არქიტექტურულ-სივრცული გარემო.

მეორე ეტაპის განხილვის შედეგად გამოიკვეთა რუსთაველის პროსპექტის არსებულ განაშენიანებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, თბილისის ომის შედეგებით, მეორე მხრივ, ქვეყნის ფორმაციის ცვლით. ომის შედეგად დანგრეული და დაზიანებული უბნის აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით შემუშავებული კონცეფცია გულისხმობდა რუსთაველის პროსპექტის, როგორც მკაცრი რეჟიმის დაცვის ზონის, პირვანდელი სახით აღდგენას. კონცეფციაზე დაყრდნობით ჩატარებულ ოთხ არქიტექტურულ კონკურსზე გამარჯვებული პროექტების ნაწილობრივმა განუხორციელებლობამ და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების რღვევა. შედეგად მივიღეთ სტიქიური, უსისტემო, მსხვილმასშტაბიანი არიქტექტურულ - სივრცული გარემო.

3. რუსთაველის პროსპექტის სხვა ქვეყნების დედაქალაქების საქალაქო არტერიებთან შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა სამი ქუჩის საერთო (ქუჩის პლასტიკით განსაზღვრული განაშენიანების ხასიათი, ნაგებობების ფუნქციური და სტილისტური მახასიათებლები, ქუჩის ღერძის კომპოზიციური გადაწყვეტა, კერძოდ, ორი მხრიდან მოედნების მდებარეობა მათზე განთავსებული დომინანტური კომპოზიციით) და განმასხვავებელი (ისტორიული და კულტურული ძეგლებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, უხეში ჩარევა შენობების ფუნქციის შეცვლის თვალსაზრისით) თავისებურებები.

4. რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული გარემოს კომპოზიციურმა ანალიზმა დაგვანახვა ქუჩის ღერძის კომპოზიციური თავისებურება, რომელიც გამოხატულია მის დასაწყისსა და ბოლოში არსებული მოედნებით: თავისუფლების, ვარდების რევოლუციის, რუსთაველისა.

შესწავლილი თავისუფლების მოედნის კომპაქტური, თანამასშტაბური განაშენიანება აქცენტირებული მერიის შენობით, შეიცვალა ახალი, მსხვილმასშტაბიანი მოცულობებით, რამაც წარმოქმნა მკვეთრი კონტრასტი მთავარსა და მეორეხარისხოვანს შორის. ეს კონტრასტი შესამჩნევი ხდება უშუალოდ მოედანზე მოხვედრისას. განაშენიანების მასშტაბისა და ფასადების არათანაბარი აქცენტები დაძაბულობის და დისჰარმონიის შეგრძნებას ბადებს, რასაც აძლიერებს სოლოლაკის ფერდის განაშენიანება.

კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ რუსთაველის პროსპექტის გრძივი განვითარების პლასტიკური ხასიათის თავისებურება ქმნის ვიზუალური კადრების საკმაოდ მრავალფეროვან პალიტრას და ცალკეული შენობების მიმზიდველ რაკურსებს. პროსპექტზე და მის არეალში ახალმა მასშტაბურმა შენობებმა დაარღვია ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მასშტაბი, ძველი კავშირები განაშენიანებასა და რელიეფს შორის. შეიცვალა მთაწმინდის კალთის ორი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული, განაშენიანების გეგმარებითი სისტემის საფუძველი და ქალაქის აღნიშნული ნაწილის სივრცითი სტრუქტურა.

რუსთაველის მოედნის კომპოზიციის დომინანტი შოთა რუსთაველის ძეგლია, მოედნის ვიზუალურ აღქმაში მნიშვნელოვანია მთაწმინდის მონაწილეობა. მოედანი განვითარებულია ორმხრივად და ერთგვარად წარმოადგენს მცირე ზომის სკვერს, რის გამოც ძეგლის გარშემო ჩამოყალიბდა ამ მოედნის დამახასიათებელი, არატიპური გარემო. ლანდშაფტი თანდათან დაიფარა მაღლივი შენობებით და მოედანსა და ბუნებრივ დომინანტს- მთაწმინდას- შორის კავშირი თანდათანობით დაიკარგა.

ვარდების მოედნის კომპოზიციურმა კვლევამ დაადასტურა, ხელოვნურად გაჩენილი მოედნის სივრცითი ორგანიზების უარყოფითი მხარეები, დაიკარგა ქუჩის ორივე მხარის ორგანული ერთიანობა და პროსპექტი ტრანსპორტის გამჭოლი მოძრაობის მაგისტრალად იქცა. მოედნის

გაზრდამ, ქართული განწყობის მატარებელი სასტუმრო „ივერიის“ შენობის ფასადის შეცვლამ გაწყვიტა ის ორგანული კავშირი, რომელიც არსებობდა სივრცულ კომპოზიციასა და დომინანტს შორის. ტელეგრაფის შენობის მსხვილ მასშტაბს დიდი მოედნის კომპოზიციაში არ შეაქვს დისონანსი. მოედნის ქაოსური, „შეუთანხმებელი“ კომპოზიცია, საბოლოოდ, ვერ აყალიბებს ჰარმონიულ ანსამბლს.

5. თბილისის მოქალაქეებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ გამოავლინა სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ადამიანების არაგულგრილი დამოკიდებულება რუსთაველის პროსპექტის მიმართ. კვლევის პროცესში გამოკითხული მოქალაქეები (მეტწილად, პროფესიონალები) დაიყო ასაკობრივ ჯგუფებად, რამაც განსაზღვრა მათი განსხვავებული მოსაზრებების დაყოფა სამ კატეგორიად: უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის პროსპექტი იყო თავშეყრის და ურთიერთობის ადგილი. შედარებით ახალგაზრდა თაობაში პროსპექტი ასოცირდება ომთან, ნგრევასთან, ახალგაზრდა თაობისთვის პროსპექტს მხოლოდ სავაჭრო და კულტურული ფუნქცია აქვს. მათ მეხსიერებაში რუსთაველის პროსპექტის აღქმა სხვადასხვა დროსა და პერიოდში განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი: რაც გვაძლევს საბაბს, განვიხილოთ ქუჩა როგორც ქალაქის კულტურის ინტეგრაციის ადგილი. დისერტაციის კვლევის მიზანი დაემთხვა ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ძირითად ასპექტებს, რაც ადასტურებს დღევანდელ დღეს რუსთაველის პროსპექტის მნიშვნელოვან როლს და მის გარშემო წარმოქმნილი პრობლემების აქტუალობას.

რეკომენდაციები

1. იქიდან გამომდინარე, რომ რუსთაველის პროსპექტი და მისი შემოგარენი გამოცხადებულია მკაცრი რეჟიმის დაცვის ზონად, რუსთაველის

პროსპექტზე და მის არეალში ძეგლის სტატუსის მქონე შენობები უნდა შენარჩუნდეს როგორც თბილისის არქიტექტურული ძეგლები. ავარიული შენობის შეცვლის შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს ქუჩის სტრუქტურა, განაშენიანების ხასიათი და მასშტაბი. დაცვის ზონაში მყოფ ქალაქის ამ უბანში სარეკონსტრუქციო, სარემონტო თუ სხვა სამუშაოთა ჩატარება და ახალი პროექტების დამტკიცება პროფესიონალთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს საარქივო მასალებზე დაყრდნობით არსებული მდგომარეობის სრული ფიქსაცია.

2. რუსთაველის პროსპექტზე არსებული უფუნქციო შენობების რეკონსტრუქციის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად შენარჩუნდეს შენობის ექსტერიერი პირვანდელი სახით. ასეთი გადაწყვეტილება არ გამორიცხავს შენობის ინტერიერის ნაწილობრივ შეცვლას თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად.

3. გამოიკვეთა პროსპექტის ორ მხარეს ადამიანთა ნაკადების არათანაბარი გადანაწილება. ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია კლიმატური პირობებით (ნაკლებად დატვირთული მხარე მზიანი და ცხელია), მეორე მხრივ, ყოფილი ტელეგრაფის შენობასა და მის მოპირდაპირე მხარეს შორის არ არსებობს კავშირი. ტელეგრაფის შენობის ქვედა სართულის დატვირთვამ (სავაჭრო და გასართობი ცენტრი) წარმოქმნა ამ მონაკვეთში მიწისქვეშა გადასასვლელის გაჩენის აუცილებლობა.

4. რუსთაველის პროსპექტი ისტორიულად ადამიანთა თავშეყრის, ურთიერთობის ადგილი ერთგვარი „გამოფენა“ იყო. ამ ტრადიციის თანდათანობითმა გაქრობამ ქუჩას დაუკარგა სიცოცხლისუნარიანობა და ტიპური თბილისური განწყობა. ამ ტრადიციის აღსადგენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისტემატურად (თვეში ერთხელ ან კვირაში ერთხელ) კულტურული ღონისძიებების ჩატარება და ქუჩის გადაკეტვა.

5. ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, „ლაღიძის წყლების“ აღდგენის აუცილებლობა, რომელიც იყო თბილისის სავიზიტო ბარათი და ქალაქის ერთგვარი ბრენდინგი.

6. ცისფერ გალერეას აღუდგეს ცენტრალური შესასვლელი პროსპექტის მხრიდან. ამ პროცესის წარმართვა ხელს შეუწყობს დამთვალიერებლის პირდაპირ კავშირს გალერეასთან, ვინაიდან დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, გალერეა კარგავს დამთვალიერებელთა დიდ რაოდენობას.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960,ტომი I, 65 გვ.
2. ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963, ტომი II, 67 გვ.
3. ბერძენიშვილი მ. თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში. თბილისი: მეცნიერება. 1965, 90 გვ.
4. ბეჟანიშვილი გ. რუსთაველის პროსპექტი და მოედანი. თბილისი: განათლება. 1967, 70 გვ.
5. ჯანბერიძე. ნ. ქართული საბჭოთა არქიტექტურა - განვითარების გზა. თბილისი: ხელოვნება. 1971, 476 გვ.
6. Маминаишвили Б.А. Развитие общественного центра Тбилиси. Москва: Стройизда.т 1975, 79 стр.
7. Квирквелия Т. Архитектура Тбилиси. Тбилиси: Сабчота Сакартвело 1982, 192 стр.
8. ჯაში ნ. სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება. თბილისი: ხელოვნება. 1983, 100 გვ.
9. Шимко В.Т. „Архитектурное формирование городской среды“, Москва: Высшая Школа 1990, 223 стр.
10. შავგულიძე ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზია. თბილისი: 1997, 49 გვ.
11. მანია მ. ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი:2006, 136 გვ.
12. ხოშტარია დ. თბილისი - ძველი სასტუმროები. თბილისი: არტანუჯი. 2011, 137 გვ.
13. მანია მ. მოდერნიზმი თბილისის არქიტექტურაში. საქართველოს სიძველენი. 16-2013. 237-259 გვ.
14. ცინცაძე კ. ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში. თბილისი: კანდელი. 1994, 303 გვ.
15. დავითაია ვ. არქიტექტურა ოცნება და სინამდვილე წიგნი მეორე. თბილისი. 2009, 445 გვ.
16. ბათიაშვილი გ. ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში. თბილისი: უსტარი. 2013, 409 გვ.
17. Busse H. Deilman H., Hackelsberger H. Schwab G. Lebensraum Stadt Nachdenken über Stadt und morgen. Stuttgart. 1985, 120 p.
18. Wörner M., Mollenschott D., Hüter K., P. Siegel Architekturführer Berlin. 6. Auflage. 2001,566 p.
19. Sonne.W. Die Hauptstadt als Bild des Staates. Planungen des frühen 20. Jahrhunderts im international Vergleich. Neue Staaten - neue Bilder? Visuelle Kultur

im Dienst staatlicher Selbstdarstellung in Zentral- und Osteuropa seit 1918. Köln: Böhlau Verlag. 2005, pp. 13-30.
20. Друг О., Ференцева Ю. Киев - История, Архитектура, Традиции. Киев: Балтия- Друк. 2011, 104 стр.
21. Седак И. Н., Дахно В. П. и др. Архитектура Советской Украины. Москва: Стройиздат. 1987, 303 стр.
22. Дахно В.П. Ежов В.И. Килессо С.К. и др. Архитектура Украины на современном этапе. Киев: Будівельник. 1984, 149 стр.
23. Дахно В.П. Архитектура Советской Украины. Киев: Будівельник. 1986, 157 стр.
24. Diekmann A. Empirische Sozialforschung Grundlagen, Methoden, Anwendungen Rowohlts. Enziklopädie im Rowolt Taschenbuch Verlag. 12 Auflage. 2004 639 p.
25. Щусев А.В. Архитектура и строительство Института Маркса-Энгельса-Ленина в Тбилиси (Филиал). Москва: Академия архитектуры СССР. 1940, 39 стр.
26. Беридзе В., Курдиани З., Рчеулишвили Л. Архитектура городов СССРТбилиси. Москва: Архитектура и Градостроительство. 1951, 94 стр.
27. ბალახაშვილი ი. ძველი თბილისი. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1951, 231 გვ.
28. გვრიტიშვილი დ., მესხია შ., თბილისისისტორია.თბილისი. 1952
29. ჯანბერიძე ნ. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა. თბილისი: ხელოვნება. 1957, 105 გვ.
30. Цинцадзе Вахтанг. Тбилиси: Архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия. Тбилиси: академиа наук Грузинской ССР. 1958, 221 стр.
31. კარბელაშვილი მ. კინწურაშვილი ს. ჯანბერიძე ნ. თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958, 188 გვ.
32. თბილისი საქართველოს სსრ დედალაქი. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო. 1958.
33. ჯანბერიძე ნ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის არქიტექტურა. ARC GEORGICA www.georgianart.ge. 1964, გვ.96-120.
34. Моретти К. В. 50 лет на стройках Грузии. Тбилиси. 1971, 183стр.
35. Беридзе В. Езерская Н. Искусство советской Грузии 1921-1970. Москва: Советский художник. 1975, 757 стр.
36. Афанасьев К.Н. А.В. Щусев. Москва: Стройиздат. 1978, 189 стр.
37. Бархин М.Г. Архитектура и Город. Москва: Наука. 1979, 223 стр.
38. ხუციშვილი გ. ჩემი თბილის ქალაქი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1980, 217 გვ.
39. გერსამია თ. ძველი თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1984, 275 გვ.
40. კვირკველია თ. ძველ თბილისური დასახლებანი. თბილისი, 1985.

41. Tsitsishvili I. Tbilisi. Architectural Landsmarks and Art Museums. An Illustrated Guide. Leningrad: 1985, 210 p.
42. Квирквелия Т. Архитектура Тбилиси. Москва: Стройиздат. 1985, 311 стр.
43. Квирквелия Т. Мгалоблишвили. Н. Архитектура советской Грузии. Москва:Стройиздат. 1986, 320 стр.
44. Иконников А.В. Функция, Форма, Образ В Архитектуре. Москва: Стройиздат. 1986, 286 стр.
45. თბილისის ქალაქთგეგმარებითი პრობლემები. თბილისი: განათლება. 1987, 93 გვ.
46. თბილისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989, 478 გვ.
47. Память улиц, Курьер ЮНЕСКО. 1989.9-45 стр.
48. Кристиан Менгин. Берлин Фридрихштрассе–звено в цепи историию. Курьер ЮНЕСКО. 1989 11-17 стр.
49. ბერიძე გ. გეგმარებითი ტრადიციები XIX საუკუნის თბილისის ქალაქთმშენებლობაში. ARC GEORGICA www.georgianart.ge.1991, გვ. 89-115
50. ნახუცრიშვილი. ო არქიტექტორი ოთარ ნახუცრიშვილი პროექტები კომენტარებით. თბილისი, 2000.
51. თბილისი ენციკლოპედია. თბილისი: ირაკლი აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 2002, 1055 გვ.
52. სანიკიძე თ. თბილისში სამუზეუმო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ (იდეა ახლო წარსულისა შორეული მომავლისათვის). კავკასიის მაცნე. 2003. (სპეციალური გამოცემა2) 51-55. გვ.
53. Gandert K.D. Vom Prinzenpalais zur Humboldt-Universität. Berlin: Henschel Verlag 2004 204 p.
54. იმნაძე ნ. თბილისის თავისუფლების მოედნის განაშენიანების ბოლო პერიოდში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ქართული არქიტექტურის თეორიის და ისტორიის საკითხები. თბილისი 2005, 1 (4) გვ. 52-60.
55. ბულია მ., ჯანჯალია მ. თბილისი, ძველი ქართული ქალაქები. მეორე გამოცემა, თბილისი. 2006, 120გვ.
56. იმნაძე ნ. თბილისის არქიტექტურულ-სივრცული სტრუქტურის ფორმირების თავისებურება. ქართული არქიტექტურის თეორიის და ისტორიის საკითხები. თბილისი 2007, 3 (6) გვ. 166-170.
57. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. თბილისი. 2007. N 4708 – Iს.
58. გრიშაშვილი ი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2008, 174 გვ.
59. ასათიანი ნ. 1900-1920-იანი წლების ქართული არქიტექტურა. ARC GEORGICA www.georgianart.ge.2010
60. ჩიხრაძე მ. თბილისი 1910-1921 წლებში (კულტურული ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა). ARC GEORGICA www.georgianart.ge.2010

61. თუმანიშვილი დ. ხოშტარია დ. ნაცვლიშვილი ნ. მშენებლი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი, 2012, 287გვ.
62. იმედაშვილი ლ. თბილისური ამბავი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2012, 112 გვ.
63. გერმანელები და ქართველები შუა საუკუნეებიდან დღემდე. თბილისი: გერმანიის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პრუსიის კულტურის მემკვიდრეობის ფონდი. 2013, 186 გვ.
64. მირცხულავა ნ. არ-დეკოს საფასადო რელიეფები. საქართველოს სიძველენი. 16-2013. 260-266 გვ.
65. ჯანაშვილი ქ. ა. ზალცმანის ნაგებობათა ფასადების თავისებურებების შესახებ. საქართველოს სიძველენი. 16-2013. 312-323 გვ.
66. ელისაშვილი ა. როგორ შეიცვალა თბილისი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013, 160 გვ.
67. ისინი მე მენდნენ... მუდმივი კავშირის სამყარო. 3(59) 2013, გვ. 2-9
68. არქიტექტურული სტუდია „დინასტია“. მუდმივი კავშირის სამყარო. 3(59) 2013, გვ. 10-12
69. დავითაია ვ. დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს. საქართველოს რესპუბლიკა. #89, 7 მაისი 2014 გვ. 6-7
70. დავითაია ვ. ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია (ქართული არქიტექტურა 2004-2013 წლები) სტილი # 49, 2014 გვ.42-47
71. ქურთიშვილი ვ., ბახტაძე ვ., მეტრეველი გ. რუსთაველის გამზირის და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა-რეკონსტრუქციის კონცეფცია. ქ. თბილისის მერია, „კავკასიის კონცერნი“, სსი „თბილქალაქპროექტი“ III სტუდია: თბილისი. 1992
72. თევზაძე თ., ქურთიშვილი ვ. საკონკურსო პროექტი რუსთაველის გამზირის და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა-რეკონსტრუქციის ესკიზი (იდეა) ქ. თბილისის მერია, „კავკასიის კონცერნი“, სსი „თბილქალაქპროექტი“: თბილისი. 1992
73. www.muzeumi.ge უკანასკნელად გადამოწმებულია 3.05.2014
74. www.tbilisi.gov.ge უკანასკნელად გადამოწმებულია 3.05.2014
75. www.tas.ge უკანასკნელად გადამოწმებულია 3.05.2014
76. http://www.world-architects.com/en/graft/source:index_updated_new უკანასკნელად გადამოწმებულია 3.05.2014
77. http://cargocollective.com/aindaarquitectura-cultural უკანასკნელად გადამოწმებულია 3.05.2014
78. www.tbilisiarchitecture.net უკანასკნელად გადამოწმებულია 3.05.2014

1735 წლის თბილისის გეგმა, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. გარეთუბნის ფრაგმენტი



2

4

6

გარეთუბანი

1. მედანი ანუ ასპარეზი
2. ქაშოეთი
3. ციციშვილის სახლი
4. კალობანი
5. არაგვის ერისთავის სახლი
6. სომხის საყდარი

სურ. 1

თბილისის გეგმა 1800 წელი. გარეთუბნის ფრაგმენტი



გარეთუბანი

1. კოჯრის კარი
2. დიღმის გზა (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი

სურ. 2

ერევნის მოედანი (თავისუფლების მოედანი)



● პუშკინის სახ. სკვერი

1. კავკასიის საოლქო შტაბი - 1824



2. კ. ზუბალაშვილის სახლი - 1830-იანი წწ.

3. თბილისის საკრებულო - 1840

4. ი. თამამშევის ქარვასლა - 1847

5. საკრედიტო საზ. შენობა 1870 - იანი წწ.

6. ერევნის მოედ-ნის განაშენიანების ფრაგმენტი XIX ს.

7. სასტუმრო "კავკაზი" - 1858

8. ზუბალაშვილის სახლი სასახლის ქუჩაზე- 1859

9. თბილისის პასაჟი - 1901-1902 წწ.

10. ცეკავშირის შენობა - 1971

სურ. 3

თბილისის გეგმა 1802 წელი, გარეთუბნის ფრაგმენტი



სურ. 4

გარეთუბანი

1. ყაბახის მოედანი
2. ქაშვეთი
3. კალოუბანი
4. სომხის საყდარი
5. “Правительственные места”

რუსთაველის პროსპექტი



5. “Правительственные места”



სურ. 5 მეფისნაცვლის სასახლე. 1845-47 წწ.

სურ. 6 მეფისნაცვლის სასახლე, 1865-67

სურ. 7 ჰაუპტვახტი 1810-იანი წწ.

სურ. 8 კინო “რუსთაველი”. 1939

სურ. 9 პირველი კლასიკური გიმნაზია. 1837-40 წწ.



სურ. 10 მამუკა ორბელიანის სახლი, 1840-იანი წწ.



სურ. 11 ალექსანდრეს ბაღი, 1859

სურ. 12 კავკასიის მუზეუმი, 1860

სურ. 13 ს. ჯანაშიას სახელობის საქ. ეროვნული მუზეუმი,1929

სურ. 14 კადეტთა კორპუსი, 1860, 2014 წლის ფოტო

სურ. 15 საოლქო სასამართლო. 1865-67 წწ. სასტუმრო "ორიანტი", 1895



სურ. 16 სობორო 1871-1897 წწ.



სურ. 17 მთავრობის სახლის ზედა კორპუსი 1933-38 წწ.

სურ. 18 მთავრობის სახლი. 1953, 2014 წლის ფოტო



სურ. 19 სამხედრო ისტორიული მუზეუმი "დიდების ტაძარი" 1885-88 წწ.



სურ. 20 სახაზინო თეატრი, 1880-96 წწ.

სურ. 21 საარტისტო საზოგადოების შენობა, 1898-1901 წწ.

სურ. 22 სახლი რუსთაველის პროსპექტზე №30. 1898, 2014 წლის ფოტო

სურ. 23 ქაშვეთის ტაძარი,1904-10 წწ.

სურ. 24 მელიკ აზარიანცის შემოსავლინი სახლი, 1912-1915 წწ. 2014 წლის ფოტო

სურ. 25 სასტუმრო "მაჟესტიკი", 1915

სურ. 26 ყოფილი "ოფიცერთა სახლი", 1916, 2014 წლის ფოტო

სურ. 27 "ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობა, 1929

სურ. 28 კავშირგაბმულობის სახლი, 1934

სურ. 29 კავშირგაბმულობის სახლი, 1954, 2014 წლის ფოტო

სურ. 30 იმელი 1935-38 წწ.

სურ. 31 საცხოვრებელი სახლი, რუსთაველის №1 1939, 2014 წლის ფოტო

სურ. 32 სასტუმრო "ივერია" 1967

სურ. 33 უნივერმაღი - "თბილისი" 1974

სურ. 34 ყოფილი ტელეგრაფი 1978, 2014 წლის ფოტო

სურ. 35 მეცნიერებათა აკადემია 1953, 2014 წლის ფოტო

სურ. 36

სურ. 37 პირველი საშუალო სკოლა



სურ. 38 მხატვრის სახლი



სურ. 39 სასტუმრო “თბილისი”

სურ. 40 თავისუფლების მოედანი

რუსთაველის პროსპექტის და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა-რეკონსტრუქციის კონკურსში გამარჯვებული პროექტები



სურ. 41



სურ. 42


სასტუმრო „თბილისი“ და მიმდებარე ტერიტორიის
რეკონსტრუქცია
ავტორები: გ.მეჯრიეველი, ლ.ყავლაშვილი, გ.სულაგბერიძე, ი.მასხარაშვილი

სურ. 43


ავტორები: გ.გეგეშიძე, ლ.სიმონია

სურ. 44

1992 წლის გენერალური გეგმა, კონკურსის შედეგების ფიქსირებით

სურ. 45

სურ. 46 აღდგენილი პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობა, 1997 წლის ფოტო

სურ. 47 აღდგენილი სასტუმრო "თბილისი მარიოტი" შენობა, 2014 წლის ფოტო

სურ. 48 სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი", 2014 წლის ფოტო

სურ. 49 1992 წელი რუსთაველის პროსპექტი და მიმდებარე ტერიტორია

სურ. 50 **2014** წელი რუსთაველის პროსპექტი და მიმდებარე ტერიტორია

თბილისი - რუსთაველის პროსპექტი

1. თავისუფლების მოედანი
2. რუსთაველის პროსპექტი
3. ვარდების რევოლუციის მოედანი
4. შოთა რუსთაველის მოედანი



კიევი - კრეშჩატიკის პროსპექტი

1. ევროპის მოედანი
2. კრეშჩატიკის პროსპექტი
3. თავისუფლების მოედანი
4. ბესარაბკას მოედანი

ბერლინი - კურფურსტერდამის პროსპექტი

1. რატენაუპლატცი
2. კურფურსტერდამის (კუდამი) პროსპექტი
3. ბრაიდშაიდპლატცი

სურ. 51

სურ. 52 თბილისი, თავისუფლების მოედანი, 2014 წლის ფოტო

სურ. 53 კიევი, თავისუფლების მოედანი, 2014 წლის ფოტო

სურ. 54 კიევი, ყოფილი ლენინის მუზეუმი, 2014 წლის ფოტო

სურ. 55 თბილისი, იმელის შენობის მთავარი ფასადი, 2014 წლის ფოტო

სურ. 56 თბილისი, იმელის შენობის ფასადი თაბუკაშვილის ქუჩიდან, 2014 წლის ფოტო

სურ. 57 თბილისი, ყოფილი "ლაღიძის წყლები", 2014 წლის ფოტო

სურ. 58 ბერლინი, კაფე "კრანცლერი", 2014 წლის ფოტო

სურ. 59 ბერლინი, მემორიალური ეკლესია, 2014 წლის ფოტო

სურ. 60 თბილისი, 9 აპრილის მემორიალი, 2014 წლის ფოტო

სურ. 61 თბილისი რუსთაველის პროსპექტი, 2014 წლის ფოტო

სურ. 62 კიევი, კრეშჩატიკი, 2014 წლის ფოტო

სურ. 63 ბერლინი, კუდამი, 2014 წლის ფოტო



სურ. 64 თავისუფლების მოდანი, 2014



1930

1934



1956-1990 წწ.



2009 წლამდე.

სურ. 65 სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი", 2014



1858-1992 წ



სურ. 66 მრავალფუნქციური კომპლექსი პუშკინის ქუჩაზე, 2014



2009 წლამდე.

სურ. 67



შოთა რუსთაველის ძეგლი, 2014 წლის ფოტო

1. შოთა რუსთაველის ძეგლი
2. მაკდონალდსის შენობა
3. მეცნიერებათა აკადემია
4. მელიკ აზარიანცის შემოსავლიანი სახლი

მაკდონალდსის შენობის ადგილი, 1995

მაკდონალდსის შენობა, 2014 წლის ფოტო

მელიკ აზარიანცის შემოსავლიანი სახლი, 2014 წლის ფოტო

სურ. 68

სურ. 69

სურ. 70 ხედი მთაწმინდაზე რუსთაველის პროსპექტიდან

სურ. 71 ხედი მტკვრისკენ

სურ. 72 9 აპრილის ბაღი

გ. ლეონიძის ბაღი

ვარდების რევოლუციის მოედანი “რედისონ ბლუ ივერია”



1. ყოფილი ტელეგრაფის შენობა
2. სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია
3. ტრიბუნა



სასტუმრო “ივერია”, 1967

სასტუმრო “რედისონ ბლუ ივერია” 2009

ტრიბუნა 1980-იანი წწ.

2014 წლის ფოტო

სურ. 73

სურ. 74 საცხოვრებელი სახლი შევჩენკოს №3, 2014 წლის ფოტო

სურ. 75 სავაჭრო ცენტრი "მერანი", 2014 წლის ფოტო

სურ. 76 ლესია უკრაინკას და ტ. შევჩენკოს ქუჩების განაშენიანება, 2014 წლის ფოტო



სურ. 77 მშენებარე სასტუმერო იმელის შენობის უკან 2014 წლის ფოტო

სურ. 78 მშენებარე სამუზეუმო კომპლექსი ყოფილი „მხატვრის სახლის" ტერიტორიაზე

სურ. 79 რუსთაველის პროსპექტი №20, 2014 წლის ფოტო

სურ. 80 რუსთაველის პროსპექტი №34, 2014 წლის ფოტო

სურ. 81 რუსთაველის პროსპექტი №44, 2014 წლის ფოტო



სურ. 82 რუსთაველის პროსპექტის განაშენიანება 1980-იანი წწ.

სურ. 83 რუსთაველის პროსპექტის განაშენიანება 2014